საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 14 მაისი 1999 №88 (861) | ფასი 1 ლარი

# ჟორდანიამ ბოსკამპის ხელფასი მხოლოდ შევარდნაძეს გაუმხილა



ვაჟიკო ქიღილაშვილის ფოტო

*ვისი იდეა იყო იოჰან ბოსკამპის საქართველოში ჩამოყვანა?*
*როგორ დაუკავშირდნენ ქართველები ჰოლანდიელ სპეციალისტს?*
*რამდენს უხდიან ჩვენი ეროვნული ნაკრების ახალ მწვრთნელს?*
*როგორ აპირებს ქართველ მწვრთნელთა სათანადოდ განსწავლას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია?*
*მიბაძავენ კი დანარჩენი ქართული კლუბები უცვლელ ჩემპიონ თბილისის „დინამოს“?*
*ვინ იქნება მეორე, ვინ ჩამოიყვანს უცხოელ მწვრთნელს? „ბათუმი“ უკვე საქმესაც შესდგომია.*
*როგორც ყოველთვის, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია არც ამჯერად დაგვზარდა და ზემოჩამოთვლილ კითხვებზეც ამომწურავად გვიპასუხა.*

ინტერვიუ მერაბ ჟორდანიასთან იხილეთ მესამე გვერდზე

# ბათუმსაც უცხოელი გაწვრთნის

„ბათუმმა“, სხვაზე ნაკლები რითი ვარო და... 5 მაისს, ეროვნული ჩემპიონატის 26-ე ტურის მატჩში, ბათუმელებმა ბოლნისში „სიონთან“ 1:1 რომ ითამაშეს, ხმებიც დაირხა, „ბათუმში“ შოთა ჭეიშვილის ნაცვლად ვიღაც იტალიელს ნიშნავენო. იმასაც ამბობდნენ, „ბათუმის“ მწვრთნელად ასლან აბაშიძის იტალიელი სიძე დაინიშნებაო, მაგრამ ეს ცნობა თავად აპენინელმა უარყო, მე გუნდის ვიცე-პრეზიდენტი ვარ, მწვრთნელობა ჩემი საქმე არ გახლავთო.

„ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ კი, ჭეიშვილი ისევ გუნდშია, ისევ საქმიანობს, სამომავლოდ კი გამორიცხული არაა, უცხოელი მწვრთნელი მართლა მოვიწვიოთო, გვითხრა.

გუშინ გავიგეთ, „ბათუმში“ ახალი მწვრთნელი ფაქტობრივად დანიშნულა, საქმე 90 პროცენტით გადაწყვეტილიაო.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად ისევ თემურ ბეჟანიძეს მივმართეთ...

— გადაწყვეტილი არაფერია. არის რაღაც საუბრები. ეს უფრო სამომავლო გეგმებს ეხება. დღესდღეობით შოთა ჭეიშვილი კვლავ აგრძელებს გუნდის წვრთნას, ისევ ძველი გაგვიმეორა ბეჟანიძემ. მერე კი, რომ ჩავეძიეთ, გეთანხმებით, იტალიელია, იტალიის ერთ კლუბში მუშაობს, ჯერჯერობით მისი ვინაობის და მისი გუნდის გამხელისგან თავს შევიკავებ. სიმართლე გითხრათ, ჭეიშვილის გაშვება დიდად არც მსურს. თუ უცხოელი მწვრთნელი მოვიწვიეთ, იქნებ მხოლოდ კონსულტანტობა დაეკისროს. ვნახოთ, გადაწყვეტილი ჯერ არაფერიაო.

ეს იყო და ეს. „ბათუმის“ პრეზიდენტმა მეტი არაფერი გვითხრა, კარტების გახსნა ბოლომდე არ ისურვა, თუმცა...

გახსოვთ, იტალიელი რობერტო ლანდი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ახალგაზრდული ნაკრების კონსულტანტად რომ გაამწესა. ჰოდა, საქმეში გარეული სწორედ რობერტო ლანდი ყოფილა, მისი რეკომენდაცია ზღვისპირელთათვის, როგორც ჩანს, მისაღები აღმოჩნდა.

როგორც შევიტყვეთ, ლანდის მიერ შეგულებული კანდიდატურა, ვინმე მარჩელო მანჩინი ყოფილა. იგი იმ ცნობილი რობერტო მანჩინის ბიძაშვილია, რომელიც ახლა იტალიის სერია A-ს ლიდერ რომის „ლაციოში“ ბრწყინავს.

**გიორგი ვაშაკიძე**

## 2

## ფედერაცია ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის — მამინაცვალი

„ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე ფედერაციას უპრინციპობაში ადანაშაულებს

## 7

## მიუხედავად პატივისცემისა



ივან სამორანოს აზრით რონალდო „ინტერის“ კაპიტნობის ღირსი არ არის

## 9

## ნაიმ სასწაულმოქმედი




ევროთასების ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო გოლი პარიზის „პარკ დე პრენსზე“

## 10

## ვლადიმერ ბოისა ვლადიმერ სტეფანიას ნაკვალევზე



ვლადიმერ ბოისა გოგოებზე მეტად კარგ გუნდზე ფიქრობს

# ფედერაცია მამა უნდა იყოს და არა მამინაცვალი

*ბოლო დროს თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ინტერტოტოს თასის საგზურის ერთ-ერთ პრეტენდენტად მოვიხსენიებდით. ამის საფუძველს, ბუნებრივია, ვიტელთა სატურნირო მდგომარეობა, მათი კარგი თამაში და პირველ წრეში „მერანთან" გამართული მატჩის შემდეგ ჩამოკლებული სამი ქულის აღდგენის პერსპექტივა გვაძლევდა. მაგრამ...*

*სჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. გასული წლის 18 ოქტომბერს, ჩემპიონატის მეათე ტურში, „ვიტ ჯორჯია" „მერანს" სტუმრობდა. თამაშის 85-ე წუთზე თანამსაჯ ნუგზარ რუსიშვილის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ვიტელმა გიორგი ჭანკოტაძემ მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძველმა ხელმძღვანელობამ ჭანკოტაძეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა, რომელიც მოგვიანებით მერაბ ჟორდანიამ გააუქმა, კლუბს კი სამი ქულა ჩამოართვა.*

*ამის შემდეგ ჩვენს ჩემპიონატში მსაჯებზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტი კიდევ აღინიშნა, მაგრამ ახალმა ხელმძღვანელობამ დამნაშავეთ მხოლოდ სტადიონის დისკვალიფიკაცია აკმარა, რადგან წინამორბედების მიერ დებულებაში შეტანილი მუხლი, რომელიც ქულების დაკლებას შეეხებოდა, არ მოიწონა. ეგ კი არა, ფედერაციაში ამ წესის გაუქმების შესახებაც ალაპარაკდნენ, რაც თავისთავად დაზარალებული კლუბებისთვის სამი ქულის ავტომატურად აღდგენას გამოიწვევდა.*

*6 მაისს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად ზემოაღნიშნული წესის გაუქმებაზეც უნდა ემსჯელათ. იმსჯელეს კიდეც და... კანონი კი გააუქმეს, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, „ვიტ ჯორჯიას" ჩამორთმეული სამი ქულა არ დაუბრუნეს.*

*რა გამოვიდა? ზოგიერთ კლუბს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფა ეპატია, ზოგიც („ვიტ ჯორჯიას" გარდა, მეორე ჯგუფის შვიდი გუნდია იგივე მდგომარეობაში) მკაცრად დაისაჯა. ეს კი ფედერაციის ხელმძღვანელობას არასდიდებით არ უნდა დაეშვა.*

*ამასთან დაკავშირებით „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტის, ბატონი გურამ რუხაძის კომენტარის შემოთავაზება ადრევე გვსურდა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის დანიშვნამ ეს ფაქტი დროებით მიჩქმალა. თუმცა მხოლოდ დროებით. გუშინ რუხაძეს მცირე კომენტარისთვის ვესტუმრეთ. თუმცა საკმაოდ ვრცელი და საინტერესო საუბარი გამოგვივიდა.*



გურამ რუხაძე

**— ბატონო გურამ, ვიცით, რომ აღმასკომამდე სამი ქულის დაბრუნების დიდი იმედი გქონდათ. რა იყო ამის საფუძველი?**

— „კოლხეთი" — „დინამოს" მატჩის შემდეგ მე და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი (ამავე დროს მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი) სერგო კოტრიკაძე ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან გახლდით. მოგეხსენებათ, „კოლხეთი" „ბათუმთან" ერთად ჩვენი მთავარი მეტოქეა ინტერტოტოს საგზურისთვის ბრძოლაში და ბუნებრივია, გვაინტერესებდა, ფოთში მომხდარი ინციდენტის შემდეგ რას გადაწყვეტდა ფედერაცია. ჩვენ ჩოლარიასთვის „კოლხეთისთვისაც" ქულების დაკლება არ გვითხოვია, ეს არაკოლეგიალური იქნებოდა, თანაც ვიცოდით ფედერაციის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ფოთელებისადმი. ამიტომ ჩოლარიას დავუყენეთ საკითხი ჩვენთვის ქულების აღდგენის თაობაზე. საუბარში ბატონმა ვალერიმ დაგვისაბუთა, რომ თუ სპორტულ-ტექნიკური კომისია „კოლხეთს" სამ ქულას არ ჩამოაკლებდა, მაშინ აღმასკომის სხდომაზე დებულების ეს პუნქტი გაუქმდებოდა და ჩამორთმეული ქულები ავტომატურად დაგვიბრუნდებოდა. სწორედ ამ განცხადებამ ჩაგვისახა იმედი, რომ ქულებს აღგვიდგენდნენ.

**— აბა, მერე რა მოხდა?**

— აღმასკომის სხდომის წინ სერგი კოტრიკაძე კიდევ ერთხელ ეწვია ჩოლარიას და იქიდან გაოგნებული დაბრუნდა. გენერალურ მდივანს მისთვის სრულიად საპირისპირო რამ უთქვამს — მესმის თქვენი, მაგრამ დაკლებულ სამ ქულას ვერ დაგიბრუნებთ, რადგან „მერანს" გადაასწრებთ, ეს კი დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევსო. ამის შემდეგ გაიმართა აღმასკომის სხდომა, რომელმაც გადაწყვეტილება არ შეცვალა. პირდაპირ ვიტყვი — ეს იყო დისკრიმინაციული აქტი ჩვენი კლუბის მიმართ. ფედერაციის გადაწყვეტილებამ ძალიან გამანაწყენა.

**— ჩოლარიასთვის არ გიკითხავთ, რატომ შეიცვალა ასე უცებ აზრი?**

— ეგეც ვკითხეთ და ისიც, თუ რას უპირებდნენ „კოლხეთს". ჩოლარიამ კი ძალიან მარტივი პასუხი გაგვცა, ეგ ჩვენი შინაური პრობლემააო.

**— თქვენ რას ფიქრობთ, რატომ მოიქცა ასე?**

— არც ვიცი, როგორ ავხსნა მისი საქციელი, მაგრამ როცა პიროვნება ძალიან მოკლე დროში ორ სრულიად საპირისპირო რამეს ამბობს, ერთს იფიქრებ კაცი — მას ან საკუთარი აზრი არა აქვს და სხვისი გავლენის ქვეშ ექცევა, ანაც, უბრალოდ, მატყუარაა, რომლისთვისაც არაფერს ნიშნავს სიტყვა და პრინციპი. ერთ დღეს ერთს გეტყვის, მეორე დღეს — მეორეს.

**— გამოდის, აღმასკომის სხდომის დროს უკვე იცოდით, რომ ქულებს აღარ დაგიბრუნებდნენ.**

— კი, ვიცოდით. ყველასთვის ცნობილია, რას ნიშნავს და რა ძალა აქვს გენერალური მდივნის სიტყვას და როცა მან ეს გვითხრა, ფაქტობრივად ყველაფერს შევეგუეთ. ბოლოს ჩოლარიამ ისიც განგვიცხადა, აღმასკომზე თქვენთვის ქულების დაბრუნების საკითხი რომ წამოიჭრას, წინააღმდეგი პირველ რიგში მე ვიქნებიო. ამის შემდეგ რისი იმედი უნდა გვქონოდა?

**— ცოტა ხნის წინ თქვით, რომ ამას თქვენი მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვებოდა. რას გულისხმობდით ამაში?**

— „ვიტ ჯორჯიას" განვითარების თავისი გზა აქვს. ჩვენ ამ გზას არ გადავუხვევთ და გვჯერა, იგი საბოლოო გამარჯვებამდე მიგვიყვანს. ჩვენი საპასუხო რეაქციაც ეს იქნება.

**— ფედერაციის გადაწყვეტილებამ ინტერტოტოს თასზე გასვლის შანსი პრაქტიკულად გადაგიწურათ...**

— მართალია, მხოლოდ თეორიულ შანსებსღა ვინარჩუნებთ. არადა, სამი ქულის დაბრუნების შემთხვევაში ევროპაში გასვლის კარგი შანსი გვექნებოდა, რადგან ბოლოსწინა ტურში სწორედ „კოლხეთს" ვმასპინძლობთ. როგორც ჩანს, ვიღაცას „ვიტ ჯორჯიას" ევროთასებზე გასვლა ხელს არ აძლევს, მეტსაც გეტყვით, ასეთი პერსპექტიული, დამოუკიდებელი და ძლიერი გუნდის არსებობა არ აწყობს. ეს მის ინტერესებში არ შედის.

**— ცოტა ხმამაღალი განცხადება ხომ არ არის?**

— რატომ? მოდით, ლოგიკურად შევხედოთ სიტუაციას. როგორ შეიძლება, რომ ფედერაცია ერთ კლუბის მიმართ მამა იყოს, და მეორეს მიმართ მამინაცვალი. როგორ შეიძლება, რაიმე დანაშაული ერთს აპატიო, მეორეს აპატიო, მესამე კი დასაჯო. გეკითხებით, სამართლიანია?

საერთოდ, ბავშვობიდან თბილისის „დინამოს" დიდი გულშემატკივარი ვარ. შეიძლება, პარადოქსულადაც ჟღერდეს, მაგრამ დღესაც „დინამოს" ვქომაგობ. იგი არის დღევანდელი ქართული ფეხბურთის სახე, მაგრამ ხომ არ შეიძლება, იგი იყოს საქართველოს ეროვნული ნაკრების ბაზა, „დინამო 2" — ახალგაზრდული ნაკრების ბაზა, „დინამო 3" — ჭაბუკთა ნაკრების ბაზა, „დინამოს" ჩამოუყვანო ჰოლანდიელი მწვრთნელი. ერთი სიტყვით, „დინამოს" ყველანაირად მხარში ედგე, სხვას კი არათუ ეხმარებოდე, ფეხს უდებდე. კი, ბატონო, მესმის, რომ „დინამოს" ჩემპიონთა ლიგაში გაყვანა აქვთ განზრახული, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ სხვას ხელს ნუ შეუშლიან.

ის, რაც ახლა მოხდა, შეგვიძლია ქვეყნის ფარგლებს გარეთ გავიტანოთ, მაგრამ არ გვინდა ამის გაკეთება. ეს რომ უეფას ყურამდე მივიდეს, აუცილებლად მოჰყვება მისგან გარკვეული პასუხი, რადგან ფედერაციამ უხეშად დაარღვია თავისივე დებულება. იგი ერთი გუნდის მიმართ სხვანაირად გამოიყენა, მეორე გუნდის მიმართ — სხვანაირად. ვფიქრობ, კიდევ არის დრო სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

**— ხელის შეშლაში რას გულისხმობთ, მარტო ამას, თუ სხვა რამესაც?**

— ბოლო დროს, ძალიან ბევრი წვრილმანი ფაქტი დაგროვდა, რამაც საბოლოოდ ამ აზრამდე მიმიყვანა. სხვა დროს ამას ამდენ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, მაგრამ ახლა, ამ გადაწყვეტილების შემდეგ საბოლოო დასკვნა გავაკეთე. ყველაფერს მოგახსენებთ.

დავიწყოთ წყალტუბოს „სამგურალთან" საპასუხო მეოთხედფინალური მატჩით. მცხეთაში პირველი თამაშის მოგების შემდეგ (2:0), ფედერაციას საპასუხო მატჩის გადადება სურდა, რადგან „სამგურალს" იმ დროს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე ჰყავდა ტრავმირებული, მიზეზად კი წყალტუბოში წვიმისა თუ თოვლის გამო სათამაშო მინდვრის გაფუჭება დაასახელა.

თამაშის გადადება, ბუნებრივია, „სამგურალსაც" აწყობდა. ფირმა „ვიტ ჯორჯიას" ყველა რაიონში თავისი წარმომადგენელი ჰყავს, ჩვენც დავუკავშირდით ქუთაისში ჩვენს წარმომადგენელს და საგანგებოდ წყალტუბოში ჩასვლა ვთხოვეთ. ისიც ჩავიდა, შეამოწმა მინდორი და გვაცნობა, მოედანი მშვენივრად გამოიყურებაო. ბოლოს ჩვენი გავიტანეთ და მატჩიც დანიშნულ დროს ჩატარდა. შეხვედრა ავთანდილ შალამბერიძემ განსაჯა. არადა, იმ დღეს სულ ოთხი თამაში გაიმართა და შეიძლებოდა, უფრო გამოცდილი მსაჯი გამოეგზავნათ. მარცხს მთლიანად მას ვერ დავაბრალებ, მაგრამ „სამგურალს" რომ უხეშობისთვის ორი ფეხბურთელი არ გაუძევა, ფაქტია.

მეორე: იცით, ცოტა ხნის წინ ირაკლი ბარქაია დავიმატეთ. როდესაც ფედერაციას მისი განაცხადში შეყვანა ვთხოვეთ, სასტიკი უარი მივიღეთ. სატრანსფერო სეზონი დასრულდა, ფეხბურთელის დამატების უფლება აღარ გაქვთო — გვითხრეს. არადა, მანამდე იმავე „სამგურალმა" გლუნჩაძე და პეტრიაშვილი დაიმატა, „სიონმა" სულ ახლახან აიყვანა გუნდში ისიანი და ტყავაძე. სხვაც ბევრი იყო ასეთი. ჩვენ კი უარი გვითხრეს. როდესაც ფედერაციის წარმომადგენლებს, ყველა ეს ფაქტი შევახსენე, მხოლოდ ამის შემდეგ განგვიცხადეს ირაკლი ბარქაიას დამატებაზე თანხმობა.

მესამე: 5 მაისს რუსთავის „გორდასთან" საკმაოდ პრინციპული მატჩის წინ რამდენიმე საათით ადრე მთავარი მსაჯი შეცვალეს. ის თამაში 3:2 წავაგეთ. რა იყო მსაჯის ასეთი უეცარი შეცვლის მიზეზი, დღესაც უცნობია.

თითქოს წვრილმანებია, მაგრამ ყოველივე ამან საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ. მითუმეტეს, ამას მოჰყვა აღმასკომის დისკრიმინაციული გადაწყვეტილება.

**— თუ მარტო ხელს გიშლიან, მაშინ გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელ გიორგი ჭანკოტაძეს რატომ მოუხსნეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია?**

— მაგასაც გეტყვით. ჭანკოტაძის დისკვალიფიკაციის გაუქმების საკითხი ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო და რომ არა, ჩვენი დაჟინებული მოთხოვნა, დარწმუნებული ვარ დადებითად არც გადაწყდებოდა. აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ მარტო ჭანკოტაძეს არ გაუუქმეს სასჯელი. მაშინ ეგრეთწოდებული ამნისტიის აქტი მიიღეს, რომლის მიხედვითაც ყველა დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელს მიეცა თამაშის უფლება.

**— ვიცით, რომ აღმასკომის მეორე გადაწყვეტილებითაც უკმაყოფილო ხართ, საწევროზე მაქვს საუბარი.**

— მეორე წრეში ფედერაციამ თითქოს მდგომარეობა შეგვიმსუბუქა, როდესაც მსაჯებისთვის მისაცემი თანხის გადახდა თავად იკისრა. მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ კი არ შეგვიმსუბუქდა მდგომარეობა, გაგვირთულდა. ადრე ყოველ საშინაო მატჩში მსაჯებს 400 ლარს ვუხდიდით. სეზონში საკუთარ მინდორზე სულ 15 თამაშს ვატარებდით. გამოდის, სულ 6000 ლარს ვიხდიდით, თან ნელ-ნელა, ახლა კი ჩემპიონატის წინ განაცხადების წარდგენამდე ფედერაციაში ერთბაშად 10 ათასი ლარი უნდა შევიტანოთ. ფაქტობრივად, გადასახადი გაგვიორმაგდა. კონკრეტულად ამ პუნქტით ვარ უკმაყოფილო, თორემ მთლიანად რეგლამენტს, რომელიც აღმასკომმა მიიღო, ვეთანხმები. ახლა მთავარი შესრულებაა.

**— ბოლოს ორიოდე სიტყვა გუნდზეც ვთქვათ.**

— წლეულს, ევროთასის საგზურს, ალბათ, ვეღარ მოვიპოვებთ, თუმცა ბედს არ შევურიგდებით. მომავალი ჩემპიონატისთვის „ვიტ ჯორჯია" საგრძნობლად გაძლიერდება და საპრიზო ადგილებისთვისაც ვიბრძოლებთ. იმედია, ფედერაციის ხელმძღვანელობა თავისივე დებულებას გაისად მაინც შეასრულებს და კლუბებს არ განარჩევს.

*სადღეისოდ ფედერაციის გენმდივან ვალერი ჩოლარიას კომენტარი მინუსამის თაობაზე ვერ გავახლეთ. თუმცა, იმედია, უახლოეს „სარბიელში" შემოგთავაზებთ.*

**ვანო ოქროპირიძე**


**თბილისის ბოულინგ-ცენტრი**

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12 ა, ტელ.: 330-350

**გაძლევთ შანსს:**

მონაწილეობა მიიღოთ კომერციულ ტურნირებში
ანუ 50 ლარად მოიგოთ 500 ლარი

იასპარეზოთ რეგულარულად გამართულ ჩემპიონატებში და
თავი ისახელოთ როგორც თვის საუკეთესო ბოულერმა

შეეჯიბროთ კლუბს: 5 ლარად ითამაშოთ ერთი გეიმი და
დაჯილდოვდეთ: 210 ქულაზე — 100 ლარით, 220 ქულაზე — 200 ლარით,
230 ქულაზე — 300 ლარით

ივარჯიშოთ სპორტულ სექციაში და გახდეთ პროფესიონალი მოთამაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იოჰან ბოსკამპი ბოდიშს იხდის

## შინაურებს ბევრი შევუნდეთ, ახლა უცხოელი ვნახოთ...

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბათუმიდან ახალდაბრუნებულს შევხვდი. მერაბ ჟორდანიამ საუბარი იქაურთა სამადლობელით დაიწყო, „ბათუმის" ხელმძღვანელობას, ქალაქის მერიას „სარბიელის" მეშვეობით დიდი მადლობაო, თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა გვასახელა, ძალიან კარგი ბიჭები არიანო და... მთავარი მაინც ბოსკამპი იყო...



მერაბ ჟორდანია ბოსკამპს იმედით უყურებს

**— როდის გადაწყვიტეთ საქართველოში უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა? ზოგადად ამის თაობაზე ადრეც არაერთხელ გიოქვამთ, ახლა კი ეს უკვე ფაქტია: „დინამოში" და ეროვნულ ნაკრებში ბოსკამპი მუშაობს.**

— ამაზე დიდი ხნის წინ ვფიქრობდით მე და თბილისის „დინამოსთან" დაკავშირებული ცნობილი პროექტის ერთ-ერთი ავტორი, გერმანიაში მოღვაწე ბიზნესმენი მიხეილ სურგულაძე. გვინდოდა, ქართულ ფეხბურთთან რომელიმე უცხოელი მწვრთნელი დაგვეკავშირებინა. როცა ფედერაციის პრეზიდენტად ამირჩიეს, ამ ჩანაფიქრის ასრულება რეალური გახდა.

ყველაფერი კი ბელგიიდან დაიწყო. „რასინგ მეხელენში", სადაც რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა, დავით ყიფიანიც იქვე იყო და სხვა ჩვენებურებიც საქმიანობდნენ, კარგი, მცოდნე სპეციალისტის მიწვევა გადაწყდა. ბევრი იყო, კანდიდატურა, მაგრამ ბოლოს არჩევანი იმდროისთვის უმუშევარ იოჰან ბოსკამპზე შეჩერდა. როცა მის შესახებ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს დავეკითხეთ, ყველამ გვიქო, ძალიან კარგი მწვრთნელიაო. შემდეგ თავად ბოსკამპს მივაკითხეთ, დაველაპარაკეთ და ფაქტობრივად საქმეც მოვაგვარეთ — „მეხელენი" უნდა გაეწვრთნა. მალევე გადაწყდა ბოსკამპის თბილისის „დინამოში" ჩამოყვანის საკითხიც. იგი თანახმა გახლდათ. შემდეგ კი, როცა თბილისში ჩამოვიდა, იმაზეც დავფიქრდით, მისთვის საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა ხომ არ შეგვეთავაზებინა. მით უმეტეს ვლადიმერ გუცაევიც ნაკრებიდან წასვლას აპირებდა. თუმცა მიხეილ სურგულაძე წინააღმდეგი იყო, ორ გუნდში მუშაობა გაუჭირდებაო, ამბობდა. მერე ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, ყოველდღიურად ხუთ-ექვს საათს ვსაუბრობდით. „დინამოს" პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი რომან შოთაძე, დავით ყიფიანი, ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ბოკერია, მიხეილ სურგულაძე, იოჰან ბოსკამპი — ყველამ თავისი თქვა და როცა საბოლოოდ დავრწმუნდით, „დინამოსა" და ნაკრების მწვრთნელობა ერთმანეთს არ ავნებდა, გადაწყვეტილებაც მაშინ მივიღეთ.

**— ბოსკამპმა რა თქვა?**

— ბევრი არაფერი. თავადაც სურდა ეროვნული გუნდის გაწვრთნა. პრობლემა არ არისო, გვითხრა.

**— უფრო დაგვიკონკრეტეთ: რამ გაფიქრებინათ, რომ ჰოლანდიელი კაცისთვის საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა შეგეთავაზებინათ?**

— ამ ეტაპზე ეროვნული გუნდის მწვრთნელად ისეთი პიროვნება უნდა დანიშნულიყო, რომელსაც წმინდა საფეხბურთოს გარდა მოთამაშეებთან სხვა ურთიერთობა არ ექნებოდა. დავრწმუნდით, რომ აქამდე ნაკრების წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ გუნდში შექმნილი უსიამოვნო ატმოსფერო იყო. ბუნებრივია, კარგი იქნება, მწვრთნელი და ფეხბურთელები თუ დამეგობრდებიან, მაგრამ მაინც უპირველესი პროფესიული მოვალეობის შესრულებაა. კარგია, რომ ჩემი და ბოსკამპის აზრები ერთმანეთს დაემთხვა.

**— ნაკრებში არსებულ კონფლიქტზე თუ იცოდა რამე მწვრთნელმა?**

— ვაპირებდი მასთან ამაზე ლაპარაკს, მაგრამ როცა გაკვირვებულმა მკითხა, რა კონფლიქტი უნდა ყოფილიყო, ჩავთვალე, რომ ყველაფრის დეტალურად თქმა არ ღირდა.

**— სიტყვამ მოიტანა და, ისევ მსურს იმ კონფლიქტზე გკითხოთ. ახლა, როცა ჩავლილი ამბავია, რას ფიქრობთ, რა იყო დაპირისპირების მიზეზი?**

— მაშინაც ნეიტრალური პოზიცია მეკავა და ახლაც ძველებურ აზრზე ვარ. არავის ვამართლებ. ეროვნული ნაკრები ერთი ოჯახია და იქაური სამზარეულოს გამომზეურება საჭირო არაა. თუ რამ კონფლიქტი იყო, იქვე უნდა მოგვარებულიყო. მიზეზების გარკვევით, მტყუან-მართლის ძიებით შეგნებულად დიდად არც დავინტერესებულვარ.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ბოსკამპის მწვრთნელობისას იგივე არ მოხდება? რაც უნდა იყოს, უცხოელია და მისი ნათქვამგაკეთებული ზოგიერთებმა შესაძლოა სხვანაირად აღიქვან.**

— გამორიცხულია. მის მოთხოვნებს აბსოლუტურად ვიზიარებთ და არა მგონია, ფეხბურთელებმა ვერ გაუგონ. ციდან ჩამოფრენილი კაცი არაა, ურთიერთობისას უშუალოა, აკეთებს და ამბობს იმას, რაც საჭიროა, რაც კარგი ფეხბურთის სათამაშოდაა აუცილებელი. ჩვენც არაფერს გავუჭირვებთ, ყოველმხრივ დავეხმარებით. რასაც იტყვის, შევუსრულებთ.

**— ექვსთვიანი კონტრაქტი რატომ გაუფორმეთ?**

— თავად ისურვა ასე. ჩვენ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე ვთავაზობდით თანამშრომლობას, მაგრამ არ დაგვთანხმდა. თუმც გვითხრა, კონტრაქტის გაგრძელება რა პრობლემააო. ჩვენც დრო მოგვცა მისი მუშაობის შესაფასებლად და თავადაც არ აჩქარდა, ამ ექვს თვეში შეხედავს, დასკვნებს გააკეთებს. ჯერ მაინც არ არის ქართულ ფეხბურთში ბოლომდე გარკვეული.

**— ღმერთმა არ ქნას და, თუ ბოსკამპმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, ეს ფედერაციის ავტორიტეტზეც ხომ იმოქმედებს?**

— ვიდრე ბოსკამპს ნაკრების მწვრთნელად დავნიშნავდით, როგორც გითხარით, ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, ყველა დეტალი გავითვალისწინეთ და დარწმუნებული ვარ, ამდროისთვის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. არც მისი კომპეტენტურობა გვაეჭვებს.

ავტორიტეტზე კი არც გვიფიქრია. ჩვენთვის ერთადერთი საზრუნავი ისაა, როგორმე ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს, კრიზისიდან გამოვიყვანოთ. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

**— ჩვენც ამისი გვეიმედება და რაც მალე გვეშველება მით უკეთესი. ახლა ის გვითხარით, ბოსკამპს ნაკრების მწვრთნელობისთვის რამდენს უხდით.**

— თანხის კონკრეტულ რაოდენობას ვერ გაგიმხელთ. ვიცი, არც თავად მწვრთნელს ეპიტნავება ამაზე საუბარი. საკმაოდ დიდი ჯამაგირი აქვს, ისეთი, როგორიც წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში მომუშავე მწვრთნელებს. ესეც ჩვენი უცხოელი პარტნიორების შემწეობით.

**— იქნებ მაინც ღირდეს ამისი თქმა?**

— კონფიდენციალური საკითხია. ზუსტი ციფრი მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს ვუთხარი ამასწინანდელი შეხვედრისას.

**— კეთილი, რაკი კონფიდენციალურია, ეგრე იყოს. ახლა ქართველ მწვრთნელებზეც ორი სიტყვით. ქვეყნის ნაკრების თავკაცად უცხოელის დანიშვნა თავისთავად მეტყველებს აქაურთა დაბალ დონეზე. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— უნდა ვაღიაროთ, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, ასეა, დაბალი დონეა. ეს ბოსკამპმაც მითხრა, ბოდიში, მაგრამ ქართველ მწვრთნელებს შესაბამისი ცოდნა არა აქვთო. ყველანი ვცდილობთ ამის გამოსწორებას, ყველა შანსს ვიყენებთ, რომ მწვრთნელები უცხოეთში სასწავლებლად მივავლინოთ. აგერ ახლაც, კოვერჩანოს სკოლაში ათი მწვრთნელის გამგზავრება ფაქტობრივად გადაწყვეტილია. იტალიაში მოსაქმიანე რევაზ ჭოხონელიძის საშუალებით იმ სკოლის მესვეურთ ისიც შევუთვალეთ, ათის ნაცვლად იქნებ თხუთმეტ მწვრთნელს უმასპინძლოთო და, მგონი, ეს საკითხიც მოგვარდა. გერმანიაში საქართველოს ელჩის, კოტე გაბაშვილის დახმარებით ვაპირებთ კიოლნის უმაღლეს სკოლაშიც გავგზავნოთ რამდენიმე კაცი. გარდა ამისა, უეფამ მოგვწერა, საქართველოში ცნობილი სპეციალისტები უნდა გაწვიოთ სემინარების ჩასატარებლადო. ერთი სიტყვით, ამ პრობლემის მოგვარებას კარგი პირი უჩანს.

**— რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ეგ თეორიული ცოდნის მიღებას ნიშნავს. პრაქტიკა?**

— იცით, ენის უცოდინარობა გვიშლის ხელს, თორემ მწვრთნელების უცხოურ კლუბებში პრაქტიკის მისაღებად გაგზავნა შეუძლებელი არ არის.



იოჰან ბოსკამპმა ეროვნულ სტადიონზე შეაბიჯა და საქმესაც შეუდგა

ჩვენ ძალიან ბევრი სახელოვანი გუნდის ხელმძღვანელობასთან გვაქვს კარგი ურთიერთობა, რომლებიც, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ქართველთა დიდი ხნით მასპინძლობაზე უარს არ იტყვიან.

**— და ერთიც. კვლავ ბოსკამპის თემის გაგრძელება. მისი აქ ჩამოსვლა ალბათ სხვა ქართულ კლუბებსაც გაუხსნის მადას.**

— ასეა. ამასწინათ ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტ მიხეილ ქორქიასა და „ბათუმის" იტალიელ ვიცე-პრეზიდენტ მარკო კალისტრალეს შევხვდი და თურმე ისინიც აპირებენ თავიანთი გუნდებისთვის უცხოელ მწვრთნელთა ჩამოყვანას. ჩვენც ხელს შევუწყობთ. ვეცდებით, „დინამოს" დაწყებული გაგრძელდეს და ამ საქმით მთლიანად ქართულ ფეხბურთს დავეხმაროთ. თანაც ჩვენს ხასიათშია, ხომ გვიყვარს ერთმანეთის მიბაძვა? მიბაძონ, ბატონო, „დინამოს", ჩათვალონ, რომ ფეხბურთის ფედერაცია მათ მხარში ამოუდგება.

ჰოგა ინასარიძე

## უნიკალური ფინალი

26 მაისს საქართველოს თასის ფინალი მხოლოდ იმით არ იქნება უნიკალური, რომ წმინდა იმერულია. „ტორპედო" — „სამგურალის" გადამწყვეტ პაექრობას იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი ამ მხარის მიღწევების პრეზენტაციად გადაქცევას უპირებს.

სახელმწიფო კანცელარიიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ფინალის დროს (დაწყებამდე თუ დასრულების შემდეგ, ჯერ გადაწყვეტილი არ არის) თემურ შაშიაშვილი ქუთაისის უკანასკნელ მიღწევებს გაგვაცნობს. ეს, პირველ ყოვლისა, იქნება პატარა თვითმფრინავი, რომლის წარმოება ქუთაისში სულ ახლახან დაიწყეს (სხვათაშორის, 26 მაისს ქუთაისიდან თემურ შაშიაშვილი სწორედ ამ თვითმფრინავით გადმოფრინდება დედაქალაქში). გუბერნატორი აგრეთვე წარმოგვიდგენს ავტობუსს და ავტომანქანას — ისინი ქუთაისის ავტოქარხანაშია აწყობილი. ერთი სიტყვით, რა შედეგითაც უნდა დასრულდეს ეს პრინციპული ორთაბრძოლა, შაშიაშვილს თამამად შეეძლება, მიმართოს გუბერნიას: „ყველაფრის მიუხედავად, გაიმარჯვა იმერეთმა!"

სიმონ მენაბდე

Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

„აიეტი TV"-ის საკონტაქტო ნომრებია

910 ან 910 111

თუ ადრე გიჭირდათ აიეტთან დაკავშირება,
ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია
აკრიფეთ 910 ან 910 111
დღე-ღამის ნებისმიერ
დროს და მოგემსახურებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევა თუ არა ზაზა ჯანაშია ევროპულ საფეხბურთო ელიტაში?

*საქართველოსა და ნორვეგიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ამასწინანდელ მატჩს ერთ-ერთი იუგოსლავიელი აგენტი შტეფან მარკოვიჩი ესწრებოდა და მისი თბილისური ვიზიტი შემთხვევითი სრულებითაც არ იყო. როგორც მარკოვიჩთან დამეგობრებული არაოფიციალური წყაროებიდან შევიტყვეთ, იუგოსლავიელი აგენტი საქართველოში კონკრეტული კლუბების დავალებით იყო ჩამოსული რამდენიმე ნორვეგიელ და ქართველ ფეხბურთელზე დასაკვირვებლად. ნორვეგიელებს ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ვგონებ, მათ თავის საქმე ფრიადზე იციან, რაშიც თბილისშიც დაგვარწმუნეს. ჩვენ კი ჩვენი გვაქვს საფიქრალი და თუმცა მარკოვიჩს თავისი თვალთვალის ობიექტების ვინაობა არ გაუმხელია, საკუთარი წყაროებით შევიტყვეთ, რომ ქართველთაგან გადამთიელთა დაინტერესებას კახი კალაძე და ზაზა ჯანაშია იწვევდნენ. კალაძის საკითხი მეტ-ნაკლებად გარკვეულია: მადრიდის „რეალი", მილანის „ინტერი" და ასე შემდეგ. ხოლო რაც შეეხება ჯანაშიას, გერმანული კლუბების შემდეგ ზაზათი იტალიური „პარმაც" აღარ არის გულგრილიო, გვაცნობეს. ესეც ასე. საკითხში მეტი სიცხადის შესატანად უკეთეს სიტუაციას სად ვინატრებდი, როცა მოსკოვში, უეფას თასის ფინალური შეხვედრის ჩასატარებლად თავად იტალიური „პარმა" და მისი ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ბატონი პაოლო მაკარენი იმყოფებოდნენ. ჩვენი საუბარი 11 მაისს შედგა ხუთვარსკვლავიანი ლუჟნიკის სტადიონის ტრიბუნაზე, როცა იტალიელი ფეხბურთელები საღამოს მსუბუქ ვარჯიშს ატარებდნენ. წარდგენისა და მცირე შესავლის შემდეგ თანამოსაუბრეს პირველი კითხვა მივაგებე:*

**— ქართული ფეხბურთის შესახებ რამდენად ხართ ინფორმირებული?**

— სიტუაციას დეტალებში არ ვფლობ, მაგრამ მთლად გაუთვითცნობიერებელი არ გახლავართ. ვიცი, რომ ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნები, ფინანსურ სიძნელეებს განიცდით.

**— სულ ეს არის?**

— არა, რატომ? მაგალითად ვიცი, რომ რიგიანი ნაკრები გყავთ (ვითომ? — ვ.ბ.). ჩვენებთან ხომ ორი შეხვედრა ჩაატარეთ მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ ციკლში. ერთი ჩვენთან — იტალიაში, ერთიც თქვენთან. მაშინ თქვენმა გუნდმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თანაც ორივე მატჩში. სხვათა შორის, ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელმაც იტალიაში საკმაოდ ძლიერად ითამაშა, შემდეგ ჩვენთან, სერია B-ში გამოჩნდა.

**— „რეჯანაში" საქართველოს ნაკრების კაპიტანი, გიორგი ნემსაძე გადავიდა და დღესაც იქ თამაშობს.**

— ამ ბიჭმა პერუჯაში, ბოლო წუთებზე გვარიანად გვანერვიულა.

**— როგორია იტალიელ სპეციალისტთა აზრი მის შესახებ?**

— პირადად მე სერია B-ს ანალიზისას ნაკლებად კომპეტენტური ვარ. რეგულარულად მხოლოდ ლიდერთა თამაშებს ვადევნებ თვალ-ყურს. დაბალ ლიგებზე დაკვირვება ჩვენი სელექციონერების საქმეა. ისე, რამდენადაც ვიცი, თქვენს კაპიტანს საერთო ჯამში კარგი პრესა და მაღალი შეფასებები აქვს.

**— რობერტო ლანდის შესახებ თუ მოგეხსენებათ რამე? ის მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და ჩვენს შინაურ სამზარეულოშიც კარგად არის ჩახედული.**

— რაღაც გამიგია, მაგრამ გთხოვთ, ლანდის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგებს მე ნუ შემაფასებინებთ, რადგან ამ საქმეში აბსოლუტურად გაურკვეველი ვარ. რაკი თქვენმა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ამ კაცს ქართული ფეხბურთისთვის სიკეთის მოტანა შეუძლია, მას უკეთ მოეხსენება და ალბათ ასეც არის.

**— მოდით, „პარმას" სასელექციო საქმიანობაზე გადავიდეთ. ვიცი, რომ თქვენში უკმაყოფილებას იწვევს გუნდის დაბალი შედეგიანობა...**

— უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არა დაბალი, არამედ საშუალო. გუნდი, რომელსაც სკუდეტოს მოპოვების პრეტენზია აქვს, უფრო სახიფათოდ და შედეგიანად უნდა უტევდეს.

**— ამბობენ, რომ წინა ხაზის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ამპლუის ფეხბურთელებსაც არჩევთ.**

— ჩვენ ყველა რგოლის გაძლიერებას ვესწრაფვით. მაღალი დონის გუნდში სასელექციო მუშაობა გამუდმებით უნდა მიმდინარეობდეს. ამ შემთხვევაში გამონაკლისს არც ჩვენი თავდასხმა წარმოადგენს.

**— ჩემი ინფორმაციით, თავდასხმის გაძლიერების ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად „პარმას" მავანი ქართველი ფორვარდის შეძენა მიაჩნია.**

— ეგ საიდანღა მოიტანეთ?

**— ეს ჩემი დამოუკიდებელი ინფორმაციაა.**

— ხომ ვერ მეტყვით, ვის შესახებ ამბობთ?

**— მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდ ზაზა ჯანაშიას შესახებ მოგახსენებთ. ალბათ, ისიც იცით, რომ ბოლო ორ ოფიციალურ სანაკრებო შეხვედრაში ჯანაშიამ ორი გოლი გაიტანა?**

— ჯანაშიას შესახებ ხეირიანად „ლაციოსა" და „ლოკომოტივის" მატჩისას გავიგე. პირდაპირ გეტყვით, რომ



შესაძლოა, ზაზა ჯანაშია, მალე არჩევანის წინაშე დადგეს

თქვენმა ფეხბურთელმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა.

**— იმდენად მშვენიერი, რომ სერია A-ს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი დაინტერესდა?**

— ჩვენ საკადრო პოლიტიკას სახალხო განსჯის საგნად არ ვხდით. ამას თქვენი ნათქვამის დასტურად ნუ ჩათვლით.

**— იქნებ ის მაინც მითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს ჯანაშია სერია A-ში თამაშს?**

— ორი მატჩი ვნახეთ, ისიც არასრულად და აქედან რაღაც დასკვნების გამოტანა არასერიოზულია. ისე კი, ნეტავ, რატომ ვერ უნდა შეძლოს?

**— გასაგებია. ბოლო რამდენიმე სეზონია, რაც „პარმა" იტალიური ფეხბურთის გრანდებში გაერია. რას იტყვით, აღარ დადგა დრო, რომ ამის შემდეგ უკვე ჩემპიონობაზეც იფიქროთ?**

— მიმაჩნია, რომ ჩვენი ჩემპიონობა თანდათან მწიფდება. ბოლო ორი სეზონია, ნორმალური სტარტი გვაქვს, მაგრამ შემდეგ ვამუხრუჭებთ. წლეულს ჩემპიონობის შანსი უკვე გავუშვით ხელიდან. ამ თვალსაზრისით, მომავალ სეზონს დავუცდით და უკეთაც მოვემზადებით.

**— „პარმა" აქცენტს კვლავინდებურად არგენტინელებზე გააკეთებს?**

— ისინი ჯერჯერობით გვიმართლებენ და რატომაც არა, თუმცა ვიმეორებ, გუნდის გასაძლიერებელი სამუშაოები ჩვენთან განუწყვეტლივ მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, რომ სიურპრიზებიც მოვახდინოთ.

**— იქნებ თქვენი გუნდის ჩემპიონობისკენ სვლას საფუძველი უეფას თასის მოპოვებით ჩაეყაროს?**

— თუ ასე მოხდება, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი მექნება და ძალიან კმაყოფილიც ვიქნები. მადლობას გიხდით კეთილი სურვილებისთვის.

*იქვე ტრიბუნაზე, რამდენიმე რიგით ზევით, მოსკოვის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი, იური სიომინი დავლანდე. მშვიდად იჯდა, მზესუმზირას მიირთმევდა და სახვათაშორისოდ გასცქეროდა მინდორზე მოვარჯიშე იტალიელ ფეხბურთელებს. ჩემი სალმისა და წარდგენის შემდეგ იური პავლოვიჩმა მეც გულგრილად ამათვალიერ-ჩამათვალიერა და კვლავ მოვარჯიშე პარმელებს დაუწყო ცქერა.*

*— თუ არ ვცდები, ორიოდე თვის წინ თქვენს მოსკოველ კორესპონდენტს უკვე ვესაუბრე, — როგორც იქნა, მაღირსა ორიოდე სიტყვა.*

*— ვიცი, მაგრამ მე სხვა საკითხზე მინდა დაგელაპარაკოთ.*

*ამის გამგონე სიომინმა ისეთი ცნობისმოყვარე და განცვიფრებული მზერა შემავლო, თითქოს ბანაობა შემეთავაზებინოს. ვიაზრე, რომ დრო ჩემს სასარგებლოდ არ მუშაობდა და დაყოვნებას შეიძლებოდა ევნო კიდეც. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავედი:*

**— იური პავლოვიჩ, როგორც ვიცი, ზაზა ჯანაშიათი იტალიური „პარმა" დაინტერესდა. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს?**

— ამ საკითხზე ჩვენ არავინ შეგვხმიანებია.

**— კი მაგრამ, მოსკოველმა კოლეგებმა მითხრეს, რომ თქვენ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში სწორედ ასე განაცხადეთ.**

— ძალიანაც ცუდი, რომ გითხრეს. თქვენთვის მცდარი ინფორმაცია მოუწოდებიათ. მე ვთქვი, რომ ჯანაშიათი იტალიელები დაინტერესდნენ და ისიც არა ინტერვიუში, არამედ შინაურ წრეში, თანაც კონკრეტულად კლუბი არ დამისახელებია და არც თქვენ დაგისახელებთ.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ პირადად მე ამის ვერავითარ საჭიროებას ვერ ვხედავ. განა ეს ასე აუცილებელია?

**— უბრალოდ, საინტერესოა. ადრე ხომ თქვენ თვითონ განაცხადეთ, რომ ჯანაშიათი გერმანული „შტუტგარტი" იყო დაინტერესებული?**

— მაშინ სულ სხვა იყო. „შტუტგარტმა" მოგვმართა შეუფარავი წინადადებით და მის მენეჯერს ჩვენთან მოლაპარაკების დაწყებაც კი უნდოდა. „შტუტგარტის" შემდეგ გამოჩნდნენ სხვა გუნდებიც, მაგრამ მათი ვინაობა პრესას და ფართო მასებს არ გაუგიათ. განა ცხადი არ არის, რომ ეს პირველ რიგში თავად ფეხბურთელისთვის არის საზიანო. რატომ უნდა ავუბნიოთ ადამიანს დროზე ადრე თავგზა?

**— კარგით და თუ კონკრეტული წინადადებები იქნება, მაშინ არ შეეწინააღმდეგებით ჯანაშიას გადასვლას?**

— თუ ზაზას ჩვენთან კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა გაუვა, მაშინ ის თავისუფალი იქნება და მე მხოლოდ ჩემი პოზიციის გამოხატვის, გნებავთ, რჩევის მიცემის უფლება დამრჩება.

**— როგორც მწვრთნელს?**

— როგორც მწვრთნელს და უფროს მეგობარს.

**— და რას ურჩევთ?**

— სიტუაციისდა მიხედვით, არ არის გამორიცხული, რომ „ლოკომოტივში" დარჩენა ვურჩიო.

**— რატომ? მიგაჩნიათ, რომ რუსეთის უმაღლეს ლიგაში იტალიის და გერმანიის უძლიერეს ლიგებზე უკეთესი პირობებია?**

— არა, მაგრამ რუსეთიდან საზღვარგარეთ უდროოდ წასული ფეხბურთელები იქ ძალიან ხშირად იკარგებიან და უკან მობრუნებისას აქაც ვერაფერს აღწევენ. ამის მაგალითები მრავლად მოგვეპოვება. მგონი, ეს ჯანაშიასაც კარგად მოეხსენება და თუ ატყობთ, „ლოკომოტივიდან" წასვლას მაინცდამაინც არ ჩქარობს.

**— მართალია, რომ საქართველოს ნაკრებში გამოძახებისას თქვენ ყველანაირად ცდილობთ ჯანაშიას მოსკოვში დატოვებას?**

— მსგავსი უსაფუძვლო პრეტენზიები არაერთხელ მომისმენია. სისულელეა. თუ ჩემი ფეხბურთელი ტრავმირებულია, თუ ის ცუდად გრძნობს თავს, მე უბრალოდ მოვალე ვარ, ეს დავაფიქსირო. ხომ შეიძლება, ის უარესად დაშავდეს და ეს სანანებელი გაუხდეს როგორც „ლოკომოტივს", ასევე საქართველოს ნაკრებს. საერთოდ, ნაკრებში გამოძახებულ არც ერთ ჩემს ფეხბურთელს პრობლემებს არ ვუქმნი. პირიქით...

**— ვინ მიგაჩნიათ რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელად?**

— თუ გსურთ, რომ ჯანაშია დავასახელო, ის უძლიერესთა შორის ყოფნას ნამდვილად იმსახურებს. რიგითობისგან თავს შევიკავებ. ისე კი, ყველაზე ძლიერებად ვერეტენნიკოვი, შირკო და ჯანაშია მიმაჩნია. პერსპექტივაში ჩვენს ბულიკინსაც გამოვყოფდი, თუმცა ის ჯერ მეტად ახალგაზრდაა.

ერთს გირჩევთ კიდევ. ჯანაშიას საკითხის გარშემო არ არის საჭირო ბევრი ჩხრეკა. მაქსიმუმ, სეზონის ბოლოსთვის, უკვე ყველაფერი გაირკვევა. ასე რომ, დაელოდეთ მოთმინებით.

*არ ვიცი, რამდენად გულწრფელნი იყვნენ ჩემი რესპონდენტები, მაგრამ ის, რომ ჯანაშიათი თავდაჯერებულ იური სიომინზე არანაკლებ ცნობილი სპეციალისტები არიან დაინტერესებულნი, თანდათანობით უტყუარ ფაქტად იქცევა. ალბათ, ერთში იყო სიომინი მართალი: როგორც ჩანს, სეზონის ბოლოსთვის მართლაც ყველაფერი გაირკვევა.*

**ვახტანგ ბოლოთაშვილი**
**მოსკოვიდან**

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა"**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

# ტურამი ბლანის კოშმარზე არ ფიქრობდა

UEFA CUP

იმ დღეს, მოსკოვის „ლუჟნიკზე“, იტალიური „პარმას“ მოთამაშეები ამაზე, ბუნებრივია, არ ფიქრობდნენ, დღეს კი... „პარმამ“ მარსელის „ოლიმპიკს“ 3:0 მოუგო და 90-იან წლებში (ისტორიაშიც) მესამედ დაეუფლა ევროპულ თასს. და კიდევ, ამ გამარჯვების შემდეგ იტალია ინგლისს წამოეწია, — ორივეს 25-ჯერ აქვს მოპოვებული კონტინენტური საკლუბო ჯილდო.

ისევ სტატისტიკა: ბოლო 11 სეზონში იტალიურმა გუნდებმა უეფას თასის გათამაშებაში რვაჯერ გაიმარჯვეს, ხოლო თუ უახლოეს ოთხშაბათს თასების თასის ფინალში, „ლაციო“ ესპანურ „მალიორკას“ აჯობებს, ეს ქვეყანა მიმდინარე სეზონში სამიდან ორი ევროთასის მფლობელი შეიქნება.

დამარცხებული „მარსელი“ მშობლიურმა, ფრანგულმა პრესამ მიწასთან გაასწორა, ხოლო მოსკოვში, რუსეთის დედაქალაქის ხელისუფალთ თავი მოჰქონდათ, რომ დიდ შეხვედრას ღირსეულად უმასპინძლეს და გახდნენ პირველი აღმოსავლეთევროპელები, რომელთაც ასეთი პატივი ხვდათ წილად.

მილანში გამომავალი სპორტული გაზეთი, „გაძეტა დელო სპორტი“ აცხადებდა, რომ პარმელთა ბრწყინვალე გამარჯვებით მთელი იტალია უნდა ამაყობდეს.

„მადლობა პარმელებს, რომ იტალიელები ევროთასების რაოდენობით ინგლისელებს წამოვეწიეთ, რითაც ნათლად გამოვაჩინეთ ჩვენი ფეხბურთის ღირსება და სახე. ასეთ წარმატებათა არ დაფასება დაუშვებელია, ის უზარმაზარი შრომისა და ოფლისღვრის შედეგია. ამ საქმეში მცირედ გარისკვაც დაუშვებელია და უამრავ მილიონ დოლარს მოითხოვს. ეს გახლდათ ჯადოსნური გამარჯვება, რომელიც სულაც არ კნინდება იმით, რომ „პარმას“ ჯერ ჩემპიონთა თასი არ მოუგია“ — წერდა გაზეთი.

უკვე ფაქტია, რომ ამ სეზონში „პარმა“ ვერ აღწევს მიზანს, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უმთავრესად მიაჩნდა — ის იტალიის ჩემპიონი ვერ ხდება, მაგრამ მისი მწვრთნელი, ალბერტო მალეზანი ამბობს, რომ მოახლოებულ სატრანსფერო პერიოდში გუნდის ერთი ვარსკვლავიც არ გაიყიდება და სექტემბრიდან ისინი კვლავ შეუტევენ ეროვნული ფეხბურთის მწვერვალს.

„ჩვენი გუნდი თითქმის იდეალური საბადოა, რომლის მადანსაც ვერავინ მოიპარავს“ — განაცხადა მალეზანიმ, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ყოველდღე კითხულობს ცნობებს, თითქოს ესა და ეს მოთამაშე ამა თუ იმ გუნდში მიდის.

არგენტინელ გამთამაშებელზე, ხუან სებასტიან ვერონზე, მაგალითად, ბოლო დროს ხშირად წერდნენ, რომ იგი მზადაა „ლაციოში“ გადასასვლელად, არადა ვერონი ამბობს:

„მომავალ სეზონშიც უმაღლეს მიზნებს დავისახავთ. ასეთი გამარჯვებები მწვერვალებისკენ გვიკაფავს გზას“.

საფრანგეთში, ბუნებრივია, სულ სხვა გუნება-განწყობა მეფობს. უდიდესი სპორტული გაზეთი „ეკიპი“ ასეთი სათაურით იყო გამოსული: „რისიც გვეშინოდა“.

„პრამამ იოლად, 3:0 დაამარცხა „მარსელი“. მატჩში იტალიური გუნდი ბატონობდა, სწორედ ის, რომელმაც მეოთხედფინალში „ბორდო“ გაანადგურა. ამიერიდან „მარსელს“ უჯობს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულზე იფიქროს.“

ლორან ბლანი, რომლის უხეშმა შეცდომამ „პარმას“ პირველი გოლი გაწაპირობა:

„ბოდიშს ვიხდი. თავს ვერაფრით გავიმართლებთ. „პარმა“ ჩვენზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა და ამის თვალსაჩინო დასტური ანგარიში გახლავთ. ბოდიშს ვიხდი. იტალიელებმა ანგარიში რომ გახსნეს, „მარსელის“ წინაშე უკვე გადაულახავი ამოცანა დადგა.“

ლილიან ტურამი, საფრანგეთის ნაკრების მცველი, „პარმას“ ფეხბურთელი:

„პარმა ის გუნდი გახლავთ, რომელსაც მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვება ხელეწიფება. თამაშის წინ მოვილაპარაკეთ „მარსელისთვის“ ინიციატივა დაგვეთმო, მერე კი დავინახეთ იტალიურ და ფრანგულ ფეხბურთს შორის განსხვავება. „პარმაში“ რომ ვთამაშობ, თავი ბედნიერ კაცად მიმაჩნია. დიდი გუნდის წევრი ვარ და დიდ ტიტულებს ვიმკი. რომ გითხრათ, ჩვენი პირველი გოლის დროს ლორან ბლანზე ვფიქრობდი-მეთქი, ტყუილი იქნება. მე უფრო კრესპოზე ვფიქრობდი, რომელმაც ჩვენს სასარგებლოდ გახსნა ანგარიში.“

ხოლო რუსები, როგორც მოგახსენეთ, მასპინძლობისთვის თავის გართმევას ზეიმობდნენ. ფინალის დღე ხომ იმავდროულად კრემლის პოლიტიკურ ინტრიგათა და მაისისთვის შეუფერებელი ავდრის დღე იყო. რუსეთის წამყვანმა სპორტულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ ორგანიზატორებს ტრადიციული, რუსული სკალით 5-დან 4,9 ქულა დაუწერა.

„მოსკოვური ფინალი გამოცდა გახლდათ, გამოცდა ევროპის საფეხბურთო სტრუქტურაში რუსეთის ადგილისა და იგი ბრწინვალედ ჩავაბარეთ“ — წერდა „სპორტ ექსპრესი“.

მაშ ასე, „პარმამ“, რომელსაც 1993 წელს თასების თასი მოეპოვებინა, ხოლო 1995 წელს უეფას თასი, მესამე ევროჯილდო მიიღო, ხოლო ლორან ბლანმა ბიოგრაფიის კოშმარული ჰეთ-თრიკის დღე გაიარა: 1997 წელს, როდესაც „ბარსელონამ“ თასების თასი მოიპოვა, იგი დაშავებული იყო და ფინალში ვერ ითამაშა, გასულ წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დისკვალიფიცირებული გახლდათ, ხოლო ოთხშაბათს...

**როიტერი**



REUTERS მოსკოვიდან

მოსკოვი. 12 მაისი. უეფას თასის მფლობელთა ორიგინალური ზეიმი

## ბაზრობათა (1958-71) და უეფას თასის ფინალები

**1958 ლონდონი (ინგ.) 2:2 ბარსელონა (ესპ.)**
0:1 ტეხადა (4), 1:1 გრივსი (5), 1:2 მარტინესი (43), 2:2 ლენგლი (83)
**ბარსელონა (ესპ.) 6:0 ლონდონი (ინგ.)**
სუარესი 2, ევარისტო 2, მარტინესი, ვერხესი
**1960 ბირმინგემი (ინგ.) 0:0 ბარსელონა (ესპ.)**
**ბარსელონა (ესპ.) 4:1 ბირმინგემი (ინგ.)**
1:0 მარტინესი (3), 2:0, 3:0 ციბორი (6, 48), 4:0 კოლი (78), 4:1 ჰუპერი (82)
**1961 ბირმინგემი (ინგ.) 2:2 რომა (იტ.)**
0:1, 0:2 მანფრედინი (30, 56), 1:2 ჰილველი (78), 2:2 ორიტი (85)
**რომა (იტ.) 2:0 ბირმინგემი (ინგ.)**
1:0 ავტოგოლი (56), 2:0 პესტრინი (90)
**1962 ვალენსია (ესპ.) 6:2 ბარსელონა (ესპ.)**
0:1 კოჩიში (4), 1:1 იოსუ (14), 1:2 კოჩიში (20), 2:2 ხულიო (35), 3:2 იოსუ (42), 4:2, 5:2 ხულიო (54, 67), 6:2 ნუნიესი (74)
**ბარსელონა (ესპ.) 1:1 ვალენსია (ესპ.)**
1:0 კოჩიში (46), 1:1 ხულიო (87)
**1963 დინამო (ზაგრები, იუგ) 1:2 ვალენსია (ესპ.)**
1:0 ზამბატა (13), 1:1 ვალდო (64), 1:2 ურტიაგა (67)
**ვალენსია (ესპ.) 2:0 დინამო (ზაგრები, იუგ.)**
1:0 მანიო (68), 2:0 ნუნიესი (78)
**1964 სარაგოსა (ესპ.) 2:1 ვალენსია (ესპ.)**
1:0 ვილა (40), 1:1 ურტიაგა (42), 2:1 მარსელინო (83)
**1965 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 1:0 იუვენტუსი (ტურინი, იტ.)**
1:0 ფენივეში (74)
**1966 ბარსელონა (ესპ.) 0:1 სარაგოსა (ესპ.)**
0:1 კანარიო (30)
**სარაგოსა (ესპ.) 2:4 ბარსელონა (ესპ.)**
0:1 პუხოლი (3), 1:1 მარსელინო (24), 1:2 პუხოლი (86), 2:2 მარსელინო (87), 2:3 საბალა (89), 2:4 პუხოლი (120)
**1967 დინამო (ზაგრები, იუგ.) 2:0 ლიდს იუნ. (ინგ.)**
1:0, 2:0 ჩერჩეკი (39, 59)
**ლიდს იუნ. (ინგ.) 0:0 დინამო (ზაგრები, იუგ)**
**1968 ლიდს იუნ. (ინგ.) 1:0 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი, უნგ.)**
1:0 ჯონსი (41)
**ფერენცვაროში 0:0 ლიდს იუნაიტედი**
**1969 ნიუკასლი (ინგ.) 3:0 უიპეშტ დოჟა (უნგ.)**
1:0, 2:0 მონკური (63, 72), 3:0 სკოტი (83)
**უიპეშტ დოჟა 2:3 ნიუკასლი**
1:0 ბენე (31), 2:0 გოროში (44), 2:1 მონკური (46), 2:2 არენტოფტი (50), 2:3 ფოგონი (74)
**1970 ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელ.) 3:1 არსენალი (ლონდონი, ინგ.)**
1:0 დევრინდტი (25), 2:0, 3:0 მულდერი (30, 74), 3:1 კენედი (82)
**არსენალი 3:0 ანდერლეხტი**
1:0 კელი (25), 2:0 რედფორდი (75), 3:0 სამელსი (76)
**1971 იუვენტუსი (ტურინი, იტ.) 2:2 ლიდს იუნ. (ინგ.)**
1:0 ბეტეგა (27), 1:1 მედლი (48), 2:1 კაპელო (55), 2:2 ბეიტსი (77)
**ლიდს იუნაიტედი 1:1 იუვენტუსი**
1:0 კლარკი (12), 1:1 ანასტაზი (20)
**1972 ვულვერჰემპტონი (ლონდონი, ინგ.) 1:2 ტოტენჰემი (ლონდონი, ინგ.)**
0:1 ჩივერსი (57), 1:1 მაკკელიოჯი (72), 1:2 ჩივერსი (87)
**ტოტენჰემი 1:1 ვულვერჰემპტონი**
1:0 მიულერი (30), 1:1 ვეგსტეიფი (41)
**1973 ლივერპული (ინგ.) 3:0 ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ)**
1:0, 2:0 კიგანი (21, 32), 3:0 ლოიდი (61)
**ბორუსია 2:0 ლივერპული**
1:0, 2:0 ჰაინკესი (29, 40)
**1974 ტოტენჰემი (ლონდონი, ინგ.) 2:2 ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლ.)**
1:0 ინგლენდი (39), 1:1 ვან ჰანეგენი (43), 2:1 ავტოგოლი (64), 2:2 დე იონგი (85)
**ფეიენოორდი 2:0 ტოტენჰემი**
1:0 რისბერგენი (43), 2:0 რესელი (84)
**1975 ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) 0:0 ტვენტე (ენსხედე, ჰოლ.)**
**ტვენტე 1:5 ბორუსია**
0:1 სიმონსენი (2), 0:2, 0:3, 0:4 ჰაინკესი (9, 50, 60), 1:4 დროსტი (76), 1:5 სიმონსენი (86)
**1976 ლივერპული (ინგ.) 3:2 ბრიუგე (ბელ.)**
0:1 ლამბერტი (5), 0:2 კოოლსი (15), 1:2 კენედი (59), 2:2 კეისი (61), 3:2 კიგანი (65)
**ბრიუგე 1:1 ლივერპული**
1:0 ლამბერტი (11), 1:1 კიგანი (15)
**1977 იუვენტუსი (ტურინი, იტ.) 1:0 ბილბაო (ესპ.)**
1:0 ტარდელი (15)
**ბილბაო 2:1 იუვენტუსი**
0:1 ბეტეგა (7), 1:1 ჩურუკა (11), 2:1 კარლოსი (78)
**1978 ბასტია (საფ.) 0:0 პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლ.)**
**პსვ 3:0 ბასტია**
1:0 ვ. ვან დერ კერკჰოფი (24), 2:0 დიკერსი (67), 3:0 ვან დერ კუილენი (69)
**1979 ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) 1:1 ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ)**
1:0 სესტიჩი (21), 1:1 ავტოგოლი (60)
**ბორუსია 1:0 ცრვენა ზვეზდა**
1:0 სიმონსენი (15)
**1980 ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) 3:2 აინტრახტი (ფრანკფურტი, გფრ)**
0:1 კარგერი (37), 1:1 კულიკი (44), 1:2 ჰოლცენბაინი (71), 2:2 მატეუსი (76), 3:2 კულიკი (88)
**აინტრახტი 1:0 ბორუსია**
1:0 შაუბი (81)
**1981 იფსვიჩ თაუნი (ინგ.) 3:0 აზ 67 (ალკმაარი, ჰოლ.)**
1:0 უარკი (28), 2:0 ტისენი (46), 3:0 მარინერი (56)
**აზ 67 4:2 იფსვიჩ თაუნი**
0:1 ტისენი (4), 1:1 ველცლი (7), 2:1 მეტგოდი (25), 2:2 უარკი (32), 3:2 ტოლი (40), 4:2 იონკერი (74)
**1982 გიოტებორგი (შვედეთი) 1:0 ჰამბურგი (გფრ)**
1:0 ტორდ ჰოლმგრენი (87)
**ჰამბურგი 0:3 გიოტებორგი**
0:1 კორნელიუსონი (26), 0:2 ნილსონი (61), 0:3 ფრედრიკსონი (63)
**1983 ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელ.) 1:0 ბენფიკა (ლისაბონი, პორტ.)**
1:0 ბრილი (29)
**ბენფიკა 1:1 ანდერლეხტი**
1:0 შეუ (36), 1:1 ლოსანო (38)
**1984 ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელ.) 1:1 ტოტენჰემი (ლონდონი, ინგ.)**
0:1 მილერი (57), 1:1 ოლსენი (85)
**ტოტენჰემი 1:1 ანდერლეხტი**
0:1 ჩერნიტინსკი (60), 1:1 რობერტსი (84)
პენალტებში 4:3 მოიგო „ტოტენჰემმა“.
**1985 ვიდეოტონი (სეკესფეჰერვარი, უნგრეთი) 0:3 რეალი (მადრიდი, ესპ.)**
0:1 მიჩელი (31), 0:2 სანტილიანა (77), 0:3 ვალდანო (89)
**რეალი 0:1 ვიდეოტონი**
0:1 მაიერი (86)
**1986 რეალი (მადრიდი, ესპ.) 5:1 კიოლნი (გფრ)**
0:1 ალოფსი (29), 1:1 სანჩესი (38), 2:1 გორდილიო (42), 3:1, 4:1 ვალდანო (51, 84), 5:1 სანტილიანო (89)
**კიოლნი 2:0 რეალი**
1:0 ბაინი (22), 2:0 გილენკირხენი (72)
**1987 გიოტებორგი (შვედეთი) 1:0 დანდი იუნაიტედი (შოტლანდია)**
1:0 პეტერსონი (38)
**დანდი იუნაიტედი 1:1 გიოტებორგი)**
0:1 ლ. ნილსონი (22), 1:1 კლარკი (60)
**1988 ესპანიოლი (ბარსელონა, ესპ.) 3:0 ბაიერი (ლევერკუზენი, გფრ)**
1:0, 2:0 ლოსადა (45, 56), 3:0 სოლერი (49)
**ბაიერი 3:0 ესპანიოლი**
1:0 ტიტა (57), 2:0 გოტსი (63), 3:0 ბუმ კუნ ჩა (81)
პენალტებში 3:2 მოიგო „ბაიერმა“.
**1989 ნაპოლი (იტ.) 2:1 შტუტგარტი (გფრ)**
0:1 გაუდინიო (17), 1:1 მარადონა (68), 2:1 კარეკა (87)
**შტუტგარტი 3:3 ნაპოლი**
0:1 ალემაო (18), 1:1 კლინსმანი (27), 1:2 ფერარა (39), 1:3 კარეკა (62), 2:3 ავტოგოლი (70), 3:3 ო. შმალერი (89)
**1990 იუვენტუსი (ტურინი, იტ.) 3:1 ფიორენტინა (ფლორენცია, იტ.)**
1:0 გალია (3), 1:1 ბუზო (10), 2:1 კაზირაგი (59), 3:1 დე აგოსტინი (73)
**ფიორენტინა 0:0 იუვენტუსი**
**1991 ინტერი (მილანი, იტ.) 2:0 რომა (იტ.)**
1:0 მატეუსი (55), 2:0 ბერტი (67)
**რომა 1:0 ინტერი**
1:0 რიციტელი (81)
**1992 ტორინო (იტ.) 2:2 აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლ.)**
0:1 იონკი (17), 1:1 კასაგრანდე (65), 1:2 პეტერსონი (73), 2:2 კასაგრანდე (82)
**აიაქსი 0:0 ტორინო**
**1993 ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) 1:3 იუვენტუსი (ტურინი, იტ.)**
1:0 რუმენიგე (2), 1:1 დ. ბაჯო (27), 1:2, 1:3 რ. ბაჯო (31, 74)
**იუვენტუსი 3:0 ბორუსია**
1:0, 2:0 დ. ბაჯო (5, 40), 3:0 მიოლერი (65)
**1994 კაზინო (ზალცბურგი, ავსტრია) 0:1 ინტერი (მილანი, იტ.)**
0:1 ბერტი (35)
**ინტერი 1:0 კაზინო**
1:0 იონკი (63)
**1995 პარმა (იტ.) 1:0 იუვენტუსი (ტურინი, იტ.)**
1:0 დ. ბაჯო (5)
**იუვენტუსი 1:1 პარმა**
1:0 ვიალი (33), 1:1 დ. ბაჯო (55)
**1996 ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) 2:0 ბორდო (საფ.)**
1:0 ჰელმერი (34), 2:0 შოლი (60)
**ბორდო (საფ.) 1:3 ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია)**
0:1 შოლი (53), 0:2 კოსტადინოვი (65), 1:2 დუტუელი (76), 1:3 კლინსმანი (78)
**1997 შალკე 04 (გელზენკირხენი, გერმანია) 1:0 ინტერი (მილანი, იტ.)**
1:0 ვილმოტსი (70)
**ინტერი 1:0 შალკე 04**
1:0 სამორანო (84)
პენალტებში 4:1 მოიგო „შალკე 04“-მა.
**1998 ინტერი (მილანი, იტ.) 3:0 ლაციო (რომი, იტ.)**
1:0 სამორანო (5), 2:0 ძანეტი (60), 3:0 რონალდო (70)
**1999 პარმა (იტ.) 3:0 მარსელი (საფ.)**
1:0 კრესპო (26), 2:0 ვანოლი (35), 3:0 კიეზა (55)

REUTERS



ორი უკიდურესობა — „ბლექბერნი“ პრემიერლიგას გამოეთხოვა, ხოლო მანჩესტერი თითქმის ჩემპიონია

# ნაბიჯი წინ და უკან

## ინგლისი

**ბლექბერნი 0:0 მანჩესტერი**

ბლექბერნი: ფილანი, კროფტი, ენჩოსი, პიკოკი, დევიდსონი, გილესპი, დანი, კერსლი, უილკოქსი, უორდი, იანსენი

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, სტამი (მეი 45), ირვინი, ბექემი, ბათი, ფ. ნევილი, გიგზი, იორკი, კოული (შერინგემი 71)

გაფრთხილება: ბათი

მსაჯი: რიდი

„მანჩესტერ იუნაიტედი“ თითქმის ჩემპიონია, „ბლექბერნ როვერსი“ კი პრემიერლიგიდან გავარდა აი, შედეგი, რაც „ივუდ პარკზე“ ნათამაშებმა 0:0-მა მოიტანა.

დარჩა ერთი ტური. კვირას ალექს ფერგიუსონის გუნდი შინ, „ოლდ ტრეფორდზე“ „არსენალის“ თანაქალაქელს, ლიგის თასის მფლობელ „ტოტენჰემ ჰოთსფურს“ უმასპინძლებს. გამარჯვების შემთხვევაში „მანჩესტერი“, ბოლო 7 წელიწადში მეხუთედ გახდება ინგლისის ჩემპიონი, მიუხედავად იმისა, როგორ დასრულდება შეხვედრა ლონდონის „ჰაიბერიზე“, სადაც „არსენალი“ ბირმინგემის „ასტონ ვილას“ დაუხვდება. ხოლო თუ არსენ ვენგერის ბიჭები გაიმარჯვებენ და „იუნაიტედი“ ვერ მოიგებს, ინგლისს შარშანდელი ტრიუმფატორი, „არსენალი“ ეყოლება.

„ივუდ პარკზე“ გამართული მატჩი რაიმე განსაკუთრებული იყოო, ნაღდად არ ითქმის. სტადიონზე მყოფი 30 ათასი ქომაგი მხოლოდ რამდენჯერმე გამოცოცხლდა. მრისხანე სტუმრებს გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მე-10 წუთზე მიეცათ, როდესაც ტრავმამოშუშებულმა უელსელმა გარემარბმა რაიან გიგზმა ლონიერი თავური დაჰკრა და ბურთი ძელს მოარტყა. „ბლექბერნს“ პირველი დივიზიონის უსიამოვნო სუნი განსაკუთრებით ბოლო წუთებში ეცა და გამოფხიზლდა კიდეც, მაგრამ ჯერ პეტერ შმაიხელმა აულო დევიდ დანს რთული ბურთი, შემდეგ კი ეშლი უორდმა მთლად კარგად ვერ ისარგებლა რონი იონსენის უხეში შეცდომით.

— სეზონის დასაწყისში ვინმეს რომ ეთქვა, ბოლო მატჩი მოიგეთ და ჩემპიონები გახდებითო, ძალიან გამიხარდებოდა. ახლა ზუსტად ასეთი მდგომარეობაა და შესაბამისად, მშვენიერ ხასიათზე ვარ. კვირა საღამოსთვის ყველაფერი უნდა დავივიწყო, ჩვენი ერთადერთი საზრუნავი „ტოტენჰემის“ ძლევა იქნება — ამბობს ფერგიუსონი.

შოტლანდიელმა მწვრთნელმა „ბლექბერნზეც“ ისაუბრა. კლუბზე, რომელმაც ახლა მილანის „ინტერის“ დროებითი თავკაცის, როი ჰოჯსონის ხელმძღვანელობით საზიზღრად დაიწყო სეზონი, რის გამოც იგი შარშან დეკემბერში სწორედ ფერგიუსონის მარჯვენა ხელმა ბრაიან კიდმა შეცვალა. თუმცა 1995 წლის ინგლისის ჩემპიონებს ვერც მან უშველა — პრემიერლიგაში შვიდწლიანი გამოსვლის შემდეგ ბლექბერნელები ქვედა დივიზიონში გავარდნენ.

— არ ვიცოდი, რომ ფრის შემთხვევაში „ბლექბერნი“ ქვეითდებოდა, ბრაიანთან საერთოდ არ მისაუბრია ამაზე. ამ წუთს არ ვიცი, რა ვთქვა, ხშირად ეს არ არის ადვილი. იგი გუნდის თავიდან შექმნას აპირებს და იქნებ პირველ დივიზიონში ყოფნამ უფრო დიდი სამსახური გაუწიოს — ანუგეშა კოლეგა „მანჩესტერის“ მენეჯერმა. თუმცა ბრაიან კიდის ნუგეშის ცემა ასე ადვილი საქმე არ გახლდათ, იგი ცოფებს ყრიდა:

— ჩვენ თავად გავაგდეთ ჩვენი თავი და „იუნაიტედი“ აქ არაფერ შუაშია. „ბლექბერნში“ მოსვლისთანავე გუნდში არასასურველი განწყობა შევნიშნე, სამწუხაროდ, ამის გამოსწორება ვერ მოვასწარი. ფეხბურთელებმაც ვერ შემიწყვეს ხელი, ისინი ჩემს დავალებებს საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას. მიიღეს კიდეც საკადრისი. თუმცა ახლა ვიშვიშის დრო აღარ არის, მომავალზე, გუნდის მთლიანად გარდაქმნაზე უნდა ვიმუშაოთ — თქვა მან.

... შეხვედრის შემდეგ ცისფერმაისურიანი „ბლექბერნის“ გულშემატკივრები ცრემლად იღვრებოდნენ, განსაკუთრებით ერთი ხანშიშესული კაცი მოთქვამდა, მულტიმილიონერი, ბრიტანეთში ცნობილი მეწარმე, უბრალოდ კი, აწ უკვე პირველდივიზიონელი „როვერსის“ მფლობელი ჯეკ უოქერი...

დავით ძოწიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 37 | 21 | 13 | 3 | 78:36 | 76 |
| არსენალი | 37 | 21 | 12 | 4 | 58:17 | 75 |
| ჩელსი | 37 | 19 | 15 | 3 | 55:29 | 72 |
| ლიდსი | 37 | 18 | 12 | 7 | 60:32 | 66 |
| ასტონ ვილა | 37 | 15 | 10 | 12 | 51:45 | 55 |
| ვესტ ჰემი | 37 | 15 | 9 | 13 | 42:53 | 54 |
| დერბი | 37 | 13 | 13 | 11 | 39:43 | 52 |
| ლივერპული | 37 | 14 | 9 | 14 | 65:49 | 51 |
| მიდლსბრო | 37 | 12 | 15 | 10 | 48:50 | 51 |
| ლესტერი | 37 | 12 | 13 | 12 | 40:45 | 49 |
| ტოტენჰემი | 37 | 11 | 14 | 12 | 46:48 | 47 |
| ნიუკასლი | 37 | 11 | 12 | 14 | 47:53 | 45 |
| შეფილდი | 37 | 12 | 7 | 18 | 40:42 | 43 |
| ევერტონი | 37 | 11 | 10 | 16 | 42:45 | 43 |
| უიმბლდონი | 37 | 10 | 12 | 15 | 40:60 | 42 |
| ქოვენთრი | 37 | 11 | 8 | 18 | 37:49 | 41 |
| საუთჰემპტონი | 37 | 10 | 8 | 19 | 35:64 | 38 |
| ჩარლტონი | 37 | 8 | 12 | 17 | 41:55 | 36 |
| ბლექბერნი | 37 | 7 | 13 | 17 | 37:51 | 34 |
| ნოტინგემი | 37 | 6 | 9 | 22 | 34:69 | 27 |

## ჰოლანდია

**გამოტოვებული მატჩი**

**როდა 1:0 ფეიენოორდი**

1:0 ლავალი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 32 | 23 | 5 | 4 | 71:37 | 74 |
| ტილბურგი | 32 | 19 | 5 | 8 | 66:44 | 62 |
| ვიტესი | 32 | 17 | 7 | 8 | 58:41 | 58 |
| როდა | 32 | 16 | 9 | 7 | 55:36 | 57 |
| ეინდჰოვენი | 32 | 15 | 10 | 7 | 77:52 | 55 |
| აიაქსი | 32 | 15 | 8 | 9 | 69:39 | 53 |
| ჰერენვენი | 32 | 14 | 11 | 7 | 53:40 | 53 |
| ტვენტე | 32 | 12 | 12 | 8 | 47:42 | 48 |
| ალკმაარი | 32 | 11 | 12 | 9 | 47:51 | 45 |
| სიტარდი | 32 | 12 | 8 | 12 | 47:48 | 44 |
| უტრეხტი | 32 | 10 | 8 | 14 | 52:58 | 38 |
| ნაიმეგენი | 32 | 9 | 9 | 14 | 39:51 | 36 |
| გრააფსხაპი | 32 | 8 | 11 | 13 | 37:53 | 35 |
| კამბური | 32 | 7 | 10 | 15 | 35:60 | 31 |
| მაასტრიხტი | 32 | 6 | 11 | 15 | 39:59 | 29 |
| ვალვაიკი | 32 | 5 | 9 | 18 | 37:59 | 24 |
| სპარტა | 32 | 6 | 4 | 22 | 32:71 | 22 |
| ბრედა | 32 | 4 | 9 | 19 | 37:57 | 21 |

## საბერძნეთი

30-ე ტური: პანათინაიკოსი — აეკ 0:0; ეთნიკოსი (პირეოსი) — ოლიმპიაკოსი 0:3; კავალა — აპოლონი 0:1; ოფი — პაოკ 3:2; ირაკლისი — ქსანტი 2:2; პანილიაკოსი — ეთნიკოსი (ასტირი) 1:0; ვერია — იონიკოსი 0:2; პანელეფსინიაკოსი — არისი 0:1. პრუდეფტიკი — პანიონიოსი გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 30 | 24 | 3 | 3 | 73:19 | 75 |
| აეკ | 30 | 20 | 5 | 5 | 64:24 | 65 |
| პანათინაიკოსი | 30 | 19 | 5 | 6 | 57:33 | 62 |
| პაოკ | 30 | 16 | 5 | 9 | 41:28 | 53 |
| არისი | 30 | 16 | 3 | 11 | 43:38 | 51 |
| ქსანტი | 30 | 14 | 8 | 8 | 40:29 | 50 |
| იონიკოსი | 30 | 14 | 8 | 8 | 55:34 | 50 |
| ოფი | 30 | 15 | 3 | 12 | 44:35 | 48 |
| ირაკლისი | 30 | 12 | 8 | 10 | 45:35 | 44 |
| ეთნიკოსი (ა) | 30 | 11 | 4 | 15 | 34:48 | 37 |
| კავალა | 30 | 10 | 6 | 14 | 41:58 | 36 |
| პანილიაკოსი | 30 | 10 | 5 | 15 | 33:45 | 35 |
| აპოლონი | 30 | 8 | 9 | 13 | 37:53 | 33 |
| პრუდეფტიკი | 29 | 8 | 7 | 14 | 22:31 | 31 |
| პანიონიოსი | 29 | 9 | 3 | 17 | 39:47 | 30 |
| პანელეფსინ. | 30 | 5 | 11 | 14 | 19:42 | 26 |
| ვერია | 30 | 5 | 5 | 20 | 18:50 | 20 |
| ეთნიკოსი (პ) | 30 | 0 | 8 | 22 | 15:71 | 8 |

## პოლონეთი

26-ე ტური. ვიძევი — ვისლა 1:0, გკს (ბელხატოვი) — რუხი 0:2, გკს (კატოვიცე) — გურნიკი 1:1, ამიცა — პოგონი 2:0, ლეგია — ლკს 3:0, რუხი — ოდრა 2:0, ლეხი — პოლონია 0:1, შტომილი — ზაგლებიე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 26 | 22 | 1 | 3 | 67:19 | 67 |
| ვიძევი | 26 | 17 | 1 | 8 | 43:28 | 52 |
| ლეგია | 26 | 13 | 8 | 5 | 34:23 | 47 |
| ლეხი | 26 | 15 | 2 | 9 | 49:30 | 47 |
| პოლონია | 26 | 12 | 6 | 8 | 36:27 | 42 |
| რუხი | 26 | 9 | 8 | 9 | 33:31 | 35 |
| გურნიკი | 26 | 8 | 10 | 8 | 29:36 | 34 |
| ზაგლებიე | 26 | 8 | 9 | 9 | 35:37 | 33 |
| შტომილი | 26 | 9 | 4 | 13 | 26:36 | 31 |
| ამიცა | 26 | 8 | 6 | 12 | 30:37 | 30 |
| რუხი | 26 | 8 | 6 | 12 | 19:33 | 30 |
| ლკს | 26 | 7 | 8 | 11 | 30:39 | 29 |
| ოდრა | 26 | 7 | 6 | 13 | 29:37 | 27 |
| პოგონი | 26 | 7 | 6 | 13 | 31:48 | 27 |
| გკს (ბ) | 26 | 7 | 5 | 14 | 27:43 | 26 |
| გკს (კ) | 26 | 5 | 6 | 15 | 22:43 | 21 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ჩეხმა** ნახევარმცველმა, ვლადიმირ შმიცერმა თავის ფრანგულ კლუბს, „ლანსს“ სთხოვა ჩემში იქნებ ცოტა ნაკლები თანხა მოითხოვოთ, რათა „ლივერპულში“ გადასვლა მომიხერხდესო. რამდენადაც ცნობილია, „ლანსი“ შმიცერის სანაცვლოდ 8,1 მილიონ დოლარს ითხოვს, „ლივერპული“ კი 2,4 მილიონის დაკლებას სთავაზობს. „თუ კლუბი გამიშვებს, ვგონებ მისთვისაც კარგი ბიზნესი გამოვა“ — ამბობს ჩეხი — „სამი წელიწადია, ლანსში ვარ და ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულიც მოვიგეთ და თასიც. ასე რომ, გუნდისთვის თავდადებას ვერავინ დამიწუნებს. „ლივერპულში“ გადასვლა ჩემთვის დიდი საქმეა და არა იმიტომ, რომ ინგლისელები ფრანგებზე მეტ ხელფასს გადამიხდიან, არამედ იმიტომ, რომ ახალ გარემოში მინდა მოვსინჯო ძალა. ტიტულები კი არცთუ ცოტა მაქვს: პრაღის „სლავიას“ შემადგენლობაში ჩეხეთის ჩემპიონი ვიყავი, ხოლო „ლანსში“, როგორც გითხარით, საფრანგეთის“.

**ესპანეთის** სამეფო გუნდად წოდებული მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა და ფრანგი ფეხბურთელის, ნიკოლა ანელკას წარმომადგენლებმა მოთამაშის „რეალში“ შესაძლო გადასვლაზე ითათბირეს. ესპანური ტელევიზიის ცნობით, შეხვედრა მადრიდის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში შედგა. შეხვედრის შემდეგ არც სანსმა და არც ბატონებმა, მარკ როჟემ და ბრუნო კარპეჯანიმ ისურვეს დეტალების გამომზეურება. ამბობენ, რომ „რეალს“ ანელკას გადაბირება ყოველ მიზეზს გარეშე სურს და საამისოდ ნოყიერი ნიადაგიც აქვს შექმნილი, რამეთუ ანელკა ლონდონურ „არსენალში“ თავს ბედნიერად ვერ გრძნობს და სურს იქაურობას გაეცალოს. არსებობს ეჭვი, რომ ანელკას სანაცვლოდ მადრიდელები ლონდონელებს თავიანთ იუგოსლაველ თავდამსხმელს პრედრაგ მიატოვიჩს სთავაზობენ და ცხადია ფულსაც უმატებენ. თუ ასეთი გარიგება ჩაიშალა, მაშინ „რეალს“ არც მეტი, არც ნაკლები, 19,2 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

**ინგლისის** მიმდინარე ჩემპიონატის ბოლო თამაში „არსენალს“ კვირას, ბირმინგემის „ასტონ ვილასთან“ აქვს. ამ შეხვედრაში ლონდონელებს არ ეყოლებათ დაშავებული მცველი ნაიჯელ უინტერბერნი, რომელსაც სამშაბათს, ლიდსში თამაშის დროს (0:1) ცხვირი გაუტეხეს და ახლა ოპერაცია სჭირდება.

**ჰოლანდიის** პოლიცია გვპირდება, რომ ევრო 2000-ის დღეებში ხულიგნებს სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს. ეს დამაიმედებელი ამბავი საზოგადოებრიობას ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ბრამ პეპერმა აცნობა. მოგეხსენებათ, გაისად ზაფხულზე ევროპის ჩემპიონატი ჰოლანდიის გარდა, ბელგიის სტადიონებზეც გაიმართება. „ნებისმიერი, ვისაც კანონის დარღვევა მოეპრიანება, სწრაფად და სასტიკად გამოვლინდება, მერე კი დაისჯება“ — განაცხადა მინისტრმა. თურმე, ჰოლანდიელი სამართალდამცავები სტადიონებთან „ფულისმყლაპავი ყულაბამანქანების“ დამონტაჟებას აპირებენ, რათა დამნაშავეებმა შორს წაუსვლელად გადაიხადონ ჯარიმა და თუ ჩივილი სურთ, მერე, სამი დღის მანძილზე იჩივლონ, უსამართლოდ მომექცნენო. პეპერი ბრიტანელებთანაც აწარმოებს მოლაპარაკებებს, რათა მათ თავიანთი ცნობილი ხულიგნები შინ დააბან და ჰოლანდია — ბელგიაში არ გაუშვან. როგორც ჩანს, მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება.

**რუმინეთის** ჩემპიონატი. 29-ე ტური: რესიტა — დინამო 1:1; ონესტი — ნაციონალი 2:3; რაპიდი — ფორესტა 2:0; არჯესი — ოლიმპია 3:1; უნივერსიტატია (კლუჟი) — ასტრა 0:2; უნივერსიტატია (კრაიოვა) — ფარული 1:0; სტიაუა — გლორია 0:0; პეტროლული — ჩაჰლაული 1:0; ბაკაუ — ოტელული 1:1. პირველობის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე 74 ქულით ლიდერობს ბუქარესტის „რაპიდი“. მას ორი ქულით ჩამორჩება თანაქალაქელი „დინამო“, ხოლო ბუქარესტისავე „სტიაუა“ მესამე ადგილზეა, ოღონდ სერიოზული ჩამორჩენით — 55 ქულით.

**ნამიბიის** ნაკრებს „კოსაფა კასტლის“ თასზე 22 მაისს მალავისთან აქვს სათამაშო და ამისთვის 19 ფეხბურთელიანი შემადგენლობა უკვე დაასახელა. ნამიბიელთა გუნდში ყურადღებას იპყრობს ჩინეთში მოთამაშე თავდამსხმელის, ელიფას შივუტის დაბრუნება. საქმე ისაა, რომ მწვრთნელი პეტერ უბერჯანი ერთი ხნის წინ შივუტს ერთობ აკრიტიკებდა, რადგან ფეხბურთელმა აფრიკის თასის შესარჩევი ეტაპის ორ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მიზეზი იგივეა, რაც ევროპულ ფეხბურთშიც ხშირად გვხვდება: ფორვარდმა ჩინეთის ჩემპიონ კლუბში, „დალიან ვანდაში“ ბურთაობა არჩია ეროვნულ გუნდში გამოსვლას. ეტყობა, შივუტი ერთობ გამამლაყინწებული კაცია და ჰგონია, რომ რაკიღა ჩინეთში გადასვლამდე შოტლანდიური „მოზერველის“ წევრი იყო, თვისტომებს ზემოდან უნდა დაჰყურებდეს. იგი ამბობდა, სანამ ნამიბიის ნაკრებს ეგ გერმანიაში დაბადებულ-გაზრდილი უბერჯანი წვრთნის, მანდ ჩამომსვლელი არ ვარო, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, აზრი იცვალა. შივუტის შემატება ნაკრებისთვის, რომელსაც წლეულს წამლად ერთ შეხვედრაშიც არ გაუმარჯვია, დიდ რამეს ნიშნავს.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი, როი კინი იმედიანადაა. მას სწამს, რომ სეზონის მიწურულს ჯანმრთელობას აღიდგენს და ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში „ნიუკასლ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ითამაშებს. რაც შეეხება ჩემპიონთა თასის ფინალს მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ, მასში კინი ხომ ისედაც ვერ მიიღებს მონაწილეობას, რადგან ნახევარფინალში, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ თამაშის დროს მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია. მოგეხსენებათ, „იუნაიტედს“ ამ სეზონში კიდევ ერთი შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი. კვირას, პრემიერლიგაში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“, სადაც ირლანდიელი ასევე ვერ ითამაშებს. „კვირისთვის ვერ მოვიშუშებ ტრავმას, მაგრამ თასის ფინალში მონაწილეობის იმედი კი ნამდვილად მაქვს. თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ სწრაფი გამოჯანმრთელების გზას ვადგავარ. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი, ჩემპიონთა თასის ფინალში დისკვალიფიცირებულს ასოციაციის თასის ფინალშიც რომ ვერ მეთამაშა“ — ამბობს კინი.

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი დათუნიასი და მართალი დავორისა

**ხორვატი** თავდასხმელი დავორ შუკერი ამბობს, მადრიდის „რეალის“ შოტლანდიელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი ცხოვრებაში არ გამიკრიტიკებია და იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა, რის შემდეგაც გუნდში დამაბრუნებენო.

მოგეხსენებათ, „რეალის“ ხელმძღვანელობამ, ერთი ხნის წინ, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს სასტიკი განაჩენი გამოუტანა: გააგდო და თან ისე, რომ ხელფასი არ გადაუხადა და 3200 დოლარი ჯარიმაც დაადო. დასჯის მიზეზად, საყოველთაოდ, მწვრთნელის კრიტიკა და აუგი იყო დასახელებული.

ახლა ხორვატმა საქმეში ვექილები ჩარია. რა უნდათ, რას მერჩიან, ტოშაკზე არასდროს არაფერი მითქვამსო, მაგრამ ვითარების მის სასარგებლოდ შეცვლას მადრიდში არავინ ელის. შუკერს სეზონის დამთავრების შემდეგ „რეალიდან“ წასვლა მოუწევს და როგორც ამბობენ, მისთვის ყველა გზა ლონდონში მიდის, „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ ან „ფულემში“.

„ტოტენჰემ ჰოთსპური“, მოგეხსენებათ, პრემიერლიგის გუნდია, ხოლო „ფულემი“ ახლახან აღზევდა პირველ დივიზიონში. ამასწინათ შუკერი იყო კიდეც ლონდონში, მაგრამ იქიდან დაბრუნებულმა იეშმაკა:

„ჩემი მეგობარი გოგონასთვის დათუნიას ყიდვა მინდოდა, მეტი არაფერი“.

ხორვატს საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე უთქვამს, „რეალში“ მესამე კაცი ვარო, მერე კი...

„ისინი მე, დავორ შუკერს, ბრალად ჯონ ბენჯამინ ტოშაკზე აუგის თქმას მდებენ, არადა ასეთი რამ არ მომხდარა. ჩვენ, ფეხბურთელები ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა მომავალი სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგაში დავიბევოთ ადგილი. მეც ამ თავდადებულ მოთამაშეთა შორის გახლავართ და სმურს, სხვა სახის პრობლემები რაც შეიძლება მალე მოვაგვარო, რადგან გაუგებრობა და დაძაბულობა მაზარალებს მეც, კლუბსაც და მწვრთნელსაც“ — თქვა ფორვარდმა.

მას ბოდიში არ მოუხდია, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში რაღაც გაუგებრობებში იყო გარეული. უბრალოდ განაცხადა, ყველაფერს ბოლო რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოსო.

„ხალხი რაღაც ფრაზებს იმეორებდა, თითქოს ჩემი ნათქვამი ყოფილიყოს, მე კი დაუყოვნებლივ ვერც მოვახერხე ჭორების უარყოფა, რადგან სევილიაში გახლდით ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ერთად. ეტყობა, მეც დავუშვი შეცდომა, იმთავითვე უნდა შევსულიყავი პრეზიდენტთან და ყველაფერი გამერკვია. ახლა ჩემი ადვოკატები დეტალებში იჩხრიკებიან“.

მოკლედ, შუკერი იმედოვნებს, რომ სიმართლე მალე გაირკვევა, თუმცა „რეალის“ მაისურას კიდევ როდის მოირგებს, არაფერი უთქვამს.

„ჯერჯერობით კლუბისგან ველოდები რეაქციას. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა და ვნახოთ, დავუბრუნდები თუ არა საწვრთნელ ბაზას. ერთი კი იცოდეთ, გულწრფელად მსურს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში ჩემი წვლილი შევიტანო“.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შუკერს საქმეები აირია. ჯერ იყო და, მუხლის ტრავმამ ერთი თვე გააცდენინა, შემდეგ კი ვერაფრით აღიდგინა ძველებური ფორმა. მას არც გუს ჰიდინკი ათამაშებდა და არც ჰოლანდიელის მემკვიდრე ტოშაკი ათამაშებს. ხორვატი ფეხბურთელი უპირატესად სათადარიგოთა სკამზეა და მიმდინარე სეზონში სულ ოთხჯერ გადააკვეთინა ბურთს მეტოქეთა კარის ხაზი.




დავორ შუკერი

# საგიჟეთი ბარსელონაში

**ბარსელონაში** დიდი გაწევ-გამოწევაა მოსალოდნელი. აქ, 26 მაისს ჩემპიონთა თასის ფინალი უნდა გაიმართოს და ბილეთებზე ერთი ამბავია ატეხილი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ კლუბის დირექტორატის 33-მა წევრმა სათითაოდ 50-50 ბილეთი წაიღო.

„კამპ ნოუ“ 98-ათასიანია, არადა, დღესვე ცნობილია, რომ მიუნხენის „ბაიერნისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადამწყვეტი დაპირისპირების სანახავად 100 ათასზე მეტი ადამიანი აპირებს მის ტრიბუნაზე მოკალათებას.

სხვა სატკივარი არაფერი რომ იყოს, ჯანდაბას, კაცი იტყოდა, ვინც ბილეთს იშოვის, იშოვის, ვინც არა და ტელევიზორს მიუჯდებაო, მაგრამ მთელი უბედურებაც ის გახლავთ, რომ სალაროებში გასატანად სულ 2100 ბილეთიღაა დარჩენილი. ეს 2100 ადგილიც ის 2100 ადგილია, „ბარსელონას“ აბონემენტიან გულშემატკივრებს რომ აწაპნეს, მეტი კი...

გულის გამხეთქავი წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა „ლა ვანგუარდიამ“ — 1650 ბილეთი „ბარსას“ ჩინოვნიკებს მიუტაციათ. თავად მოთამაშეებს, ვთქვათ რივალდოს, ჰესპს, დე ბურებს და სხვებს, ორ-ორიღა რგებიათ.

კლუბმა ცხადია, კომენტარს თავი აარიდა. გასაგებად რომ ვთქვათ, ჟურნალისტებს ყველა დაემალა გენერალური მენეჯერის, ხაიმე პარესის გარდა, რომელმაც განაცხადა, ქომაგებს ბოდიში, მაგრამ ვერაფრით დავეხმარებითო.

„ყველა ბილეთი ფინალისტი გუნდების გულშემატკივრებს გავუნაწილეთ“. — ასეთი რამ ითქვა.

ცხადია, „კამპ ნოუზე“ ცარიელი სივრცეც უნდა იყოს. ის, რომელიც ინგლისელ და გერმანელ ფანებს დააშორიშორებს. არის კიდევ ბილეთების რაღაც რაოდენობა, რომელიც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ წაიღო.

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბაიერნის“ გულშემატკივრებს 30-30 ათასი ბილეთი ერგოთ. არის ეჭვი, რომ ბოლო დღეს შავ ბაზარზე „დაკარგული ბილეთებიც“ გამოჩნდება, ხოლო მანჩესტერიდან, კაი 25 ათასი კაცი ისე ჩავა კატალონიის დედაქალაქში, უბილეთოდ.

თამაშის მასპინძელ-ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ის იღბლიანი ბარსელონელები, რომლებიც ბილეთებს შეიძენენ, მათ თავად წავლენ სტადიონზე.



# ლიზარაზუ ხვალ

**მიუნხენის** „ბაიერნში“ მოთამაშე ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონ, მარცხენა მცველ ბიქსენტე ლიზარაზუს ხვალ ბუნდესლიგის მორიგი ტურის მატჩში, „ნიურნბერგთან“ უნდა ეთამაშა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ლიზარაზუს ტრავმა ფაქტობრივად მოშუშებული ჰქონდა, მაგრამ, გუშინ ვარჯიშზე გავიდა და... „ეტყობა ჯერ ადრეა“ — თქვა მან და ვარჯიში უმალ დაასრულა. მიუხედავად ამისა, 26 მაისს, ბარსელონაში, ჩემპიონთა თასის ფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ არაა გამორიცხული მან მაინც დაიკავოს ჩვეული პოზიცია.

„რომ გითხრათ ტკივილი საბოლოოდ გამიყუჩდაო, არ ვიქნები მართალი, მაგრამ ასეთი ტკივილი ნორმალურია“ — ამბობდა 29 წლის ბასკი, გუშინდელ ვარჯიშამდე. მან მარტში საფრანგეთისა და უკრაინის ნაკრებების თამაშის დროს, მიიღო ტრავმა და აგერ უკვე ექვსი კვირაა არ უთამაშია.

ბუნებრივია ჯერ ტრავმას სჭირდება მოშუშება, მერე კი ფორმას აღდგენა. „ბაიერნის“ გამოცდილი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდიც ამიტომ ფრთხილობს და ამბობს, ნუ ავჩქარდებით შევხედოთ, როგორ იქნება საქმე და დასკვნები მერე გავაკეთოთო.

მოგეხსენებათ „ბაიერნს“ უკვე განაღდებული აქვს ჩემპიონის ტიტული და ახლა სეზონის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მატჩი, ჩემპიონთა თასის ფინალი ელის. მიუნხენელები მანამდე ბრაზილიელი ფორვარდის, ჯოვანი ელბერის გამოჯანმრთელებასაც ელიან.

# მიუხედავად პატივისცემისა

**მილანის** „ინტერის“ ჩილელი თავდამსხმელი ივან სამორანო ამბობს, რომ მისი ახალგაზრდა თანაკლუბელი, ბრაზილიელი რონალდო არ არის გუნდის კაპიტნობის ღირსი. მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელს „ინტერის“ კაპიტნის სამკლაური 3 აპრილის შემდეგ უკეთია. მაშინ მილანელები „ფიორენტინას“ მასპინძლობდნენ, გუნდის ვეტერანი კაპიტანი ჯუზეპე ბერგომი სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა, ხოლო მეკარე ჯანლუკა პალიუკა დისკვალიფიცირებული იყო და რონალდოსაც ამიტომ ერგო ეს პატივი.

— დიდ პატივს ვცემ რონალდოს, იგი უდავოდ გენიალური ფეხბურთელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად კაპიტანი უნდა იყოს. ჩემი აზრით, კაპიტანი გუნდმა უნდა აირჩიოს და არა მწვრთნელმა, ანაც კლუბის ხელმძღვანელობამ — თქვა სამორანომ.

როდესაც იტალიელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ ვინ არის, ჩილელი ფორვარდის აზრით, „ინტერის“ წინამძღოლობის ყველაზე ღირსეული კანდიდატი, მან დაუფიქრებლად განაცხადა:

— დიეგო სიმეონე, იგი მოწოდებით არის ლიდერი.

სამორანომ უარყო მოარული ხმები, თითქოს სეზონის დასაწყისში რონალდოს და სიმეონეს შორის კონფლიქტი, მეტიც, ხელჩართული ჩხუბი მოხდა:

— ეს ჭორები გახლავთ. რონალდოსადმი გუნდში უარყოფითად არავინაა განწყობილი, მით უმეტეს, სამხრეთამერიკელები. დიეგოსა და რონალდოს არასდროს უჩხუბიათ. საერთოდ, მოთამაშეები ყოველ გუნდში პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთს მოედანზეც, გასახდელშიც და ერთად სადილობის დროსაც. სხვაგვარად არაფერი გამოვა. „ინტერში“ ამ მხრივ იდეალური მდგომარეობაა — აბობს სამორანო, რომელიც მილანურ კლუბში ბრაზილიელი ვარსკვლავის მისვლამდე 9-ნომრიანი მაისურით თამაშობდა, მერე კი საყვარელი ნომერი რონალდოს გადაულოცა, თუმცა ცხრას ვერ შეელია, ეს ციფრი შესაკრებებად დაშალა და ზურგზე 1+8 დაიწერა.

ისე, სერია A-ში მოთამაშე კლუბებში მარტო რონალდო არ არის ახალგაზრდა კაპიტანი. ორ დედაქალაქურ გუნდს, „რომას“ და „ლაციოს“ მისი თანატოლები, 22 წლის ფრანჩესკო ტოტი და ალესანდრო ნესტა უძღვებიან.

**ნოდარ ქასრაძე**



ივან სამორანოს (მარჯვნივ) აზრით, რონალდო „ინტერის“ კაპიტნობის ღირსი არ არის

## ბულგარეთი

**თასის ნახევარფინალი**

**ლიტექსი 1:0 ლოკომოტივი** (სოფია)

ორი მატჩის ჯამში — 1:0

**ლევსკი** (კისტენდილი) **2:2 ცსკა**

ორი მატჩის ჯამში — 2:3

ფინალი ცსკა — ლიტექსი 26 მაისს გაიმართება

*„ლევსკისა“ და ცსკას შეხვედრის შემდეგ სტუმართა გახარებულმა ქომაგებმა ემოციები იმდენად ვერ მოთოკეს, რომ მათ დასაშოშმინებლად პოლიციის საგანგებო რაზმის დახმარება გახდა საჭირო*




REUTERS

**სარბიელის** საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**

☎ 99 67 67, 98 30 20

## ამხანაგური მატჩი

19 მაისი. რუსეთი — ბელარუსი

რუსეთის ნაკრების შემდაგენლობა: მეკარეები — სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი, ავსტრია), სერგეი ოვჩინიკოვი (ბენფიკა, პორტუგალია); მცველები — დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო, ესპანეთი), ევგენი ვარლამოვი (ცსკა), იგორ ჩუგაინოვი (ლოკომოტივი), იგორ იანოვსკი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი); ნახევარმცველები — ილია ციმბალარი, იგორ ტიტოვი, ანდრეი ტიხონოვი, ვიქტორ ბულატოვი (ყველა სპარტაკი), იური დროზდოვი, ალექსეი სმერტინი (ორივე ლოკომოტივი), ვალერი კარპინი (სელტა, ესპანეთი), დმიტრი ხოხლოვი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), დმიტრი ალენიჩევი (რომა, იტალია); თავდამსხმელები — სერგეი იურანი (სპარტაკი), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი, ესპანეთი), ალექსანდრ პანოვი (ზენიტი)

## ლიბერტადორესის თასი
### მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

**ველეს სარსფილდი (არგენტინა) 1:0 რივერ პლეიტი (არგენტინა)**
1:0 ბასედასი (68)
ორი მატჩის ჯამში — 1:2

**კორინთიანსი (ბრაზილია) 2:0 პალმეირასი (ბრაზილია)**
1:0 ედილსონი (39), 2:0 რიკარდინიო (55)
ორი მატჩის ჯამში — 2:2 (პენ. 2:4)

**სერო პორტენო (პარაგვაი) 4:0 ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა)**
1:0 კაბალერო (26), 2:0 ბლანკო (47), 3:0 გაუჩინიო (67), 4:0 ასევალი (85პ)
ორი მატჩის ჯამში — 4:3

**ბელა ვისტა (ურუგვაი) 1:1 დეპორტივო კალი (კოლუმბია)**
1:0 გარსია (59), 1:1 ბონილო (80)
ორი მატჩის ჯამში — 2:3

### ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| 19.05.99 კალი | დეპორტივო კალი (კოლუმბია) — სერო პორტენო (პარაგვაი) |
| 19.05.99 ბუენოს აირესი | რივერ პლეიტი (არგენტინა) — პალმეირასი (ბრაზილია) |
| 26.05.99 ასუნსიონი | სერო პორტენო (პარაგვაი) — დეპორტივო კალი (კოლუმბია) |
| 26.05.99 სან პაულუ | პალმეირასი (ბრაზილია) — რივერ პლეიტი (არგენტინა) |




REUTERS

სერო პორტენო — ესტუდიანტეს დე მერიდა 4:0. სტუმარი ლუის პაჩეკო (მარცხნივ) მასპინძელი მცველის მაურო კაბალეროს ჩამოტოვებას ცდილობს



ოლეგ ლუჟნი

## კიევიდან ლონდონში

კიევის „დინამოსა" და უკრაინის ეროვნული გუნდის გამოცდილი მარჯვენა მცველი ოლეგ ლუჟნი მიმდინარე სეზონის ბოლოს ინგლისის ჩემპიონ ლონდონის „არსენალში" გადავა, წერია „დინამოს" ოფიციალურ განცხადებაში.

— გარიგება თითქმის დასრულებულია, მხოლოდ წვრილმანი საკითხები და კონტრაქტზე ხელმოწერაა საჭირო. ვფიქრობ, ამას ყველაფერს მომავალ კვირაში გავაკეთებთ — ამბობს უკრაინული კლუბის დირექტორატის წევრი ქალბატონი ვიქტორია ბაბარიცკაია.

თანხებზე საუბარი ბაბარიცკაიამ არ ისურვა, თუმცა, როგორც ინგლისური პრესა ირწმუნება, კიევის „დინამო" ლუჟნის სანაცვლოდ 1,8 მილიონ გირვანქას, ანუ 3 მილიონ დოლარს მიიღებს.

30 წლის მცველს ლონდონელთა ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა თვალი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში დაადგა. ამ ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე „დინამო" და „არსენალი" ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ ლუჟნის შეძენით ვენგერი გუნდის გამოცდილი და მრავალი წლის განმავლობაში ერთად მოთამაშე დაცვითი ხაზის რეფორმას იწყებს.

გასულ ზაფხულში ვეტერან მცველს თითქმის გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება პორტუგალიურ „ბენფიკასთან", მაგრამ საბოლოოდ გარიგება ჩაიშალა. ამის შემდეგ მას თემურ ქეცბაიას „ნიუკასლ იუნაიტედიც" ეპატიჟებოდა, თუმცა ამაოდ.

## მატჩი შედგება

უეფას გადაწყვეტილებამ, 5 ივნისს დუბლინში ირლანდიასა და იუგოსლავიას შორის არ დაგეგმილი მატჩი გამართულიყო, მოგეხსენებათ, ირლანდიელთა გულისწყრომა გამოიწვია. ქვეყნის ხელისუფლებამ დაუფიქრებლად დაუჭირა მხარი ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც იუგოსლავიასთან შეხვედრის დროებით გადადებას ითხოვდა.

ირლანდიელთა პროტესტი ამაო გამოდგა — უეფამ გადაწყვეტილება არ შეცვალა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ 5 ივნისს, დუბლინის „ლუნსდაუნ როუდზე", ირლანდია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ეგიდით იუგოსლავიას შეხვდება.

ის, თუ რატომ არ სურდა ირლანდიას იუგოსლავიასთან ახლა შეხვედრა, ამაზე უკეთ გიამბეთ, თუმცა, ვგონებთ, შეხსენება ურიგო არ იქნება. მოგეხსენებათ, ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება — ისინი გმობენ და პროტესტს უცხადებენ ყველა იმ აქციას თუ ღონისძიებას, რომლებშიც კოსოვოს მოსახლეობის ჟლეტასა და გენოციდში მხილებული იუგოსლავია მონაწილეობს. ირლანდიის ხელისუფლებას არ სურდა ევროკავშირის წინააღმდეგ წასვლა და სწორედ ამიტომ უცხადებდა პროტესტს უეფას.

როგორც ვთქვით, უეფამ თავისი გაიტანა და ახლა შესარჩევი მატჩი შედგება, გადაწყვეტილება კი ევროპის ფეხბურთის განმგებელმა ორგანომ ასეთნაირად დაასაბუთა:

— იუგოსლავია ევროპის ჩემპიონატიდან ერთხელ უკვე მოიკვეთა — 1992 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იუგოსლავიას სრული ბოიკოტირება ბრძანა და ჩვენც შევუერთდით მათ გადაწყვეტილებას. დღესდღეობით გაეროს ასეთი რამ არ განუცხადებია. ასე რომ, ჩვენ იუგოსლავიის ევროპის ჩემპიონატიდან ვერ მოვხსნით. იუგოსლავიას ისეთივე უფლება აქვს, იბრძოლოს ევროპის ჩემპიონობისთვის, როგორც ირლანდიას.

ზემოთ მოყვანილი განცხადება უეფას ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გუშინ გააკეთა. მან ისიც განაცხადა, რომ უეფას აღმასრულებელი კომიტეტი 25 მაისს ბარსელონაში შეიკრიბება და იუგოსლავიის საკითხებზე კიდევ ერთხელ იმსჯელებს. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, უეფა იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენების საქმის კურსშია.

მაშ, ასე, 5 ივნისს, დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე", ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის VIII ჯგუფის შეხვედრაში ირლანდია იუგოსლავიას მიიღებს. ირლანდიელთა მწვრთნელმა მიკ მაკართიმ ნაკრებში 23 ფეხბურთელი მიიწვია, რომელთაგან აარჩევს იმ მოთამაშეებს, ნაკრებს მომდევნო სამ თამაშში რომ დაეხმარებიან. შეგახსენებთ, რომ 29 მაისს ირლანდიას ამხანაგური მატჩი აქვს ჩრდილოეთ ირლანდიასთან, 5 ივნისს, როგორც ზემოთ ვთქვით, კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იუგოსლავიას მასპინძლობს, 8 ივნისს კი კიდევ ერთი ოფიციალური შეხვედრა აქვს მაკედონიასთან.

— დაძაბული თამაშები გველის და ახლა გვამართებს მობილიზება. პოლიტიკას ისინი მიხედავენ, ვისაც ეს ეხება, ჩვენ, ფეხბურთელებმა კი მოედანზე უნდა დავამტკიცოთ ჩვენი სიძლიერე — განაცხადა მაკართიმ.

მის მიერ შეკრებილი გუნდის შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — შეი გივენი (ნიუკასლ იუნაიტედი, ინგლისი), ალან კელი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი), დინ კილი (ბერი, ინგლისი); მცველები — დენის ირვინი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), სტეფან კარი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), კენი კანინგემი (უიმბლდონი, ინგლისი), სტივ სტონტონი, ფილ ბები (ლივერპული, ინგლისი), იან ჰარტე (ლიდს იუნაიტედი, ინგლისი), გარი ბრინი (ქოვენთრი, ინგლისი), ლი კერსლი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი); ნახევარმცველები — როი კინი (მანჩესტერ იუნაიტედი; ინგლისი), ჯეისონ მაკატირი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), მარკ კინსელა (ჩარლტონ ატლეტიკი, ინგლისი), ალან მაკლაფლინი (პორტსმუთი, ინგლისი), მარკ კენედი (უიმბლდონი, ინგლისი); თავდამსხმელები — კეიტ ონილი (მიდლსბრო, ინგლისი), ნილ ქუინი (სანდერლენდი, ინგლისი), ტონი კასკარინო (ნანსი, საფრანგეთი), რობი კინი, დევიდ კონოლი (ვულვერჰემპტონ უონდერერსი, ინგლისი), დემიენ დაფი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), კევინ კილბეინი (ვესტ ბრომვიჩ ალბიონი, ინგლისი)

# ამბობენ, რჩება და...



ალესანდრო დელ პიერო

ალესანდრო დელ პიერო „იუვენტუსში" რჩება. იტალიელი ვარსკვლავი „ბებერ ქალბატონთან" გაყრას არ ჩქარობს.

— დელ პიერო ჩვენთან რჩება. ვიცით, რომ მას ბევრი ძლიერი და სახელოვანი კლუბი ეპატიჟება, მაგრამ იგი „იუვენტუსს" არ დატოვებს. მომავალში ალესანდრო შესაძლოა მართლაც გადავიდეს სხვაგან, მაგრამ ის, რომ მომდევნო სეზონს ჩვენთან გაატარებს, გადაწყვეტილია — განაცხადა ტურინული კლუბის გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

ორიოდ დღის წინ „იუვენტუსის" ხელმძღვანელობა დელ პიეროსა და მის აგენტ კლაუდიო პასკუალინს შეხვდა და მომავალზე ესაუბრა. მოჯის ბევრი არაფერი დაუკონკრეტებია და დახურულ კარს მიღმა რა ითქვა, გულშემატკივრები, ალბათ, ვერასდროს გაიგებენ, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ფეხბურთელი არსად მიდის.

„იუვენტუსის" ტიფოზებისთვის მთავარი სწორედ ალესანდროს კლუბში დარჩენა გახლდათ — კლუბს, რა დასამალია და, ახლა უჭირს, ასეთ დროს კი დელ პიეროს დონის ფეხბურთელის წასვლა მართლაც რომ დიდი დანაკლისი იქნებოდა.

— ზაფხულში „იუვენტუსის" ხელმძღვანელობა ფეხბურთელს შეხვდება და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე გაესაუბრება. სწორედ მაშინ გადაწყდება ყველაფერი — ეს იმავე მოჯის სიტყვებია.

ალესანდრო დელ პიეროს და იტალიის ყველაზე ტიტულიან კლუბს შორის დადებული ხელშეკრულება 2000 წლის 30 ივნისს იწურება, ანუ ფეხბურთელი „იუვენტუსის" საკუთრებაში იურიდიულად კიდევ ერთი წლით რჩება. თუ ახალი კონტრაქტი არ გაფორმდა, ან მოქმედი ხელშეკრულება არ გახანგრძლივდა, „იუვენტუსი" უდავოდ იზარალებს — 2000 წლის ზაფხულში დელ პიეროს სხვა კლუბში გადასვლა, თუ, რა თქმა უნდა, ენდომება, სატრანსფერო თანხის გარეშე შეეძლება, არადა, ახლა რამდენიმე კლუბი მზადაა, „იუვენტუსს" მოთამაშის სანაცვლოდ 27 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

მოჯის თქმისა არ იყოს, ყველაფერი ზაფხულში გაირკვევა. მანამდე კი დელ პიერო ტრავმას იშუშებს — მას ხომ ნოემბრის შემდეგ ნორმალურად არც უვარჯიშია.

**ლაშა გოდუაძე**

**იყიდება**

**თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა.**

3 მილიმეტრიანი

*ტელეფონი: 95-22-56 (სანდრო) 95-05-57 (მალხაზი)*

*(საღამოს საათებში)*



დავიდ ჟინოლა

## ჟინოლას ხელფასი მოუმატეს

ფრანგმა ვარსკვლავმა დავიდ ჟინოლამ საქმეები მოაგვარა — ის კიდევ სამი წლით რჩება ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურში".

გუშინ ვწერდით, რომ თავდამსხმელს, რომელიც მიმდინარე სეზონში ცალკე ფეხბურთელებმა და ცალკე ჟურნალისტებმა ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ადრინდელი კონტრაქტის თანახმად „უაით ჰართ ლეინზე" კიდევ ორი სეზონი უნდა გაეტარებინა, მაგრამ ხელფასით უკმაყოფილო ამბობდა, რაც მეკუთვნის თუ არ მივიღე, სხვა გუნდს მოვძებნიო. ახლა გაირკვა, რომ გარემარბს ახალი გუნდის ძებნა აღარ დაჭირდება.

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" გავრცელებულ განცხადებაში ფინანსურ დეტალებზე არაფერი წერია, მაგრამ ფაქტია, ფრანგს პრემიერლიგის დიდი კლუბების აღიარებულ ვარსკვლავთა ტოლ ჯამაგირს დაუნიშნავდნენ, რადგან სხვა ვარიანტს იგი არ დათანხმდებოდა.

საქმის საკეთილდღეოდ იმოქმედა „სპურზის" მწვრთნელის, ჯორჯ გრემის პოზიციამაც. გრემი ამბობდა ჩვენ პრემიერლიგის ისეთივე გუნდი ვართ, „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი" რომ არიან და ამიტომ ჩვენს საუკეთესო მოთამაშეს მათსაზე ნაკლები ანაზღაურება არ უნდა ჰქონდესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## თასების მფლობელთა თასი

XXXV გათამაშება 1994-95 წლები

**სარაგოსა**

სარაგოსა, ესპანეთი

სოლომონ ქულიაშვილი

UEFA Cup Winners' Cup

## სრული ისტორია

# ნაიმ სასწაულმოქმედი



ფინალის 120-ე წუთი. ნაიმის დარტყმული ბურთი მეკარე სიმენს თავზე გადაევლო და კარში აღმოჩნდა

„არსენალისა“ და „ჩელსის“ ნახევარფინალში მოხვედრამ ბრიტანელები ინგლისურ ფინალზე აალაპარაკა.

მით უმეტეს, რომ შესაძლებელი ხდებოდა გადამწყვეტ მატჩში ერთი ქალაქის, ლონდონის გუნდები შეხვედროდნენ ერთმანეთს. ასეთი რამ კი თასთა თასის ისტორიაში ჯერ არ მომხდარიყო. არ მომხდარიყო და არც მოხდა. თუმცა, მანამდე „ჩელსიზე“ იმდენს არ ლაპარაკობდნენ, რამდენსაც მის ქომაგებზე.

მეოთხედფინალები ხუთშაბათს, 2 მარტს, იყო დანიშნული. ერთი შეხვედრა კი „ბრიუგე“ — „ჩელსი“ ორი დღით ადრე, 28 თებერვლისთვის, გადაიტანეს. პირველად ინგლისელი ფანები კვირას საპორტო ქალაქ ოსტენდეში გამოჩნდნენ. მათი უმრავლესობა გვარიანად ნასვამი იყო. ზოგს მატჩის ყალბი ბილეთები აღმოაჩნდა, ზოგი კი საერთოდ უბილეთოდ წამოსულიყო. უბილეთოების საქმე იოლად მოაგვარეს, ისინი უმალ უკანვე გააბრუნეს. აი, ყალბბილეთიანთა უმრავლესობამ კი სტადიონზე შეაღწია, თუმცა მანამდე ოსტენდეშიც და ბრიუგეშიც არაერთი ქუჩური ჩხუბი გამართეს. შედეგად ერთი პოლიციელი დაიჭრა, ერთ მოქალაქეს დანა დაარტყეს, ხოლო ერთსაც ყური სანახევროდ მოაჭამეს... საბედნიეროდ, ყველაფერმა უმსხვერპლოდ ჩაიარა. 350-მდე ფანი დააპატიმრეს, ოთხასამდე კი სამშობლოში გააბრუნეს.

კოკისპირულმა წვიმებმა ბრიუგეს სტადიონი გააფუჭა და ამიტომ გუნდის სამი საშინაო შეხვედრა გადაიდო. იმავეს აპირებდნენ „ჩელსისთანაც“, მაგრამ ქალაქის მუნიციპალიტეტმა ქვა აგდო და თავი შეუშვირა, ამათი (ინგლისელების) კიდევ რამდენიმე დღით დარჩენა კატასტროფის ტოლფასი იქნება, ნებისმიერ ამინდში ვათამაშოთ და დროულად გავისტუმროთო. ბრიუგეს პოლიციის ცნობით, „სტუმრებმა“ ჩხუბის გარდა რამდენიმე მანქანა მოიპარეს, უფრო მეტი მაღაზია გაძარცვეს და სტადიონის ახლომახლო მდებარე ბარების ვიტრინები დალეწეს. აბა, ამათ ვინ გაუძლებდა.

ამიტომაც დათქმულ დროს 22 ფეხბურთელს საშინელ მინდორზე უწევდა თამაში. მატჩის ბედი 83-ე წუთზე ბრიუგელი ვერჰეიენის ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. შინ „ჩელსიმ“, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა (ერთი მათგანი, უაიზი იმის გამო, რომ ციხეში იჯდა), მაინც აჯობა სტუმრებს. სტეინისა და ფარლონგის ბურთებმა ლონდონელები ნახევარფინალში გაიყვანა, სადაც მათი მეტოქე თასის მომავალი მფლობელი ესპანეთის „სარაგოსა“ გახდა.

ახალგაზრდა მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა მაშინ სარაგოსაში საკმაოდ საინტერესო გუნდი შექმნა. 4-4-2 ტაქტიკური სქემით მოთამაშე „სარაგოსა“ ლაღ და განსწავლულ ფეხბურთს თამაშობდა. ლიდერი კი 22 წლის არგენტინელი ხუან ედუარდო ესნაიდერი გახლდათ, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ, ერთ-ერთ ახალგაზრდულ ტურნირზე, მსაჯის ცემისათვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ მერე შეიწყალეს და სასჯელი ორ წლამდე შეუმცირეს.

ესნაიდერი არც შემდეგ ყოფილა მთლად დალაგებული ნერვების პატრონი. 1994-95 წლების სეზონში მან 11 გაფრთხილება მიიღო და მინდვრიდან სამჯერ გააძევეს. თუმცა გოლებიც ბლომად გაჰქონდა და ეს ლონდონელებთანაც დაამტკიცა, როცა პირველ მატჩში ორჯერ გაუტანა. მთლიანად ტურნირში კი 8 გოლი მოუგროვდა და მხოლოდ ერთით ჩამორჩა საუკეთესო ბომბარდირს, არსენალელ იან რაიტს.

თავიდან მან საჰაერო დუელი მოუგო „ჩელსის“ მცველ მინტოს, ბურთი წამის მეათედში დაიმორჩილა და მეკარე ჰიჩკოკმა ბადისკენ მიმავალ ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა. მერე კი სტივ კლარკი მოატყუა, რომელიც ამ დღეს თავის მე-300 მატჩს ატარებდა „ჩელსიში“ და მეორე შეაგდო. 75-ე წუთზე ესნაიდერს ჰეთ თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ბურთმა სანტიმეტრებში გადაუფრინა ლონდონელთა კარის ხარიხას.

პირველი გოლი კი დასაწყისშივე გაიტანა პარდესამ, 3:0 — ასე გაიმარჯვა „სარაგოსამ“ და ფინალისტის ვინაობაც პრაქტიკულად გადაწყვიტა. სტუმრებმა კი ცოტათი აქაც მოიგიჟიანეს თავი. „ჩელსის“ ფანები პლასტიკურ სკამებს გლეჯდნენ და პოლიციელებს ესროდნენ, თუმცა ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და მხოლოდ ექვსი ბრიტანელი დააპატიმრეს.

შინ „ჩელსიმ“ საჭირო მინიმუმი — 3 ბურთი კი გაიტანა, მაგრამ ერთი გაუთვალისწინებელი გაუშვა და ტურნირს გამოეთიშა.

რაც შეეხება წინა შეჯიბრის გამარჯვებულს, ლონდონის „არსენალს“. გაზაფხულზე მათ ბანაკში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. თანამდებობიდან გაათავისუფლეს გუნდის ბოლო წლების წარმატებების სულისჩამდგმელი მენეჯერი, ჯორჯ გრემი. ის დანიელი იონსენის „არსენალში“ გადასვლისას ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს. მწვრთნელად კი სტიუარტ ჰიუსტონი დანიშნეს, რომელიც წლების განმავლობაში გრემის თანაშემწედ მუშაობდა. ჰიუსტონის მოსვლა იღბლიანი გამოდგა. პრემიერლიგაში „არსენალმა“ წარუმატებელი სერია შეწყვიტა და ზედიზედ ორი თამაში მოიგო ჯერ „ნოტინგემთან“ (1:0), შემდეგ „კრისტალ პალასთან“ (3:0). თასთა თასზე კი კვლავ ფინალში გავიდა.

მანამდე, ნახევარფინალში „მეთოფეებმა“ დიდი ბრძოლები გადაიტანეს გენუის „სამპდორიის“ ჩინებულ გუნდთან. 3:2, 2:3 ასეთი იყო ორი მატჩის შედეგი. თანაც საპასუხოში ლონდონელებმა 89-ე წუთზე გაიტანეს მეორე ბურთი. შტეფან შვარცის გოლმა საქმე ჯერ დამატებით დრომდე, შემდეგ კი პენალტებამდე მიიყვანა.

„სამპას“ მეკარე ძენგამ ერთი თერთმეტმეტრიანი მოიგერია, „არსენალის“ დევიდ სიმენმა კი სამი... მაგრამ განგებამ ასე ინება: ნახევარფინალის გმირი ფინალში, პარიზის „პარკ დე პრენსზე“, ანტიგმირად იქცა: „მეგონა, რომ მართებული პოზიცია დავიკავე. ოდნავ წინ გავედი და თამაშს მთელი გულისყურით ვუყურებდი, მაგრამ“... თქვა ნამატჩევს სიმენმა. „არ ვიცი ეს იღბლიანი გოლი იყო თუ ბრწყინვალე, მაგრამ, ვფიქრობ, სიმენი შეცდა“, — ეს ფანტასტიკური ბურთის ავტორის, „სარაგოსას“ მაროკოში დაბადებული ნახევარმცველის ნაიმის სიტყვებია.

ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. „არსენალი“ — „სარაგოსას“ გადამწყვეტი მატჩის დამატებითი დროის ბოლო წუთი მიმდინარეობდა, როცა ნაიმმა მოედნის ცენტრალური ხაზის კუთხესთან მიიღო ბურთი, კარიდან წინ გამოსული სიმენი დაინახა და დაახლოებით 45 მეტრიდან რაღაც უჩვეულო ტრაექტორიით დაარტყა, ბურთი სიმენს თავზე გადაევლო და კარში აღმოჩნდა. იქვე მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა — 2:1 და ლონდონელებმა თასი სარაგოსელებს დაუთმეს.

მანამდე ჯერ ესნაიდერმა გახსნა ანგარიში, შემდეგ ჰარტსონმა გაათანაბრა. „ხუთი წელიწადია ერთად ვმუშაობთ და ეს გამარჯვება ღირსეულად მოვიპოვეთ. პირველ ტაიმში ჩემიანების თამაშით უკმაყოფილო ვიყავი. შესვენებაზე ვუთხარი, ბურთი ნაკლებად დაეყოვნებინათ და სწრაფად გადაეტანათ მოწინააღმდეგის ნახევარზე. ჩანაფიქრმა გაამართლა. ამაში „ჩელსისთან“ ნათამაშები ნახევარფინალის გამოცდილებაც გამოგვადგა. ახლა საკითხავია, ეს ჩვენი მაქსიმუმია, თუ კიდევ შეგვიძლია მომატება“ — ასეთი იყო ვიქტორ ფერნანდესის მატჩისშემდგომი სიტყვები.

სტიუარტ ჰიუსტონმა კი თქვა: „ტაქტიკურად სწორად ვითამაშეთ, ბიჭებმაც იბრძოლეს და ამიტომ აუგს ვერავისზე ვიტყვი. ეგაა, ბოლოს ესპანელებს გაუმართლათ“.

ნაიმის გოლი კი თასთა თასის და საერთოდ ევროთასების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურად მონათლეს.



ესნაიდერს პირველი გოლი გააქვს არსენალის კარში



სარაგოსა 1995 წელს. მარცხნიდან დგანან: კასერესი, სედრუნი, პოიეტი, სანჩუანი, კაფუ, აგუადო; სხედან: ნაიმი, იგერა, ბელსუე, არაგონი, პარდესა

**წინასწარი წრე** პირინი (ბულგარეთი) — შანი (ლიხტენშტაინი) 3:0, 1:0; ნორმა (ესტონეთი) — ბრანიკი (სლოვენია) 1:4, 0:10; ფანდოკი (ბელარუსი) — ტირანა (ალბანეთი) 4:1, 0:3; ომონია (კვიპროსი) — ტილიგული (მოლდოვა) 1:0 (გოგორიშვილი), 3:1 (ანტონიუსი, ტოუტზისი, საჯიდის; ბელოუსი); ფერენცვაროში (უნგრეთი) — დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 6:1, 6:1; ფლორიანა (მალტა) — სლიგო როვერსი (ირლანდია) 2:2, 0:1; ბოდო გლიმტი (ნორვეგია) — ოლიმპია (რიგა, ლატვია) 6:0, 0:0; ბარი თაუნი (უელსი) — ჟალგირისი (ლიტვა) 0:1, 0:6; ვიქტორია (ჩეხეთი) — ნორჩოპინგი (შვედეთი) 1:0, 3:3; სანდური (ფარერები) — ჰიკ (ფინეთი) 0:5, 0:2; კეფლავიკი (ისლანდია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 1:2, 1:4; ბანგორ სიტი (ჩრდ. ირლანდია) — ტატრანი (სლოვაკეთი) 0:1, 0:4

**პირველი წრე**

ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — ფერენცვაროში 2:1, 1:2 პენ 6:7; გრასჰოპერი (შვეიცარია) — ჩერნომორეცი (უკრაინა) 3:0, 0:1; ჟალგირისი — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:1, 1:2; პირინი — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 0:2, 1:6; ბეშიქთაში (თურქეთი) — ჰიკ 2:0, 1:1; კროაცია (ხორვატია) — ოსერი (საფრანგეთი) 3:1, 0:3; ბრანიკი — ავსტრია (ავსტრია) 1:1, 0:3; ბოდო გლიმტი — სამპდორია (იტალია) 3:2, 0:2; ბრონდბიუ (დანია) — ტირანა 3:0, 1:0; ჩელსი (ინგლისი) — ვიქტორია 4:2, 0:0; მაკაბი — ვერდერი (გერმანია) 0:0, 0:2; ომონია — არსენალი (ინგლისი) 1:3, 0:3; დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) — ტატრანი 3:2, 1:3; გლორია (რუმინეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) 2:1, 0:4; სლიგო როვერსი — ბრიუგე (ბელგია) 1:2, 1:3; პორტუ (პორტუგალია) — ლეხ (პოლონეთი) 2:0, 1:0

**მერვედფინალი**

პორტუ — ფერენცვაროში 6:0, 0:2; ბრიუგე — პანათინაიკოსი 1:0, 0:0; სამპდორია — გრასჰოპერი 3:0, 2:3; ბეშიქთაში — ოსერი 2:2, 0:2; ფეიენოორდი — ვერდერი 1:0, 4:3; ჩელსი — ავსტრია 0:0, 1:1; ბრონდბიუ — არსენალი 1:2, 2:2; ტატრანი — სარაგოსა 0:4, 1:2

**მეოთხედფინალი**

ბრიუგე — ჩელსი 1:0 (ვერჰეიენი), 0:2 (სტეინი, ფარლონგი)
სამპდორია — პორტუ 0:1 (იურანი), 1:0 (მანჩინი), პენ 5:3
ფეიენოორდი — სარაგოსა 1:0 (ლარსონი), 0:2 (პარდესა, ესნაიდერი)
არსენალი — ოსერი 1:1 (რაიტი; ვერლაატი), 1:0 (რაიტი)

**ნახევარფინალი**

არსენალი — სამპდორია 3:2 (ბოულდი 2, რაიტი; იუგოვიჩი 2), 2:3 (რაიტი, შვარცი; ბელუჩი 2, მანჩინი) პენ 3:2
სარაგოსა — ჩელსი 3:0 (პარდესა; ესნაიდერი 2), 1:3 (არაგონი; ფარლონგი, სინკლერი, სტეინი)

ფინალი. პარიზი. 10 მაისი. 48 724 მაყურებელი

**სარაგოსა 2:1 არსენალი (0:0, 1:1, 1:0 დ.დ.)**

1:0 ესნაიდერი (68), 1:1 ჰარტსონი (76), 2:1 ნაიმი (120)

სარაგოსა: სედრუნი, ბელსუე, სოლანა, კასერესი, ნაიმი, აგუადო, პარდესა, არაგონი, ესნაიდერი, იგერა (სანჩუანი 66, ხელი 115), პოიეტი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი (მოროუ 46), შვარცი, ლინიგანი, ადამსი, კიოუნი (ჰილიერი 46), რაიტი, ჰარტსონი, მერსონი, პარლორი
მსაჯი: ჩეკარინი (იტალია)

# ვლადიმერ ბეჟანიშვილი: მარტო „ურალ გრეიტი“ ოცჯერ უფრო შეძლებულია, ვიდრე საქართველოს ნაკრები

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, რუსეთის სუპერლიგის აღმოსავლეთ დივიზიონის ჩემპიონის, პერმის „ურალ გრეიტის“ ქართველი ლეგიონერი ვლადიმერ ბეჟანიშვილიც შემოუერთდა, რომელმაც აეროპორტიდან პირდაპირ დილმის საწვრთნელ ბაზას მიაშურა, სადაც ქართველი კალათბურთელები ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადებიან.

საღამოს, თბილისის მერიის თასის ფინალში სანქტ პეტერბურგის „სპარტაკის“ წინააღმდეგ საასპარეზოდ ნაკრების ხელმძღვანელობამ ბეჟანიშვილს დასვენება ურჩია, მანამდე კი, დაღლილობის მიუხედავად, იგი ინტერვიუზე თავაზიანად დაგვთანხმდა და ზოგიერთი კალათბურთელივით, რომელიც ჯერჯერობით ძირითადშიც ვერ ხვდება, თავისთვის ფასი არ დაუდია.



ვლადიმერ ბეჟანიშვილი (მარცხნივ) და ვლადიმერ ბოისა (მარჯვნივ) შვეიცარიის ტურნირისთვის ემზადებიან

**— ჯერ თქვენი გუნდის „ურალ გრეიტის“ შესახებ ვისაუბროთ, რომელმაც რუსეთის ჩემპიონატში ღირსეულად ითამაშა...**

— ჩვენი მიზანი დივიზიონის ჩემპიონობა და კორაჩის თასზე ასპარეზობისთვის ერთ-ერთი საგზურის მოპოვება იყო. როდესაც მეოთხედფინალში „სამარა“ 2:0 დავამარცხეთ, პერმში გმირებად შეგვრაცხეს. ნახევარფინალში დაძაბული თამაშის შემდეგ 1:2 წავაგეთ „ავტოდორთან“. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში, „არსენალის“ წინააღმდეგ სპეციალისტები ჩვენს შანსებს 70 პროცენტით აფასებდნენ 30-ის წინააღმდეგ. 1:1 შემდეგ მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა პერმში უნდა გვეთამაშა და ბრინჯაოს მედლებს წინასწარ გვილოცავდნენ. ზედმეტი თვითდაჯერებისა თუ რაღაც, ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, თამაში მოსალოდნელი სცენარის საპირისპიროდ წარიმართა. პირველი ტაიმი 15 ქულის სხვაობით წავაგეთ. შესვენების შემდეგ ბევრი ვეცადეთ, მაგრამ მხოლოდ 12 ქულა ამოვქაჩეთ და საბოლოოდ 3 ქულის სხვაობით — 82:85 დავმარცხდით.

**— „არსენალთან“ დამარცხების მიუხედავად, მაინც გმირებად დარჩით?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ გუნდის დასახული გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ და დივიზიონის ჩემპიონობასა და პლეი ოფში მონაწილეობასთან ერთად ნახევარფინალში თამაშიც მოვახერხეთ. მედლებისათვის ბრძოლა ხომ ძირითადად დასავლეთის დივიზიონის გუნდებს შორის მიმდინარეობს და ოთხეულში ციმბირელთა მოხვედრა მოულოდნელი იყო რუსეთის კალათბურთის მამებისათვის.

**— რომელი გუნდები გავიდნენ პლეი ოფში და ადგილები რა თანმიმდევრობით განაწილდა?**

— თითოეული დივიზიონიდან, სადაც 10-10 გუნდი მონაწილეობს, შემდეგ ეტაპზე გავიდნენ, დასავლეთიდან: ცსკა, „ავტოდორი“, „სამარა“ და „არსენალი“. აღმოსავლეთიდან ჩვენთან ერთად პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს — ნოვოსიბირსკის, ნიჟნი ტაგილისა და კრასნოიარსკის გუნდებმა. პირველ ოთხეულში კი გუნდები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდნენ: ცსკა, „ავტოდორი“, „არსენალი“ და „ურალ გრეიტი“.

**— თქვენს გარდა უცხოელი თუ ჰყავს „ურალ გრეიტს“?**

— ერთი ამერიკელი ჰყავთ უკანა ხაზზე. ყაზახი და აზერბაიჯანელიც თამაშობენ, მაგრამ ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან და უცხოელებად არ ითვლებიან.

**— მოედანზე ყოფნა დიდხანს გიწევთ?**

— თავიდან 8-10 წუთი მიხდებოდა მოედანზე ყოფნა. შემდეგში თანდათან შევეჩვიე და ბოლოს 30-33 წუთიც მიწევდა თამაში.

**— თანდათან შევეჩვიეო, ამბობთ. გაგიჭირდათ რუსულ კალათბურთთან შეგუება?**

— შეგუება არ გამჭირვებია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენგან განსხვავებით სულ სხვა კალათბურთს თამაშობენ.

**— მაინც როგორს?**

— იმპროვიზაციასა და ტექნიკაზე მეტი ყურადღება ექცევა ფიზიკურ მომზადებას, დაცვაში თამაშსა და დისციპლინას.

**— პირობებით თუ ხართ კმაყოფილი?**

— ბევრს არ მიხდიდნენ, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების შემოწმების მიზნით, რუსეთში თამაში ჩემთვის კარგი სკოლა იყო.

**— კონტრაქტი როდემდე გქონდათ?**

— სეზონის ბოლომდე.

**— კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბარი არ ყოფილა?**

— ჩემი სურვილია პერმში გავაგრძელო თამაში და არც ისინი არიან წინააღმდეგი.

**— კონკრეტულად როდის აპირებთ მოლაპარაკებას გუნდის ხელმძღვანელობასთან და რამდენწლიან კონტრაქტზეა საუბარი?**

— დაახლოებით 2-3 კვირის შემდეგ შევხვდებით ერთმანეთს და ყველაფერს მაშინ დავაზუსტებთ.

**— სხვა გუნდებისგან ხომ არ გქონიათ წინადადება?**

— ჯერჯერობით არავის მოუმართავს.

**— „ურალ გრეიტში“ გადასვლის შემდეგ საქართველოს ნაკრებში აღარ გამოჩენილხართ. მიზეზს ვერ გვეტყვით?**

— არ გამომიშვეს. ჩვენი საკუთრება ხარ, ძალიან გვჭირდები და ვერ გაგათავისუფლებთო.

**— ჩვენი შეხვედრის მიზეზზე, შვეიცარიაში დაგეგმილი ევრო-2001 საკვალიფიკაციო ტურნირის შესახებ რას გვეტყვით, სადაც 5 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მომდევნო ეტაპზე გამსვლელი პირველი-მესამე ადგილებისათვის მოგიწევთ ბრძოლა...**

— მართალია, სტეფანია დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ: შესაძლებლობის მაქსიმუმს გავიღებ, რათა შესარჩევი ტურნირის მიღმა არ დავრჩეთ.

**— თავს როგორ გრძნობ. პრობლემები ხომ არაფერი გაქვთ?**

— ცოტა გადავიღალე, თორემ სხვამხრივ ყველაფერი რიგზეა.

**— რუსეთში თამაში ჩემთვის კარგი სკოლააო, ამბობ. არ შეიძლება ჩვენთან ციმბირის დივიზიონის დონის ჩემპიონატი მაინც ჩავატაროთ?**

— მარტო „ურალ გრეიტი“ 20-ჯერ უფრო შეძლებულია, ვიდრე საქართველოს ნაკრები.

**— გამოსავალი მხოლოდ ფულშია?**

— ფულია უმთავრესი, მაგრამ იმასაც გონივრული გამოყენება უნდა. ლეგიონერები თუ არ მოვიწვიეთ, საქართველოში ნორმალურ ჩემპიონატს ვერ ჩავატარებთ, რადგან ქართველი კალათბურთელებისაგან მხოლოდ 3-4 საშუალო დონის გუნდი თუ გაკეთდება. ეს კი ძალიან ცოტაა.

**— კი მაგრამ ნაკრებიც ლეგიონერების იმედად ხომ არ იქნება?**

— უახლოეს წლებში სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. მარტო თბილისის იმედად საერთაშორისო დონის ნაკრებს ვერ გავაკეთებთ. ქუთაისში, ბათუმში და სხვა რეგიონებშიც თუ აღორძინდება კალათბურთი, ჩვენთვის სასურველ დონეზეც მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი საუბარი.

**— თქვენთვის, როგორც უგუნდოდ დარჩენილი კალათბურთელისთვის, საქართველოს გუნდებიდან ხომ არავის მოუმართავთ წინადადებით?**

— ჯერჯერობით არავის.

**— თუ დაგიკავშირდნენ, ითამაშებთ?**

— თუ ფედერაცია ნებას დამრთავს, დიდი სიამოვნებით.

როლანდ ლაგუჩიძე

*უდავოა, ეს ბიჭი დიდ კალათბურთს ითამაშებსო, ერთხმად აცხადებენ კალათბურთის სპეციალისტები. იგივე აზრზეა ყველა, ვისაც კი ოდესმე ვლადიმერ ბოისას თამაში უნახავს. მართლებიც არიან, 18 წლის ვლადიმერ ბოისას ყველა მონაცემი აქვს, კალათბურთში მაღალ მწვერვალებს შესწვდეს — დაწყებული თანდაყოლილი, ბუნებრივი ნიჭიდან შრომისმოყვარეობით დამთავრებული.*

*საქართველოს ნაკრებისა და სლოვენური „პოსტოინას“ თავდამსხმელ ვლადიმერ ბოისას უფრო მომავლის გუნდში მოიაზრებენ. იგი ჯერ ნორჩია, ძალიან ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი...*

*ბოისა ახლა სამშობლოშია და ეროვნულ გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება. უკან დარჩა პირველი ევროპული წელიწადი, რომლის პერიპეტიებზე გუშინ ვოვა „სარბიელს“ ესაუბრა*

# ვლადიმერ ბოისა: კარგ გოგონებს რა დალევს, მაგრამ მე ჯერ კარგ გუნდზე ვფიქრობ

— უკვე ერთი თვეა, რაც სლოვენიაში ჩემპიონატი დამთავრდა. ჩემი გუნდი, „პოსტოინა“, მერვე ადგილზე გავიდა, პირველი კი, რა თქმა უნდა, „ოლიმპია“ იყო.

**— იქნებ „სარბიელის“ მკითხველს დაავიწყდა კიდეც, რომ შენ სწორედ „ოლიმპიასთან“ გყავშირებს კონტრაქტი და არა „პოსტოინასთან“.**

— ასეა, ხელშეკრულება „ოლიმპიასთან“ გავაფორმე. საკონტრაქტო ვადა ხუთი წელია. ერთი უკვე გავიდა.

**— რამდენადაც ვიცი, „პოსტოინაში“ ერთი წლით გაგანათხოვრეს. როგორ შეაფასებდი საკუთარ გამოსვლას ამ გუნდში?**

— სეზონის ბოლოს თითოეული კალათბურთელის ნაღვაწი შეაჯამეს. ჩემი საშუალო მაჩვენებელი 17 ქულა, 10 მოხსნა, 3 ჩაჭრა და ერთიც დაფარება იყო. ვფიქრობ, ურიგო შედეგი არ არის.

**— გამოდის, რომ თამაში ხშირად გიწევდა.**

— დაახლოებით 25-28 წუთი.

**— მოდი, უფრო ახლოს გაგვაცანი „პოსტოინა“.**

— პოსტოინა პატარა ქალაქია ლუბლიანიდან 40 კილომეტრის მოშორებით. ასე ოცდაათი ათასამდე კაცი ცხოვრობს. გუნდიც ამ ქალაქის სახელს ატარებს. საშუალო დონის კლუბია, ლეგიონერი სულ სამნი ვართ, მე, ხორვატი და იუგოსლაველი.

**— ჩემპიონატში უკეთესი შედეგის მიღწევა არ შეგეძლოთ?**

— რაკი ექვსეულში ვერ მოვხვდით, მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებისთვის უნდა გვებრძოლა. ბოლო მატჩი „სლოვანთან“ რომ მოგვეგო, მეშვიდეზე გავიდოდით, მაგრამ ველარ შევძელით. „სლოვანმა“ სწორედ ამ მოგებით გადაგვისწრო.

**— თუ არ ვცდები, ეგ ის გუნდია სადაც თავის დროზე ვლადიმერ სტეფანიაც თამაშობდა.**

— ვოვამ ორი წელი გაატარა „სლოვანში“, ჩემი არ იყოს, „ოლიმპიამ“ თავიდან სტეფანიაც გაანათხოვრა.

**— რაკი სიტყვა სტეფანიაზე ჩამოვარდა, ისიც თქვი, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში წასვლის შემდეგ თუღა ახსოვთ სლოვენებს?**

— ახსოვთ რომელია. ზღაპრული კალათბურთელიაო, ყველა ამას ამბობს. ერთ წუთსაც რომ ითამაშებდა „სიეტლში“, მთელი დღე ადგილობრივ ტელევიზიას სალაპარაკო ჰქონდა — ესეთი და ესეთი კაცი გამოვზარდეთო. ამით, ბუნებრივია, თავიანთ თავსაც უკეთებდნენ რეკლამას. პრესაშიც რამდენჯერმე დაიბეჭდა ვოვასთან ინტერვიუ.

**— ვოვა, წელან თქვი ჩემპიონატი ერთი თვის წინ დამთავრდაო. შემდეგ კვლავ ვარჯიში გააგრძელე თუ ისვენებდი?**

— პირველობა დასრულდა თუ არა, ახლა 20-წლამდელთა ჩემპიონატი დაიწყო და იქაც ვთამაშობდი. ოღონდ უკვე „ოლიმპიას“ შემადგენლობაში და ყველას უპრობლემოდ 20-30 ქულას ვუგებდით.

**— გამოდის, რომ დასვენება საერთოდ არ გიხერხდება...**

— იქ ვინ დამასვენებს, ან ვარჯიშია, ან თამაში, დასვენებას იქ კვირა დღეს ეძახიან, თუმცა ესეც პირობითად, რადგან სხვა დღეებისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი ვარჯიში გვაქვს.

**— მომდევნო სეზონს კვლავაც „პოსტოინაში“ გაატარებ თუ... რას ამბობს „ოლიმპია“?**

— კარგი იქნებოდა, „ოლიმპიაში“ მეთამაშა, მაგრამ ჯერ ადრეაო, მეუბნებიან. ისე, ერთი სული მაქვს, მაგ გუნდში მოვხვდე. რეკლამაც მეტი მექნება და ანაზღაურებაც სულ ცოტა, ორმაგი.

დიდი შანსია, შემოდგომიდან სტეფანიას მსგავსად მეც „სლოვანში“ გამანათხოვრონ. „პოსტოინას“ ეს ვარიანტი მირჩევნია, ჯერ ერთი უკეთესი გუნდია და მეორეც, სხვა ქალაქში სიარული აღარ მომიწევს, ლუბლიანაში ვივარჯიშებ, ქალაქში, სადაც ვცხოვრობ.

**— ზემოთ ჯამაგირი ახსენე. რაო, ხომ არ წუწკობენ სლოვენები?**

— არა, არა, რასაც შემპირდნენ, ყველაფერს მიკეთებენ. მშვენიერი ბინა მაქვს, აგვისტოში მანქანაც უნდა მომცენ. სანაცვლოდ კი ჩემგან შრომას ითხოვენ, თავდაუზოგავ ვარჯიშს.

**— სეხნია სტეფანიას მსგავსად, ალბათ, შენც პოპულარულობით სარგებლობ იქაურ გოგონებში. თან ასაკი გაქვს ისეთი, არ გამოვრიცხავ, ვინმე გულშიც ჩაგვარდნოდა...**

— კარგ გოგონებს რა დალევს, იცოცხლეთ, ბევრნი არიან და სულ ნარჩევნარჩევი, მაგრამ დაოჯახებაზე ჯერ არ ვფიქრობ. რა დროს ჩემი ეგეთებია, ჯერ მაგარ გუნდში უნდა მოვხვდე, ოჯახი წელში გავმართო, საქმეები ისე ავაწყო, როგორც ჩაფიქრებული მაქვს და მერე ვნახოთ. სხვა მხრივ, მნიშვნელობა არ აქვს, ჩემი რჩეული სადაური იქნება და ვისი მოდგმის. კარგი გოგო იყოს და...

**— არ იქნება, ნაკრებზეც არ გკითხო. საინტერესოა, რას ფიქრობ ეროვნულ გუნდზე: რისი იმედი უნდა ჰქონდეს გულშემატკივარს, რას იზამთ შვეიცარიის ტურნირში?**

— პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან თანაჯგუფელ გუნდებზე ფაქტობრივად, არანაირი წარმოდგენა არ მაქვს. მე კი, შემეძლება თუ არა, ყველაფერს გავაკეთებ რომ სამეულში მოვხვდეთ. გარდა იმისა, რომ ქართული კალათბურთის ბედი მაღელვებს, საკუთარ თავზეც ვზრუნავ. წაგების შემთხვევაში ორი წელი ევროპაზე ველარ ვითამაშებთ და მეც ოჯახის მოსანახულებლადღა თუ ჩამოვალ საქართველოში. არადა, ხანდახან სიგიჟემდე მენატრება ხოლმე აქაურობა...

გიორგი ბიძაშვილი

## ჟურნალისტთა საყურადღებოდ

1999 წლის 17 მაისს, ორშაბათს, 16:45 საათზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის პრეს-კონფერენცია.

საოკ-ის პრეს-ცენტრი

საქართველოს ჩემპიონატი

# 33 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### ვალერი კილაძე
### -დინამო-



ტრავმირებულმა დინამოელმა ცენტრმა ვალერი კილაძემ სდასუ-თან შეხვედრაში მეტოქის ტანმაღალ კალათბურთელებს გასაქანი არ მისცა ფარზე და ვადაზე ადრე გადაწყვიტა მატჩის ბედი „დინამოს“ სასარგებლოდ. ნატკენი ხელით მოთამაშე კილაძე ძირითადად პირველ ტაიმში იყო მოედანზე, ხოლო როდესაც დინამოელთა უპირატესობა აშკარა გახდა, იგი პერიოდულადღა გამოჩნდებოდა ხოლმე. ფარზე გაბატონებულ კილაძეს საჯარიმო, საშუალო და შორი მანძილებიდან სროლაშიც დიდებულად ჰქონდა აწყობილი საქმე: 9 შესაძლებლობიდან 9 საჯარიმო, ორიდან ორი სამქულიანი და 4 ორქულიანიდან 3 შედეგიანი სროლა. 23 შესაძლებლობიდან 21 ქულის მოგროვება კი ტურის საუკეთესო მოთამაშეობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

**— ვალერი, ფიზიკურად სუსტი არ ხართ, მაგრამ ტრავმები მაინც მოგეძალათ. მესამე წრის რამდენიმე ტურში ფეხი გქონდათ გასიებული, ახლა კი შეხვეული ხელით თამაშობთ. რა ხდება, მეტოქეები გიბრიყვებენ თუ რისკზე მიდიხართ და ტრავმებიც ამიტომ მოგიმრავლდათ?**

— დაბრიყვება არაფერ შუაშია, რადგან ჩვენს ჩემპიონატში ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და უმეტესობასთან ვმეგობრობ კიდეც. ჩემი ადგილი ფლანგზეა. მთავარმა მწვრთნელმა კი ამჟამად ცენტრში გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე დამაყენა, რადგან იქ ჩემზე ახალგაზრდა კალათბურთელები თამაშობენ. ფლანგებისგან განსხვავებით, ცენტრში თამაში ძალისმიერია და ტრავმებიც ამიტომ გამიხშირდა.

**— როდის დაიზიანეთ ხელი და კონკრეტულად რა სიტუაციაში?**

— 31-ე ტურში, „ვითასთან“ შეხვედრის დროს, ფარქვეშ ბურთისთვის ბრძოლისას უხერხულად დავეცი და მარჯვენა ხელის მტევანთან საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მატჩი კი ჩავამთავრე, მაგრამ მთელი ძალით ველარ ვითამაშე. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ძვალი მქონდა გაბზარული.

**— ალბათ, ტრავმა სერიოზული არ არის, რადგან თქვენ მომდევნო ტურში მოედანზე იყავით და თსუ-ს დამარცხებაშიც გარკვეული წვლილი შეიტანეთ.**

— ექიმის თქმით, თამაშზე რომ არაფერი ვთქვათ, ორი კვირის განმავლობაში ვარჯიშიც კი არ შეიძლება. მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს ხათრი ვერ გავუტეხე და მაინც ვითამაშე. გული კი იმაზე მწყდება, რომ 5 მაისს, 27-ე ტურიდან გადმოტანილ შეხვედრაში სტუ-თან ვერ შევძელი მოედანზე გასვლა და ეს მატჩი ერთი ქულის სხვაობით დავთმეთ.

**— თქვენ სდასუ-სთან მესამე წრეშიც ტრავმირებულმა ითამაშეთ და თქვენმა აქტიურობამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. მაშინ რა გაწუხებდათ?**

— მუხლი მქონდა გასიებული და რადგან შემცვლელი არ ჰყავდა გუნდს, მაშინაც მთხოვეს მწვრთნელებმა, თუ შეძლებ, ითამაშეო. დაძაბული შეხვედრა იყო და ბოლომდე მომიწია მოედანზე ყოფნამ. ამჯერად კი ვადაზე ადრე გაირკვა მატჩის ბედი ჩვენს სასარგებლოდ დ მეც უფრო ნაკლებ დროს მომიწია მოედანზე ყოფნამ.

**— როგორ ფიქრობთ, თსუ-სა და სდასუ-ს დამარცხების შემდეგ, პლეი ოფში „დინამოს“ თამაში კვლავაც სათუოა?**

— სდასუ-ს სახით ერთი კონკურენტი ჩამოვიშორეთ. ჩვენ და თსუ-ს ჯერჯერობით თანაბარი შანსები გვაქვს.

**— თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენი ბიოგრაფიისა და ფიზიკური მონაცემების შესახებ?**

— დაბადებული ვარ თბილისში 1975 წლის ივლისში. სიმაღლეში ვარ 2 მეტრი და 3 სანტიმეტრი. წონაში კი ვმერყეობ 102-სა და 105 კილოგრამს შორის. ვარჯიში დავიწყე „ნორჩ დინამოელში“. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ერთი სეზონი გამოვდიოდი სტუ-ში, შემდეგ კი გადავედი „დინამოში“.

**— „დინამოდან“ წასვლა არ გიცდიათ?**

— ვაპირებდი კვიპროსში და შემდეგ რუსეთში, კონკრეტულად კი ვლადიმერ ბეჟანიშვილის „ურალ-გრეიტში“ თამაშს. პირობებზე ვერ შევთანხმდით და უკან დაბრუნებამ მომიწია.

**— კვლავაც ხომ არ აწარმოებთ მოლაპარაკებას უცხოეთის გუნდებთან?**

— პროფესიონალიზმის გარეშე უცხოეთში თამაში უაზროდ მიმაჩნია. მე კი საქართველოს ნაკრებშიც ვერ მოვხვდი და პროფესიონალიზმზე ფიქრსაც შევეშვი.

**— საერთოდ ხომ არ აპირებთ კალათბურთისთვის თავის დანებებას?**

— დავრჩები, როგორც მოყვარული კალათბურთელი. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რომ არ ვივარჯიშო, ისედაც ვითამაშებ.

**— თქვენი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, აშკარად შეგეძლოთ უკეთ გეთამაშათ...**

— თავის დროზე ტექნიკის დახვეწაზე მეტი რომ მემუშავა, უფრო მეტს მივაღწევდი, მაგრამ პირობები არ მქონდა.

**— შეიძლება „დინამოს“ ბაზა საერთაშორისო სტანდარტებს ვერ პასუხობდეს, მაგრამ საქართველოში იგი ხომ საუკეთესოა?**

— ფინანსური მხარე თუ არ იქნა მოგვარებული, მარტო ბაზითა და ენთუზიაზმით ცხოვრება ძალიან ძნელია.

**— თქვენი აზრით, თუ ფინანსური მხარე მოგვარდა, ნიჭის გარეშე, თავდაუზოგავი ვარჯიშის შედეგად, ყველა მსურველს შეუძლია გახდეს დიდი კალათბურთელი?**

— რა თქმა უნდა, არა. ნიჭის გარეშე რამდენიც არ უნდა ივარჯიშო, კალათბურთის თამაშს ვერ ისწავლი. კალათბურთი გუნდური სახეობაა ურთულესი კომბინაციებით და თუ სპორტსმენმა მოედანზე თავისი ადგილი ვერ მოძებნა, მწვრთნელმა რამდენიც არ უნდა უჩიჩინოს, ნიჭის გარეშე, მარტო ვარჯიშით, ფონს ვერ გავა. „დინამოს“ ბაზაზე უამრავი კალათბურთელი ვარჯიშობს თავდაუზოგავად, მაგრამ მოედანზე რამდენიმეს თუ გამოსდის რამე.

**— რამდენიმეს მაინც ხომ გამოსდის?**

— ეს რამდენიმე ძალზე ნიჭიერი კალათბურთელია, რომლებიც უცხოურ გუნდებში სათამაშოდ ემზადებიან. ყველა უცხოეთში ხომ არ ითამაშებს, საქართველოში დარჩენილებზეც ხომ უნდა ვიზრუნოთ? ქართველებსაც ხომ უნდათ, რომ ნორმალურ კალათბურთს უყურონ.

**— ქართული კალათბურთის ვეტერანი, ბატონი ალექსანდრე კილაძე თქვენი ნათესავი იყო თუ მხოლოდ მოგვარე?**

— ბატონი ალექსანდრე და მე მხოლოდ მოგვარე გახლდით და ნათესაური კავშირი არ გვქონია. იგი „ნორჩ დინამოელში“ ვარჯიშის დროს გავიცანი და ყურადღებითაც მეპყრობოდა.

**— უცხოეთში თამაში გადავიფიქრეო, ამბობთ. საქართველოში მხოლოდ „დინამოში“ თამაშს აპირებთ?**

— ძალიან მინდა „დინამოს“ რიგებში საქართველოს ჩემპიონი გავხდე და შემდეგ ვნახოთ.

**როლანდ ლაბუჩიძე**

---

1999 NBA PLAYOFFS

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# პორტლენდმა ფინიქსი მოიგერია

12 მაისი

## აღმოსავლეთი

### მაიამი — ნიუ იორკი 1:2

**ნიუ იორკი 97:73 მაიამი**

**ნიუ იორკი:** ვორდი (5), ჰიუსტონი (18), ტომასი (6), ჯონსონი (8), იუინგი (15); ბრანსონი (4), კემბი (13), ჩაილდსი (6), დადლი (2), სპრიუელი (20), ვილიამსი

**მაიამი:** ჰარდევეი (5), მარლი, მაშბურნი (14), ბრაუნი (9), მურნინგი (18); ესკინსი, კოზველი (4), ლენარდი (13), პორტერი (8), სტრიკლენდი, ვოლტერსი, ვეზერსპუნი (2)

„მაიამი ჰითს“ ჭირი გაუჩნდა და მას „ნიუ იორკ ნიქსი“ ჰქვია. ამ გუნდებს და მათ მოთამაშეებს უამრავი მიზეზი აქვთ, ერთმანეთი სძულდეთ და ამგვარად ამ წყვილს შორის ყველა დაძაბულ ბრძოლასა და შეხლა-შემოხლას ელოდა. ბრძოლა, რაღა თქმა უნდა, მიმდინარეობს, მაგრამ არა ისეთი, როგორიც მოსალოდნელი იყო.

კალათბურთის ეროვნულ ასოციაციის 53-წლიან ისტორიაში მხოლოდ ერთადერთხელ მომხდარა ისე, რომ მერვე ნომრად განთესილ გუნდს პირველ ნომრად განთესილი დაეფრინოს პლეი ოფიდან. ეს იყო 1994 წელს. მაშინ „სიეტლ სუპერსონიქსი“, სადაც დღესდღეობით ჩვენებური ვოვა სტეფანია თამაშობს, დასავლეთში ბოლო, მერვე ადგილზე გასულმა დენვერმა გამოაგდო, მაგრამ სიეტლი მაშინ სერიას 2:0 იგებდა და თავისივე თავდაჯერებულობამ დაღუპა, მიყოლებით სამი თამაში წააგებინა. „მაიამი ჰითი“ ახლოსაა, სიეტლის „მიღწევა“ გაიმეოროს, თუმცა მას თავდაჯერებულობა კი არა, უგერგილობა ღუპავს. უჭირთ პატ რაილის ბიჭებს, უკვე მეორედ დაეჩაგვრინნენ თავკაცის ყოფილ შეგირდებს. ჯერ იყო და ნიუ იორკმა სერიის პირველ თამაშში მისსავე მოედანზე გააბითურა აღმოსავლეთის ჩემპიონი და მოედნის უპირატესობა წაართვა, ახლა კი მშობლიურ „მედისონ სკვერ გარდენში“ იგივე დღე აყარა. თვითონ ნიუიორკელებიც გაოგნებულები იყვნენ მეტოქეთა უსუსურობით. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოირჩეოდა“ სტუმართა ერთ-ერთი ლიდერი, ტიმ ჰარდევეი, რომლემაც სერიის მესამე მატჩიც ჩააფლავა და თავისიანები მწარე მარცხისთვის გაწირა — სულ ხუთი ქულაა მის ანგარიშზე მაშინ, როცა იგი ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი გამთამაშებელია და რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ მატჩში 18 ქულას აგროვებდა.

თვითონ მატჩზე არაფერია სათქმელი, გარდა იმისა, რომ ნიუ იორკმა მეორე მეოთხედის ბოლო და მესამე მეოთხედის პირველი წუთები 32:2 მოიგო. განა ყველაფერი ნათელი არ არის? მასპინძლები იმდენად კარგად ირჯებოდნენ, რომ თვით პატ რაილიმ, გაბითურებული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ქება არ დაიშურა მათ მიმართ — ყოველთვის ვგრძნობდი, რომ როცა ნიუ იორკი თავის თამაშს თამაშობს ნებისმიერ გუნდს შავ დღეს დააყრის და იქნებ წლეულს ჩვენ უკანასკნელები არ ვიყოთ, ვინც ეს თავის თავზე გამოსცადაო.

### ატლანტა — დეტროიტი 2:1

**დეტროიტი 79:63 ატლანტა**

**დეტროიტი:** ჰანტერი (13), დუმარსი (11), ჰილი (12), ვილიამსი (3), დელი (12); ბიუჰლერი (3), ლეიტნერი (15), მონტროსი (1), რეიდი, სტეკჰაუზი (9)

**ატლანტა:** ბლეილოკი (8), სმიტი (15), კორბინი (16), ლონგი (10), მუტომბო (8 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება); გრეი, ჯონსონი (2), მაკლეოდი (4), ვესტი

ატლანტაში განცდილი ორი მარცხის შემდეგ დეტროიტი დროულად მოეგო გონს და შინ კარგად მომზადებული დახვდა სტუმრებს, კარგადაც ებრძოლა და მოგებაც დაიმსახურა. დეტროიტის ლვაწლმოსილი მოთამაშე ჯო დუმარსი, რომელიც 1984 წლის აქეთ „პისტონზის“ ერთგულია და სხვა გუნდისკენ არც გაუხედავს, ამ თამაშამდე კალათბურთიდან წასვლას აპირებდა. ლიგის ორგზის ჩემპიონს (1989 და 90 წლებში) უჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ მისი გუნდი ატლანტასთან ორივე შეხვედრაში უიმედოდ დამარცხდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობის დიდი თხოვნის შემდეგ დიდ კალათბურთთან გამოთხოვება კიდევ ერთი თამაშით გადადო და არც ამაოდ. მართალია, მას 11 ქულის მეტი არ გაუკეთებია, მაგრამ სტუმართა გამთამაშებელს მუკი ბლეილოკს აედევნა და მხოლოდ რვა ქულას დააჯერა. მასპინძელთა ზეობა იმანაც განაპირობა, რომ მათ სტუმართა ლიდერ, ცენტრ დიკემბე მუტომბოს გაუვნებლება შეძლეს, რომელმაც პირველი ორი თამაში ფაქტობრივად მარტოდმარტომ მოიგო.

## დასავლეთი

### პორტლენდი — ფინიქსი 3:0

**ფინიქსი 93:103 პორტლენდი**

**ფინიქსი:** კიდი (16), ჩეპმენი (5), გულიოტა (12), რობინსონი (24), მენინგი (13); გარიტი (7), ლივინგსტონი (2), ლონგლი (2), მაკლაუდი (12)

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (9), რაიდერი (18), ვოლესი (13), გრანტი (20), საბონისი (14); ენტონი (8), ოგმონი, ჯეკსონი (13), ონილი (5), ვილიამსი (3)

გამოვლინდა პირველი მეორერაუნდოსანი გუნდიც — „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს“, როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ სამი თამაში დასჭირდა ფინიქსის მოსანელებლად და იოლად უწია მეორე წრეს, სადაც 1992 წლის აქეთ არ ყოფილა. ეს მეორე წრეში, თორემ პორტლენდი ბოლო 17 სეზონია, პლეი ოფს არ აცდენს. 1992 წელი „ბლეიზერსისთვის“ საკმაოდ წარმატებული გამოდგა, პლეი ოფის ფინალამდე უწია და იქ მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგო ბულზთან“ დაძაბულ ექვსმატჩიან სერიაში დამარცხდა. დღესდღეობით პორტლენდის აღმავლობაზე რეგულარულ ჩემპიონატში მისი სანაქებო თამაში და აწ უკვე ყოფილი მეტოქის ფინიქსის იოლად ძლევაც მოწმობს. ახლა პორტლენდში მოთმინებით ელიან იუტა-საკრამენტოს შორის უძლიერესს, რათა მასაც იგივე დღე დააყაროს (ყოველ შემთხვევაში, შეეცდება მაინც).

ისევე როგორც წინა ორ მატჩში, სერიის მესამე შეხვედრაშიც სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. არც ფინიქსს უნდა დავუკარგოთ მონდომება და სულისკვეთება, მაგრამ პორტლენდი და მისი ყველა წამყვანი მოთამაშე იმდენად კარგ ფორმაშია, რომ ფინიქსი ვერაფერს გახდა. უკვე პირველ მეოთხედში ანგარიში 36:23 იყო, რა თქმა უნდა, პორტლენდის სასარგებლოდ. სტუმართაგან ყველა კარგად ირჯებოდა. მათმა ლიტველმა ცენტრმა არვიდას საბონისმა აშკარად დაჩაგრა მეტოქე გუნდის მასსავით თეთრი უცხოელი, მეურვე ლუკ ლონგლი, ვისაც წინა სამი ჩემპიონატის ოქრო მოუგია „ჩიკაგო ბულზთან“ ერთად და ახლა პირველ, მაგრამ არცთუ ხეირიან სეზონს ატარებს „ფინიქს სანზში“.

### იუტა — საკრამენტო 1:2

**საკრამენტო 84:81 იუტა**

(ძირითადი დრო 77:77)

**საკრამანტო:** ვილიამსი (12), აბდულ-ვაჰადი (6), ვილიამსონი (18), ვებერი (10), დივაცი (22); ფანდერბურკი (2), მაქსველი (6), ბერი, პოლარდი (3), სტოიაკოვიჩი (5)

**იუტა:** სტოქტონი (5), ჰორნაჩეკი (4), რასელი (5), მელოუნი (22), ოსტერტაგი (3); ბეილი (4), ეისლი (21), ფოსტერი, კიფი, ანდერსონი (17), ფალერი

იქნებ კიდეც ნიშნავდეს რამეს ის, რომ იუტასა და საკრამენტოს შორის რეგულარული ჩემპიონატის სამივე შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა. ამ სერიაში უკვე სამი მატჩი გაიმართა და აქედან მხოლოდ პირველი დამთავრდა ოვერტაიმის გარეშე. აი, მომდევნო ორი შეხვედრის დასამთავრებლად არ აღმოჩნდა საკმარისი ოთხი მეოთხედი და ორივე შემთხვევაში საკრამენტომ იმარჯვა. „მეფეთა“ ახალგაზრდულმა ჟინმა და მონდომებამ აჯობა იუტას უდიდეს გამოცდილებას და სენსაციაც გამოაცხო. აღსანიშნავია, რომ თვითონ „საკრამენტო კინგზს“ ამ მატჩის გარდა თავის ისტორიაში არ მოუგია საპლეიოფო შინაური თამაში.

საკრამენტოს ჰყავს ვარსკვლავები, მაგრამ მათი უმეტესობა ისეთ ამპლუაშია, სადაც იუტელები უფრო მძლავრობენ. მაგალითად, „მეფეთა“ ლიდერ კრის ვებერს, ამპლუით თავდამსხმელს, იუტელთა ლიდერი კარლ მელოუნი უპირისპირდება. ჯეისონ ვილიამსს — ჯონ სტოქტონი, ტარიქ აბდულ-ვაჰადს კი ჯეფ ჰორნაჩეკი მეურვეობს. აი, ცენტრში ვლადე დივაცის დარი კი იუტას არავინ გააჩნია და მისი „ჯაზს“ ტყუილად არ ეშინოდა. დავაცმა ამ შეხვედრაში მეურვე გრეგ ოსტერტაგი გააბითურა და 22 ქულას 14 მოხსნა და ხუთი პასიც დაურთო.

შეხვედრა საკრამენტოს უპირატესობით დაიწყო და პირველი მეოთხედი მასპინძლებმა 11 ქულის სხვაობით მოიგეს. იუტა ის გუნდის არაა, ვინმეს რაიმე იოლად დაუთმოს და დაწევა მოახერხა, ბოლო მეოთხედის ბოლოს, წინაც გაიჭრა, მაგრამ დივაცის თავგამოდებამ იუტა ოვერტაიმისთვის გაწირა. დამატებით დროშიც გაიბრწყინა იუგოსლავმა — საკრამენტოს 7 ქულიდან ოთხი თვის ანგარიშზე ჩაიწერა, იმდენი რამდენიც მთლიანად იუტამ და მას პირში ჩალაც გამოავლო.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS

ფინიქსი — პორტლენდი. დეიმონ სტუდემაიერმა (მარჯვნივ) ფინიქსელი ჯეისონ კიდი მშრალზე დატოვა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა

XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | ჰერტა — ჰანზა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | მიონხენგლადბახი — ჰამბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 15.05 | ნიურნბერგი — ბაიერნი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | აინტრახტი — დორტმუნდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | დუისბურგი — ლევერკუზენი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | მიუნხენ 1860 — ვერდერი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| | შტუტგარტი — ფრაიბურგი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ბოხუმი — ვოლფსბურგი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 16.05 | შალკე — კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა

XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | ზანქტ პაული — ობერჰაუზენი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ულმი — დიუსელდორფი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | უნტერჰახინგი — კიკერსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| 16.05 | კიოლნი — ბერლინი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | კოტბუსი — გიუტერსლო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | მაინცი — ფორტუნა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | კარლსრუე — ვატენშაიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 17.05 | არმინია — ფიურტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა

XXXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | არსენალი — ასტონ ვილა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ჩარლტონი — შეფილდი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | ჩელსი — დერბი | 1,5 | 3,8 | 4,7 |
| | ქოვენთრი — ლიდსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლივერპული — უიმბლდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | მანჩესტერი — ტოტენჰემი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| | ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,35 | 4,0 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ნოტინგემი — ლესტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | საუთჰემპტონი — ევერტონი | 1,5 | 2,5 | 8,0 |
| | ვესტ ჰემი — მიდლსბრო | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი

პლეი ოფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | ბოლტონი — იფსვიჩი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | უოტფორდი — ბირმინგემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A.

XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ფიორენტინა — ლაციო | 2,9 | 2,8 | 2,2 |
| | მილანი — ემპოლი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 3,8 | 5,3 |
| 16.05 | ბარი — იუვენტუსი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ბოლონია — სამპდორია | 2,2 | 3,5 | 2,2 |
| | პარმა — პიაჩენცა | 1,5 | 2,8 | 7,0 |
| | რომა — კალიარი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სალერნიტანა — ვიჩენცა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ვენეცია — ინტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | უდინეზე — პერუჯა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | ატალანტა — რეჯანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,3 |
| | კიევო — ვერონა | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| | კოზენცა — რეჯანა | 2,5 | 2,7 | 2,4 |
| | ჯენოა — ფ. ანდრია | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| | მონცა — ბრეშა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | ნაპოლი — ლეჩე | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| | პესკარა — კრემონეზე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | რავენა — ლეკეზე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ტერნანა — ტრევიზო | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| | ტორინო — ჩეზენა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | რასინგი — მალიორკა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 15.05 | ბარსელონა — ვალიადოლიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 16.05 | ბილბაო — ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ბეტისი — დეპორტივო | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | სარაგოსა — ატლეტიკო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ესტრემადურა — ტენერიფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | რეალი — ოვიედო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | სელტა — სოსიედადი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ვალენსია — ესპანიოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | სალამანკა — ალავესი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი

XXXVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ბადახოსი — ეიბარი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | ერკულესი — ალბასეტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | მალაგა — ბარსელონა B | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | სევილია — რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 16.05 | მერიდა — ლას პალმასი ($15^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლეგანესი — სპორტინგი ($15^{00}$) | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| | ნუმანსია — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ორენსე — ატლეტიკო B | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| | რეკრეატივო — მალიორკა B | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ოსასუნა — ტოლედო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | კომპოსტელა — ლოგრონიესი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### საფრანგეთის თასის ფინალი

(პარიზი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ნანტი — სედანი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | სოშო — ლე ავრი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი

XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | ბენფიკა — შავეში | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | გიმარაეში — მარიტიმუ | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 15.05 | ბრაგა — სპორტინგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 16.05 | სეტუბალი — კამპომაიორენსე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | პორტუ — აკადემიკა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| | სალგეირუში — ამადორა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ლეირია — რიუ ავე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ალვერკა — ფარენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 17.05 | ბოავიშტა — ბეირა მარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

XXXIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | აიაქსი — ვალვაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | კამბური — ტილბურგი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| | მაასტრიხტი — ჰერენვენი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | ნაიმეგენი — ფეიენოორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ეინდჰოვენი — ალკმაარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | როდა — უტრეხტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | სპარტა — სიტარდი | 1,7 | 3,4 | 3,8 |
| | ტვენტე — ბრედა | 1,5 | 4,0 | 4,4 |
| | ვიტესი — გრააფსხაპი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### ბელგიის ჩემპიონატი

XXXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | აალსტი — ოსტენდე | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| | ლიერსი — სტანდარდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ლოკერენი — გენტი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | ჰარელბეკი — გენკი | 5,3 | 2,8 | 1,7 |
| | ანდერლეხტი — კორტრაიკი | 1,2 | 5,6 | 7,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლომელი — შარლერუა | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | სტ. ტრუიდენი — ბევერენი | 1,5 | 4,0 | 4,2 |
| | ეკერენი — მუსკრონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ბრიუგე — ვესტერლო | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი

XXVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15-16.05 | სტომილი — ვიძევი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | პოლონია — რაძიონკოვი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ზაგლებიე — ლეხი | 3,2 | 2,8 | 2,1 |
| | ოდრა — ამიცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | პოგონი — კატოვიცე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | გურნიკი — ლეგია | 2,9 | 2,9 | 2,3 |
| | ლკს — ბელხატოვი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | რუხი — ვისლა | 4,0 | 3,3 | 1,7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თურქეთის ჩემპიონატი

XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 15.05 | ფენერბაჰჩე — ქოჯაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 16.05 | გენჩლერბირლიგი — ბურსა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ქარაბუქი — ანთალია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | დარდანელი — საქარია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ადანა — ალთაი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | სამსუნი — გაზიანთეფი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ისთანბული — ერზრუმი | 1,6 | 3,5 | 4,2 |
| | ტრაბზონი — ბეშიქთაში | 3,0 | 2,9 | 2,2 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი

XXXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | სელტიკი — აბერდინი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | დანდი — დანფერმლაინი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ჰართსი — დანდი იუნაიტედი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | კილმარნოკი — სტ. ჯონსტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | მოზერველი — რეინჯერსი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | აუსტრია — გრაცერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 15.05 | ლინცერი — ზალცბურგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლუსტენაუ — ტიროლი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| | რიდი — შტაირი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | შტურმი — რაპიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი

XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.05 | სერვეტი — გრასჰოპერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 15.05 | ლუცერნი — სტ. გალენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ქსამაქსი — ლოზანა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 16.05 | ციურიხი — ბაზელი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### რუსეთის ჩემპიონატი

VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15.05 | ცსკა — ჩერნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | როტორი — სპარტაკი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | როსტსელმაში — ზენიტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ტორპედო — შინიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ნოვგოროდი — ურალანი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | სატურნი — ალანია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | ჟემჩუჟინა — კრილია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ლოკომოტივი — დინამო | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### შვედეთის ჩემპიონატი

VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.05 | ნორჩიოპინგი — ელფსბორგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | კალმარი — იორებრო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 17.05 | ტრელებორგი — აიკ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | იურგარდენი — იორგრიტე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | გიოტებორგი — ჰალმსტადი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ჰელსინბორგი — ფრიოლუნდა | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### შვედეთის თასის ფინალი.

პირველი მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14. | აიკ — გეტებორგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი (38-ე) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| გერმანია (32-ე) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (33-ე) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (34-ე) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (32-ე) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |
| ჰოლანდია (33-ე) | 26 და ნაკლები | 1,9 | 28 და მეტი | 1,9 |
| პოლონეთი (26-ე) | 19 და ნაკლები | 1,9 | 21 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (32-ე) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |
| ბელგია (34-ე) | 27 და ნაკლები | 1,9 | 29 და მეტი | 1,9 |

**NHL**

**NBA**

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# პატი — რაინერი — ?

პატი შნიდერის ბოლოდროინდელ უსიამოვნებებს, როგორც ეტყობა, ბოლო მოეღო: სამშაბათს იგი 42 წლის გერმანელ გურუსა და დეკემბრიდან მოყოლებული შეთავსებით თავის ბოიფრენდსა და მწვრთნელს, რაინერ ჰარნეკერს დაშორდა.

20 წლის შვეიცარიელმა გასულ სეზონში ხუთი ტურნირი მოიგო და საუკეთესოთა ათეულშიც დაიმკვიდრა ადგილი, თუმცა წლეულს საჩოგბურთო წარმატებების ნაცვლად უცნაური ქცევითა და ბევრის მიერ უბრალო თაღლითად შერაცხულ ჰარნეკერთან ურთიერთობით გამოიჭიმა გაზეთების წინა გვერდებზე.

სეზონის დასაწყისში შნიდერმა ჯერ ბოიფრენდი მოიშორა თავიდან, მერე — დიდი ხნის მწვრთნელი ერიკ ვან ჰარპენი, ბოლოს მშობლებიც მოიმდურა და ჩოგბურთში სრულიად უვიც ჰარნეკერს მიენდო. გერმანელმა, რომელიც ამტკიცებს, რომ რწმენით შიდსისა და კიბოს მორჩენა შეუძლია (თუმცა პოლიციას ამის რატომღაც არ სჯერა და ულიცენზიო აქიმობისთვის გასამართლებას უპირებს), შეგირდს ღამით მხოლოდ ხუთი საათი ძილი, დღისით კი ლიტრობით ფორთოხლის წვენის სმა გამოუწერა.

რევოლუციურმა დიეტამ შნიდერზე მაინცდამაინც კეთილისმყოფლად ვერ იმოქმედა: მან გამარჯვებებს უკლო და კლასიფიკაციაშიც მერვედან მეთორმეტე ადგილზე დაქვეითდა. თანაც მთელი ეს აურზაური მის სპონსორებსაც ამოუვიდათ ყელში და პატიმ რამდენიმე სარფიანი კონტრაქტიც დაკარგა.

ბოლოს და ბოლოს, შვეიცარიელსაც აეხილა თვალი. ჰარნეკერთან მის მოსალოდნელ დაშორებაზე უკვე გასულ კვირაში ალაპარაკდნენ, როდესაც პატი რომში ორი თვის უნახავ დედას, აირისს შეხვდა და ოჯახთან გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა მოისურვა. და აი, გერმანიის ღია პირველობაზე მოსახდენი მოხდა. „მე არ დავბრუნდები რაინერთან, მაგრამ მასზე რაიმე ცუდის თქმაც არ მინდა“ — განუცხადა შნიდერმა ჟურნალისტებს.

ბერლინში მიმდინარე ტურნირიდან მალე იმ ამბავმაც გაჟონა, შვეიცარიელმა პირადი მცველის გამოყოფა მოითხოვა, ჰარნეკერის მეშინიაო, თუმცა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა იენს-პეტერ ჰესტმა ეს იუარა: „ამას ჰარნეკერთან არანაირი კავშირი არა აქვს. პატის პირადი მცველი კი ჰყავს, მაგრამ იგივე მის გარდა კიდევ ოთხმა-ხუთმა ჩოგბურთელმაც ითხოვა“.

ჯერჯერობით კი შნიდერი ძველებურად ათამაშებასა და თვითმარქვია გურუს დამსახურებით მომდურებულ მშობლიურ ჩოგბურთის ფედერაციასთან შერიგებას აპირებს, რათა ფედერაციის თასის გუნდში გამოუცხადებლობით ჩადენილი დანაშაული გამოისყიდოს.

# მე ანა მინდა


REUTERS ბერლინიდან

მარტინა ჰინგისი

იქვე, გერმანიის ღია პირველობაზე კიდევ ერთი, ერთ დროს შეხმატკბილებული დუეტი დაიშალა: გასულ სეზონში ერთად სამი დიდი სლემის ტურნირის მომგებმა იანა ნოვოტნამ და მარტინა ჰინგისმა თანამშრომლობის დასრულების შესახებ განაცხადეს და გამომშვიდობებისას ერთი-ორჯერ კბილიც გაჰკრეს ერთმანეთს.

თუ ნოვოტნას ვენდობით, ჰინგისმა მას რამდენიმე დღის წინ განუცხადა, ბერდები და სისწრაფეს კარგავო და სეზონის ბოლომდე ანა კურნიკოვასთან შეწყვილება გადაწყვიტა, რომელთან ერთადაც ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო იანვარში.

ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ზემოთქმული იუარა, თუმცა იგივე აზრი კიდევ უფრო უცერემონიოდ გადმოსცა: „ანასთან თამაში ძალიან მსიამოვნებს, რადგან ისიც ჩემსავით მოწადინებული და ახალგაზრდაა. არ მინდა, იანაზე რაიმე ცუდი ვთქვა, მაგრამ იგი უკვე ვეღარ თამაშობს ისე, როგორც გასულ სეზონში. მე მსურს, წყვილებშიც სულ გავიმარჯვო, ამის შანსი კი ნოვოტნასთან ერთად ნაკლებად მექნება“.

30 წლის ჩეხს თავისი უკმაყოფილება არ დაუმალავს: „სამწუხაროდ, მარტინამ თურმე ლიპტონის შემდეგ გადაწყვიტა, ჩემთან ერთად აღარ ეასპარეზა და ამაზე გული არც მწყდება. მე იმან გამანაწყენა, რომ ჩემს გარდა ამის შესახებ ყველას შეატყობინა. ჩემპიონს ასეთი საქციელი არ შეჰფერის“.

ჰინგისს უკომენტაროდ არც ეს განცხადება დაუტოვებია: „ყველაფერი ასე არ ყოფილა. სანამ მას არ ვეტყოდი, არაფერი გადამიწყვეტია. როდესაც ურთიერთობა ფუჭდება, თუ ბრმა არა ხარ, ისედაც უნდა მიხვდე. კი ბისკეინის მოგების შემდეგ იანასთვის ამის პირში მიხლა არ მინდოდა და შესაფერის დროს ველოდი“.

ნოვოტნასთან ერთად 18 წლის შვეიცარიელმა ლიპტონის პირველობა კი მოიგო, მაგრამ უკმაყოფილო იმით დარჩა, თითქმის ყველა მატჩი სამ სეტად რომ გაეწელა და ფინალშიც თავიდან 0:6, 0:2-ს აგებდა, ამდენი დროს ხარჯვა ერთეულებში ასპარეზობაში შემიშლის ხელსო.

* * *

ნოვოტნასა და ჰინგისის ბედი ორიოდ დღის წინ ევგენი კაფელნიკოვისა და დანიელ ვაცეკის წყვილმაც გაიზიარა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ვაცეკთან ერთად ორჯერ როლან გაროსი (1996-1997), ერთხელაც აშშ-ის ღია პირველობა (1997) მოიგო, მაგრამ ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა ამ ურთიერთობას წერტილი დაუსვა.

„ჩვენ ისევ მეგობრები ვართ, მაგრამ კორტზე ერთმანეთს ვეღარ ვეგუებოდით. დანიელს მიაჩნდა, რომ მე არ ვიხარჯებოდი ბოლომდე, მე კი — პირიქით. ჰოდა, გადავწყვიტეთ, სხვა მეწყვილეები მოგვენახა“ — აღნიშნა ჟენიამ.


REUTERS

ფერნანდო მელიგენი

**რომი. იტალიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი $**

არწივცხვირა, თმაგიშერა და ძვალტყავა წარმოშობით არგენტინელმა, გარეგნობით ქართველმა, ეროვნებით კი ბრაზილიელმა ფერნანდო მელიგენიმ მეორე წრეში რომის ტურნირის ყველაზე დიდი სენსაცია მოახდინა — მსოფლიოს მეორე ჩოგან პიტ სამპრასს 66 წუთში, 6:3, 6:1 აჯობა.

მატჩის დროს და მის მერე „პისტოლ პიტს“ იტალიელებმა ბლომად უსტვინეს და კარს მომდგარი როლან გაროსის წინ კიდევ უფრო ცუდ გუნებაზეც დააყენეს: „თავადაც აღშფოთებული ვარ საკუთარი თამაშით. იქნებ ისე ჩანდა, რომ მაინცდამაინც არც ვცდილობდი საქმის გამოსწორებას, მაგრამ ასე არ ყოფილა. ბურთს ავაცილებდი თუ არა, მაყურებლები შეუჩერებლად უსტვენდნენ. ეს საშინელი გრძნობაა, ძალიან უსიამოვნო“.

მეორე წრე: **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:1, 6:2; **ალექს კორეტხა** (3, ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:3; **პატრიკ რაფტერი** (4, ავსტრალია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:2, 6:3; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — რიჩარდ კრაიჩეკი (5, ჰოლანდია) 6:3, 6:2; **კარლოს მოია** (6, ესპანეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2, 6:1; **კაროლ კუჩერა** (10, სლოვაკეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:5, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — გრეგ რუზეცკი (12, ინგლისი) 6:3, 6:3; **ანდრე აგასი** (14, აშშ) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 6:1, 6:2.

**ბერლინი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $**

მეორე წრე: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:3, 6:2; **რუქსანდრა დრაგომირი** (რუმინეთი) — იანა ნოვოტნა (2, ჩეხეთი) 7:6 (7:4), 6:2; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (4, ესპანეთი) — კორინა მორარიუ (აშშ) 7:6 (7:0), 6:7 (5:7), 7:6 (8:6); **შტეფი გრაფი** (3, გერმანია) — სანდრა ნაჩუკი (იუგოსლავია) 2:6, 6:3, 6:4; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — ბრი რიტნერი (გერმანია) 6:4, 6:4; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — დომინიკ ვან რუსტი (11, ბელგია) 6:3, 7:5; **ჟული ალარი** (საფრანგეთი) — ნატაშა ზვერევა (15, ბელარუსი) 6:2, 6:0.

**ავთანდილ სვანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS

სუსანთიკა ჯაიასინგჰეს (მარჯვნივ) დასვენება მოუხდა

# სანამ სუსანთიკას შეაბამდნენ

სანამ შრი ლანკელ მორბენალ ძუს, სუსანთიკა ჯაიასინგჰეს ყელზე ოლიმპიურ ოქროს შეაბამდნენ, მანამ კარგად მეყოლოს მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობა. მაგრამ იმედის საქმე ხომ იცით როგორაა — სანამ პირში ზამთრის სიგრილე გიდგას, ვერაფერი ჩააძაღლებს. ჰოდა, იმედიანადაა შრილანკელი სუსანთიკაც — ისე, თქვენ გეტყვით და ჯანი არ მოსდევს, ჯიში თუ, აგერ, ა, ტოკიოს გრანპრიზე 100 მეტრი მოუგო სავათედა ფაინზისა (ბაჰამის კუნძულები) და ფილომენა მენსას (კანადა). აბა, ორი წლისწინანდელი ამბავიც მოიგონეთ, აი, ის, ათენის ჩემპიონატზე რომ მოხდა. განა მაშინ სუსა პირველი შრილანკელი ქალი არ შეიქნა, 49 წლის განმავლობაში რაგინდარა რა მსოფლიო მნიშვნელობის მედალი რომ მიიგო. და მერე რა, რომ ეს, 200 მეტრიან ბილიკზე აღებული, მედალი ვერცხლისა იყო? არც არაფერიო, მიპასუხებთ და, ღმერთმანი, ეგებ არც მე გამოგდავებოდით, მაგრამ მთელი უბედურებაც იმაშია, რომ ამ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ მის შარდში დოპინგის მყრალი ნაკვალევი იპოვეს და სახელთან ერთად, კინაღამ ეგ მედალიც გადაატეხეს თავზე...

დოპინგს თურმე ნაშველება. გოგოს სასამართლოში უჩივლია (აქაოდა, „ვინც მოშარდა, ისევ იმან მოშარდოს“ და „ნე ვინოვატაია ია, ონ სამ კა მნე პრიშოლ“-ო). მსაჯულებსაც აულიათ და თუმცა წელიწადნახევრის დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაუმართლებიათ. შრი ლანკის ფედერაციასაც „ძუ შეცთომილი“ უკანვე შეუტკბია და ასპარეზობის ნებაც დაურთავს. ნამეტანი არც საერთაშორისო კანტორა გაჯიქებულა (მით უფრო რომ უკვე კაი ძალი დროც გასულიყო) და გოგოსთვის აქა-იქ გადარბენის უფლების მიცემაზეც დაჰყაბულებულა. ერთი ეგაა, რომ ყველაფერი მაინც 3 ივლისს, IAAF-ის საარბიტრაჟო საბჭოს წინაშე წარდგომის შემდეგ გაირკვევა, სადაც სუსამ საფუძვლიანად უნდა ახსნას ის, თუ საიდან მოხვდა მის სხეულში მავნე და აღმგზნები ობიექტი.

„ეეჰ, მაგას კი ავხსნი, მაგრამ გულსა და სახელს რა გამიმთელებსო“, - აი, ეგრე ნაღვლიანად საუბრობს სუსა. მისი „გული თურმე უიმედოდ მოწყლულია“, ხოლო „სახელი ისეთი გატეხილი, რომ რამდენი თავის უდანაშაულობაზე სიტყვას ჩამოაგდებს, იმდენი ხალხს“ მისი „დანაშაულისა უფრო სჯერა“.

სწორედ ამიტომაც დატოვა სამშობლო და ბინა ლოს ანჯელესში დაიდო. აქ იგი ვილაც ხვადაგებთან ერთად ვარჯიშობს და იმის გამთელებას ცდილობს, რაც არასოდეს არცერთ ქალს არ გამთელებია...

„რომ იცოდეთ რა გამეტებით ვვარჯიშობ. თუ ცუდი არაფერი მოხდა, 100 მეტრზეც ვირბენ და 200-ზეც. დაფიცებული მაქვს, შრი ლანკაში არასოდეს დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ თუკი სიდნეიში ოქრო მოვიგე, ავილებ და ჩავალ. მინდა, ეგ მედალი უბრალო ხალხს ვაჩვენო — ისინი ხომ ყველათვის ჰალალად მქომაგობდნენ“, — ჟღურტულებს სუსანთიკა და მომხიბვლელად იღიმება.

# კომენის ქადილი




დანიელ კომენი

კენიელი მძლეოსანი დანიელ კომენი აბა, ვის არ გაუგია — 3000 მეტრიანი ბილიკების ჭერქვეშა თუ ჭერგარე რისხვა, გრიგალი და რეკორდსმენი! გაუგიათ და ეგრე. ჰოდა, კომენს თავისი ისედაც განთქმული სახელის კიდევ უფრო განთქმა განუზრახავს და საამსეზონოდ ეთიოპელი კანჯრის, ჰაილე გაბრესელასიეს 5000 მ-იანი რეკორდის დამხობაც დაუქადნია.

„ვიცი, რომ ძნელი იქნება, მაგრამ რა ვქნა, არ მასვენებს მაგაზე ფიქრიო“, - ასე უთქვამს კენიის მაღალმთიან იალაღებზე მოჭენავე დანიელს.

ძნელი ეგ ამბავი კი უსათუოდ იქნება — აბა 5 კმ-ის 12 წუთსა და 39,36 წამზე სწრაფად დაფარვა, თქვენ ხუმრობა ხომ არ გგონიათ? თანაც, არცთუ თავად ჰაილე უნდა დაჯდეს გულხელდაკრეფილი და კადნიერი კენიელის მიერ მისი რეკორდების იავარქმნას მშვიდად უცქიროს. ერთი სიტყვით, ბოტასი ნასროლია და დუელიანტებიც მალე შეიყრებიან.

**არტემ ჩაჩანიძე**

ხელბურთი

# ხელბურთის პელე



ჯემალ ცერცვაძე

ქართული ხელბურთი სადაცაა 50 წლის მოიყრება, ამ ხნის მანძილზე ხელბურთის ქომაგნი მრავალი გამარჯვებისა და, ცხადია, მარცხის მომსწრენიც ყოფილან, როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, გამორჩეულად 60-იანი წლები და მაშინდელი თბილისის „ბურევესტნიკი" გვახსენდება, გუნდი, რომელმაც იმდროინდელ საბჭოთა ჩემპიონატებში ორჯერ იმარჯვა, რომელსაც თამაშის თავისებური, ტემპერამენტიანი და არტისტული მანერა ჰქონდა და ამიტომაც იყო, „ბურევესტნიკის" მატჩების დროს პირთამდე რომ ივსებოდა სპორტის სასახლის ტრიბუნა.

ფეხბურთის ჭარმაგი გულშემატკივრებისგან ხშირად გამიგონია, მაშინ ხალხი სტადიონზე მესხის, მეტრეველის სანახავად დადიოდაო. მსგავსი რამ ხელბურთის ქომაგთაგანაც მსმენია და უმეტესად ჯემალ ცერცვაძის სახელი ხვდებოდა ყურს.

„ხელბურთის პელე", „ოქროს ხელი", ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ ჯემალ ცერცვაძეს საქართველოში და უცხოეთშიც ასაკის გამო ცერცვაძის თამაში არ მინახავს და მართალი გითხრათ, გადაჭარბებულად მიმაჩნდა წანაკითხ-გაგონილი. მაგრამ ახლახან ჯემალ ცერცვაძის ნიჭის დამფასებლებთან ერთად საშუალება მომეცა მენახა ძველი კინოფირი, რომელზეც 60-იანი წლების „ბურევესტნიკის" მატჩებია აღბეჭდილი და მივხვდი, რატომ ადარებდნენ ქართველ ხელბურთელს ლეგენდარულ პელეს.

იმ მცირემეტრაჟიან ფირზე ჯემალ ცერცვაძის ულამაზესი გოლები, მეტოქე გუნდის პირდაღებული მცველები და გაოგნებული მეკარე ვიხილე, გამაოცა „ხელბურთის პელეს" ხელის მტევნის უჩვეულო, ვირტუოზულმა მოძრაობამ, ხოლო ჯემალ ცერცვაძის საფირმო ტყორცნის აღწერა უბრალოდ შეუძლებელია. ეს უნდა ნახო!

ჯემალ ცერცვაძე ხელბურთში კალათბურთიდან მივიდა და თხუთმეტი წელი უერთგულა მას, ამ ხნის მანძილზე 7000 (!) ბურთი გაიტანა, ცხრაჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ბომბარდირი, საბჭოთა ნაკრებში თორმეტი წელი ითამაშა. ქართველ ხელბურთელს ერთ მატჩში გატანილი ბურთებით რეკორდიც დაუმყარებია: ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში 17-ჯერ დაბომბა მოწინააღმდეგის კარი, ხოლო პროფკავშირების სპარტაკიადაზე სულაც 29 გაიტანა. დამეთანხმებით, ასეთი რამ მხოლოდ ღვთით მომადლებული ნიჭის პატრონს თუ შეუძლია.

ჯემალ ცერცვაძეს პატივი და დიდება არასდროს ჰკლებია, მაგრამ ყველაზე დიდი აღიარება მისთვის მაინც გულშემატკივართა სიყვარულია, იმათი, ვინც მრავალჯერ დამტკბარა ცერცვაძის თამაშის ხილვით.

7 მაისს ყოფილ გორკის პარკში, სწორედ ჯემალ ცერცვაძის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ, მიზეზიც ფრიად მნიშვნელოვანი იყო — „ხელბურთის პელე" 60 წლისა მოყრილა. ვის არ ნახავდით იუბილეზე, რა პროფესიის, რა ხელობის კაცს, ისინი ერთად ჯემალ ცერცვაძის სახელმა, მისმა სპორტულმა წარსულმა და დღევანდელობამ შეჰყარა. რა თქმა უნდა, იყო მილოცვები, სურვილები და მოგონებები, გახსენება იმ დიდებული დღეებისა, რომელიც ჯემალ ცერცვაძემ ხელბურთის მოყვარულთ აჩუქა.

იუბილარი უსაჩუქროდ არც ქვეყნის პრეზიდენტს დაუტოვებია, ჯემალ ცერცვაძე ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

**ქახა ხურციძე**



ჯემალ ცერცვაძე: მუდამ გამორჩეული და შეუდარებელი

**ხელბურთელ ვაჟთა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საკვალიფიკაციო ეტაპი**

I ჯგუფი

იტალია — ლუქსემბურგი 30:15(17:5)

II ჯგუფი

ფინეთი — ესტონეთი 20:24(9:8)

V ჯგუფი

რუმინეთი — ბელგია 27:16(12:8)

VI ჯგუფი

პორტუგალია — საქართველო 17:14(6:8)

სლოვაკეთი — ლატვია 20:17(9:8)

VII ჯგუფი

ჩეხეთი — საბერძნეთი 27:18(12:8)

ძიუდო

*ძიუდოისტებს ევროპის ჩემპიონატი კარს მოადგათ. კონტინენტის პირველობა 20-23 მაისს ჩატარდება სლოვაკეთში. ჩვენი ნაკრები იქ კვირას გაემგზავრება მოსკოვის გავლით. მანამდე კი დასკვნითი შეკრებაა ძიუდოს დარბაზში. ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი და მისი თანაშემწენი მთელი დატვირთვით, გულმოდგინედ ავარჯიშებენ ბიჭებს. აქ ყველაფერი მოახლოებული დიდი ტურნირით სუნთქავს. ხაბარელი ცდილობს, მაქსიმალურად შეუქმნას ფალავნებს ის საშეჯიბრო ატმოსფერო, რომელიც სლოვაკეთში ელით (რამდენადაც ამის საშუალებას ჩვენი პირობები აძლევს). ძიუდოში ოთხი წონა ერთ დღეს ასპარეზობს, მეორე ოთხეული კი მეორე დღეს. ხაბარელიც ასე ავარჯიშებს ფალავნებს. როცა ერთი ოთხეული დარბაზში ილეთებს ხვეწს და ტექნიკას სრულყოფს, მეორენი ამ დროს დარბიან და ფიზმომზადებაში ვარჯიშობენ. მეორე დღეს როლები იცვლება და ასე ყოველ დღე.*

# მედალი? კი ბატონო!

ერთ-ერთ ვარჯიშს ჩვენც დავესწარით. იმ დღეს ნაკრების წევრთაგან სპორტის აკადემიის სტადიონზე ძუნძულმა გიორგი რევაზიშვილს, გიორგი ვაზაგაშვილს, სოსო ლიპარტელიანს და რამაზ ჩოჩიშვილს მოუწიათ. ხაბარელმა ისინი სარბენად გაისტუმრა, თავად კი დანარჩენებს შეუძლვა დარბაზში. აქ ნესტორ ხერგიანის, გია გუგავას, ივერი ჯიქურაულისა და ალექსი დავითაშვილის გარდა ეროვნული თუ ახალგაზრდული ნაკრებების ყველა კანდიდატი იყო. ისინი სპარინგ-პარტნიორობას უწევენ სლოვაკეთში წამსვლელთ. ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები თანატოლ ევროპელთა ოლიმპიური დღეებისთვის ემზადებიან და ამაზე უკეთესი რა უნდათ!

თავიდან ბიჭებმა გასახურებლად დარბაზშივე ირბინეს, მერე მოითელნენ, რასაც წალმა-უკულმა ყირები მოაყოლეს. უმთავრესი კი — ერთმანეთში სავარჯიშო შეხვედრები — ამის შემდეგ დაიწყო. დაიწყო და დაიწყო! ბიჭები ხაბარელის თხოვნის მიუხედავად, ტრავმებს ერიდეთო, არც თავს ზოგავდნენ და არც მეტოქეს. ახალგაზრდებისთვის ხომ ეს შეხვედრები ყველაფერია — რეკლამაც, ამბიციის დაკმაყოფილებაც, გამოცდაც, დიდი სკოლაც... მათგან არაერთმა ცნობილმა თუ უცნობმა გამოიჩინა თავი. კარგი იყო გუგავაც, მაგრამ ხერგიანმა ტატამზე ნამდვილი ცეცხლი დაანთო. ორივემ დაამტკიცა, რომ მართლაც ჩინებულ ფორმაშია და სლოვაკეთში ტურისტებად არ ჩავლენ. ხაბარელი მათ იმ ყოველდღიური დატვირთვით ავარჯიშებს, რაც ევროპაზე ელით — სამი-ოთხი შეხვედრა ათწუთიანი ინტერვალით. ბოლოს მწვრთნელმა ნაკრების წევრები კისრულებში წაავარჯიშა. ხერგიანმა აქაც ყველაზე მეტად გამოირჩა. აი, ჯიქურაული და დავითაშვილი კი შენელებული კადრებივით მოქმედებდნენ. ხაბარელმაც მათ მეტი სისწრაფისკენ მოუწოდა.

დაახლოებით საათნახევარში ყველაფერი დამთავრდა და ბიჭებმაც სასაუბროდ მოიცალეს. გია გუგავამ პარიზის უპრესტიჟულესი ტურნირის მოგებით ძალიან კი იყოჩაღა, თუმცა ამაზე გაჩერებას არ აპირებს: „სლოვაკეთში მედლისთვის მივდივარ. მჯერა, აუცილებლად მოვიპოვებ, ოღონდ მედლის ხარისხზე ახლა ვერაფერს გეტყვით. ხელის შეშლა ყველაზე მეტად ევროპის ჩემპიონატის ზედიზედ სამჯერ მომგებ ჰოლანდიელ ჰუზინგას და გერმანელ შპიტკას შეუძლიათ. წლეულს მათ არ შევხვედრივარ, რადგან ჩემთან ერთად ან არ მონაწილეობდნენ, ან ჩემამდე ვერ აღწევდნენ. ამ ორ წელიწადში ნაკრებში რომ მნიშვნელოვანი წარმატება არ მქონია, ამას გამოუცდელობით ვხსნი. ჯერ 20 წლისა ვარ და გამოცდილებას თანდათან შევიძენ. ჩემი უმთავრესი მიზანი ოლიმპიური წარმატებაა. აქ მედალს ვგულისხმობ, თორემ ლიცენზიის მოპოვება არც მეჭვება".

გიორგი რევაზიშვილი თავის თავში დარწმუნებული, მაგრამ მაინც ფრთხილია: „წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. მით უფრო, ჩემპიონობის დაპირება, მაგრამ უიმედოდ არ ვარ. მოსამზადებელი ეტაპი და საერთაშორისო ტურნირები იმდენად კარგად გავიარე, ალბათ, ფინალში მაინც უნდა მოვხვდე. ისე, ჩემთვის უმთავრესია წარმატება მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებზე".

გიორგი რევაზიშვილისა და გიორგი ვაზაგაშვილის კონკურენციიდან გამომდინარე პიროვნული უსიამოვნებები წარსულს ჩაბარდა, თუმცა „ვაზაგა" ჩვეულ — 66 კგ წონას ასე იოლად ვერ ელევა და მომავალშიც გახარებას გვპირებს: „1998 წელი მთლიანად გავაცდინე და წლეულს რომ ნაკრებში მოხვედრა გამიჭირდა, ალბათ, იმ გაცდენილი სეზონის ბრალიცაა. ისე, ზოგი ჭირი მარგებელიაო და იქნებ ეს კარგიც იყო — დასვენებით ხომ მაინც დავისვენე. ეს, ალბათ, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშებისთვის წამადგება. მანამდე ჩემს საუკეთესო ფორმასაც აღვიდგენ. რაც შეეხება 66 კილოს, მასზე ხელი ნამდვილად არ ჩამიქნევია და ამაში ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგაც დაგარწმუნებთ".

სოსო ლიპარტელიანს სეზონის დასაწყისში ხაბარელი არ ემადლიერებოდა, ვერაა სათანადო ფორმაშიო. „ეს ზედმეტი წონის ბრალი იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარდა. მოსამზადებელი ციკლი კარგად გავიარე და სლოვაკეთში სამეულსაც ვუმიზნებ".

აი, ასე ემზადება ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის და ასეთი ჟინია თავად ბიჭებშიც. გუნდის ექიმის თქმით, ყველა ჯანმრთელადაა და არც ზედმეტი წონის პრობლემაა. თუ ვინმეს ევროპის ჩემპიონობის მოპოვება შეუძლია, უპირველესად ძიუდოისტებს. იმედია, ისინი მაინც არ გაგვაწბილებენ.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა

# მოჭიდავეები დედოფალთან ვერ დაწვნენ

ნათქვამია, გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო. დედოფალთან დაწოლაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ეკონომიკურმა სიდუხჭირემ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე ხელი კი ნამდვილად აალებინა. გუნდი ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც 8-10 ოქტომბერს ანკარაში ჩატარდება. ზემოხსენებულ ტურნირს ამ ჩემპიონატისთვის მზადების გეგმა ითვალისწინებდა. ეტყობა, წარსულის მწარე გამოცდილებამ, როცა დეპარტამენტი ფულს ძალიან ძუნწად „გამოდიოდა", მწვრთნელებსაც და ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობასაც ჭკუა ასწავლა. რაკიღა მათგან დიდ ხელგაშლილობას არც ახლა ელოდნენ, ფულის დაზოგვის მიზნით შეგნებულად იუარეს საბერძნეთში წასვლა, სანაცვლოდ კი ოქტომბრამდე ოთხი შეკრება ითხოვეს. დეპარტამენტს თურმე ესეც ებევრა, ევროპამდე მხოლოდ ერთი მოგიწყვეთ და მსოფლიოსთვის ოთხი რა ამბავიაო. ახლა გუნდის ორი ლიდერი — დავით პოლოსიანი და ემზარ ბედინეიშვილი ჯერ კიდევ ძველ ტრავმებს იშუშებენ. საბერძნეთში რომ წაეყვანათ და ეჭიდავებინათ, ამას შეიძლება ახალი გართულება მოჰყოლოდა. ამიტომ ამ გუნდით ამხელა გზაზე მგზავრობას ის ამჯობინეს, იმ ფულით აქ გაევლოთ რამდენიმე შეკრება. პირველი მათგანი ივნისის ბოლოსაა დაგეგმილი. მეორე შეკრების შემდეგ პოლონეთის საერთაშორისო ტურნირშიც სურთ ასპარეზობა. ივნისის ბოლოს ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირია, სადღაც შუა ზაფხულში ერთხელ უკვე ჩაშლილი საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებასაც აპირებენ, თუ ეს ყველაფერი ხომ ფინანსთა სამინისტროსა და სპორტის დეპარტამენტის გულმოწყალებაზეა დამოკიდებული.

ისე, ამ ბიჭებმა ახლახან ევროპის ჩემპიონატზე სამი მედალი ლამის უვარჯიშებლებმა, ერთი შეკრების ხარჯზე მოიპოვეს და, თუ ცოტა უკეთ სავარჯიშოდ ფულს არ დაამადლიან, ხელცარიელნი არც ანკარიდან დაბრუნდებიან.

**ირაკლი თავაძე**

ოლიმპიზმი

# სოკ-ის „გოიმ" და „კაცთმოყვარე" წევრებზე

გახსოვთ ის 400-გვერდიანი შეკვრა, ვითომდაც სიდნეის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტისა და სოკ-ის შერისხულმა წევრმა, ფილ კოულზმა რომ შეთხზა და მშობლიური ქალაქის მიერ საგაისო თამაშების განაღდების შემდეგ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მოჩალიჩე სოლტ ლეიკელებს გადასცა?

თუ არ გახსოვთ და დიდი არაფერი, აწი მაინც გეცოდინებათ. მთავარი კი ისაა, რომ ეს დოკუმენტები გუშინ იქ საჯაროდ გამოიფინა და მილეთი დარწმუნდა, ისინი ფილ კოულზს კი არა, მის სექს და საქმიან პარტნიორყოფილს, ვინმე პატრისია როსენბროკს რომ შეუდგენია.

ბევრს რომ არ მოვყვეთ, ამ დალოცვილ პატრისიას ჯერ სოკ-ის ლამის უკლებლივ ყველა წევრზე დოსიეები ჩამოუწიკწიკებია, მერე კი აუღია და ოკეანის გაღმა, სოლტ ლეიკელებისათვის გაუგზავნია, ვინძლო თქვენც გამოგადგეთო. თუკი შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ინფორმაცია ამერიკელებს სწორედ რომ მაგრადაც გამოსდგომიათ. ერთი ეგაა, რომ მავან იქაურ ვირთხას შეკვრა მოგვიანებით „ნიუ



იორკ თაიმსის" რედაქციაში მიუტანია და მორიგი ოლიმპიური სკანდალიც „გაუჩითავს"...

სკანდალი კი, გაგიხარიათ, სასეიროა. აბა, როგორია, როცა, ვთქვათ, სოკ-ის სპილოს ძვლის სანაპიროელი წევრი, ისედაც ცულლუტობაში შემჩნეული ლუის გირანდუ-ნდიაიე თავის თავზე ეგეთ რამეს რომ წაიკითხავს: „მაგარი გოიმი და ქაჯია... მისი გოიმობა იმის პირდაპირპროპორციულად იზრდება, რაც უფრო ელეგანტური კოსტიუმები აცვია. უყვარს, როცა მოკლეკაბიანი გოგოშკები ემსახურებიან და მის ნებისმიერ ხუშტურს ასრულებენ".

ანდა პრინცმა ალექსანდრ დე მეროდმა, სოკ-ის სამედიცინო კომიტეტის ვეტერანმა შეფმა რა თქვას, პატრისიას დავთარში აი ეგრე რომ მოიხსენიებენ „თითქოს ნორმალური ბიძაა, მაგრამ ამასწინათ მონტე კარლოს ერთ რესპექტაბელურ რესტორანში შინაურული ტანსაცმლით მივიდა და შიგნით არ შეუშვეს", ანდა ვენესუელელმა ქალმა ფლორ ისავა-ფონსეკამ, სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს პირველმა ქალმა წევრმა, რომელიც როსენბროკს ბარსელონის ოლიმპიადაზე დაუმეგობრდა და თურმე გულ-ბოყვიც უშურველად გადაუშალა: „იგი „კაცთმოყვარეა", ესე იგი კაცებზე მეტად არაფერი უყვარს... განსაკუთრებით ყურადღებიანი და ენადათაფლული ჭაბუკები იზიდავენ, ამბობს — ჩემი ახალგაზრდობის საიდუმლო მაგათ საცვლებში იმალებაო".

და კოულზი?

არც არაფერი. იგი თავის ადგილზე ურყევად დგას და მხოლოდ მოწყალედ იღიმება. მართალი კაცის ღიმილია ეს ღიმილი თუ დახვეწილი არამზადისა, მაგას ან ძალიან მალე შევიტყობთ, ანაც ვერასოდეს. ორივე ვარიანტში სიმშვიდესა და ყაირათიანად ყოფნას გირჩევთ!

**ლევან ძელაურაძე**

# პირატი
## ჯიროს მთავარი და ერთადერთი
# ფავორიტი

სხვისი რა გითხრათ, მაგრამ პირატად წოდებული მარკო პანტანი, ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, ხვალ აუცილებლად დადგება ჯიროს რიგით 82-ე სტარტზე — ამ მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილეობაზე უარის თქმა ველოსპორტის მილიონობით იტალიელ მოყვარულთა ღალატი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ნებისმიერი საბაბითა თუ მიზეზით — გნებავთ ტურ დე ფრანსისთვის მომზადება დაარქვით ამას — შეჯიბრებისთვის თავის არიდება სწორედ ასე აღიქმებოდა იტალიაში. თუმცა ქომაგები არც იტალიის გარეთ აკლია მარკოს. მთის ტრასებზე მისა და მისნაირების საყურებლად ათიათასობით განებივრებული ევროპელი უტრანსპორტოდ, ფეხით ადის 2500-მეტრიან უღელტეხილზე ტრანსპარანტებით, საღებავებითა და წყლით სავსე ქილებით ხელდამშვენებული. ვინ აიძულებს? არც არავინ. აი, ამ ტრასებზე 10-15 კილომეტრის გაყოლეიაზე დგანან მართლაც კაი ცხოვრების ჩვეული კაცები, ქალები, გოგო-ბიჭები და ცოცხალ დერეფანში ფერად-ფერადი დროშების ფრიალით, გამამხნევებელი შეძახილებით, გახურებულ ველოსიპედისტებზე მოპირქვავებული წყლიანი ბოთლებითა და მათარებით მიაცილებენ სულისამომხდელ აღმართს შეჭიდებულ პანტნისა და პანტანისნაირ ბიჭებს. ეს ის ბიჭები არიან, ეგრეთ წოდებულ სწორ ტრასებზე პელოტონის შუაგულში დინჯად რომ ატრიალებენ პედლებს, საგანგებოდ ერიდებიან კინოკამერებს, მოულოდნელი და ეფექტური შეტევებით არ აყრიან ნაცარს თვალში გამოუცდელ მაყურებელს, ჯგუფურ ფინიშზე კი დაუყვედრებელ სამსახურს უწევენ თავთავიანთი გუნდების სპრინტერებს. ისე, კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა იყოს — დაიწყება მთიანი ეტაპები და გუშინდელი სპრინტერ-კერპები ლამაზ, მაგრამ უდღეურ მოგონებად იქცევიან. მრავალდღიანი ველორბოლის პეპლები — იმათაც ხომ აქვთ უფლება ერთიორი დღე ტკბილი ცხოვრებისა!

მარკო და მისნაირები კი დაწყვეტამდე დაჭიმული მყესებით, ჟანგბადდანატრებული ფილტვებითა და ლამის ყელში ამოვარდნილი გულებით მიუყვებიან ოცკილომეტრიან აღმართს, რომლის თავში ვინ იცის, მერამდენე უღელტეხილი, მერამდენე მარცხი თუ ტრიუმფი ელის. ასეთ აღმართებზე დამარცხებულნიც კაცების სიაში ხვდებიან, რადგან ეს არც რინგია, არც კორტი,


მარკო პანტანი: იტალიელთა იმედი, შარშანდელი „ჯიროსა“ და „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული

არც საფეხბურთო მინდორი. აქ საკუთარ თავს ებრძვის ყველა — მარკო პანტანიცა და მისნაირებიც.

ირაკლი ბერიაშვილი

**„ჯირო დიტალიას“ ბოლო 20 წლის გამარჯვებულები**

| | |
|---|---|
| 1979 | ჯუზეპე სარონი (იტალია) |
| 1980 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1981 | ჯოვანი ბატალინი (იტალია) |
| 1982 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1983 | ჯუზეპე სარონი (იტალია) |
| 1984 | ფრანჩესკო მოზერი (იტალია) |
| 1985 | ბერნარ ინო (საფრანგეთი) |
| 1986 | რობერტო ვისენტინი (იტალია) |
| 1987 | სტივენ როშე (ირლანდია) |
| 1988 | ანდრე ჰამსტენი (აშშ) |
| 1989 | ლორენ ფინიონი (საფრანგეთი) |
| 1990 | ჯანი ბუნიო (იტალია) |
| 1991 | ფრანკო ჩიკიოლი (იტალია) |
| 1992 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1993 | მიგელ ინდურაინი (ესპანეთი) |
| 1994 | ევგენი ბერზინი (რუსეთი) |
| 1995 | ტონი რომინგერი (შვეიცარია) |
| 1996 | პაველ ტონკოვი (რუსეთი) |
| 1997 | ივან გოტი (იტალია) |
| 1998 | მარკო პანტანი (იტალია) |

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

# საკონტროლო გასროლა აუცილებელია

12 მაისი

პირველი ნახევარფინალური მატჩები

**ჩეხეთი — კანადა 1:2 0:1 0:1 1:0**

0:1 რედენი 4'01; 0:2 სტილმანი 35'35; 1:2 კუბინა 53'43

როგორც იქნა, კანადელებმა 1995 წლის შემდეგ პირველად აჯობეს ჩეხებს დიდ ტურნირზე. ეს მოგება უეჭველად „ნეკერჩხლის ფოთლების“ მწვრთნელების დამსახურებაა. მათ მშვენივრად ესმოდათ, რომ წინა ხაზში უმაღლესი კლასის ოსტატების არმყოლენი ჩეხებს თავდასხმაში ვერ გაეჯიბრებოდნენ, ამიტომაც საიმედო დაცვასა და კონტრიერიშებზე აგეს თამაში. ამ ტაქტიკამ გაამართლა — ჩეხებმა თავიდანვე სცადეს მეტოქის მათსავე ზონაში ჩაკეტვა, მაგრამ კანადელებს პირველივე კონტრშეტევამ წარმატება მოუტანა. მილან ჰნილიჩკა ზედიზედ ორი დარტყმის მოგერიების შემდეგ უეიდ რედენს ველარ გაუმკლავდა. ამ სწრაფმა შაიბამ „ნეკერჩხლის ფოთლებს“ თავდაჯერება შემატა და თამაშიც მათი კარნახით წარიმართა. აღსანიშნავია, რომ ოკეანისგაღმელები საკმაოდ კორექტულად გაისარჯნენ და ჩეხებს მათი კოზირის — რიცხვმრავლობაში ჩინებული თამაშის — გამოყენების საშუალება არ მისცეს. მეტიც, მეორე პერიოდის შუაში დაჯარიმებულმა კანადელმა რაიან სმიტმა სასჯელი მოიხადა თუ არა, ჩეხმა მცველებმა კორი სტილმანს მეორე შაიბა გაატანინეს. ესოდენ ფრთხილ თამაშში ეს უკვე სოლიდური უპირატესობა იყო. ეტყობა, ჩეხებიც შეურიგდნენ ბედს და ნაკლებად აქტიურობდნენ. მათ კუბინას საპასუხო გოლის შემდეგაც ვერ შეუქმნეს სერიოზული პრობლემები კანადელთა მეკარე რონ ტაგნატს (23 მოგერიება). ამგვარად, „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ პირველი ნაბიჯი გადადგეს ფინალისკენ, თუმცა ჩეხებს მეორე მატჩში შეუძლიათ რევანშის აღება.


შვედი კიმ იუნსონი თვით ტეემუ სელიანეს (№8) მეურვეობდა

**ფინეთი — შვედეთი 3:1 1:0 2:1 0:0**

1:0 ტუომაინენი 23'38; 2:0 ჰელმინენი 29'09; 2:1 სუნდსტრიომი 33'38; 3:1 კარალაჰტი 50'17

არაერთხელ თქმულა — ყოველ ტურნირზე, ყოველ მატჩში, თუნდაც ის არაფერს წყვეტდეს, უნდა იფხიზლო. ჩეხებთან საპლეიოფო ეტაპის ბოლო თამაშში შვედები, რომლებსაც უკვე განაღდებული ჰქონდათ ნახევარფინალში გასვლა, ოდნავ მოდუნდნენ და... არც ფინელებთან შეხვედრაში ჩანდა მათი სიძლიერე. თავიდან კი შეუტიეს, მაგრამ „სუომის“ კარი აუღებელი იყო — არი სულანდერმა სამჯერ იხსნა თავისიანები. მეორე პერიოდში კი ინიციატივა ფინელებმა იგდეს ხელთ და აქ გამოჩნდა, რომ მათი ლიდერების ინდივიდუალური ოსტატობა უფრო მაღალია. განსაკუთრებით ბრწყინავდა საკუ კოივუ, რომელიც უეჭველად ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეა. სწორედ მისი უზუსტესი პასით გახსნა მარკო ტუომაინენმა ანგარიში. ამის შემდეგ გუნდებმა გოლები გაცვალეს, მატჩის ბედი კი 51-ე წუთზე გადაწყდა. ფინელებმა მორიგი რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს. ყინულზე ისევ კოივუს ხუთეული გამოვიდა, რომელიც რიცხვმრავლობაში თამაშისას მანამდეც შიშის ზარს სცემდა შვედებს. „სუომელებმა“ სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, კოივუმ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, მცველი იერე კარალაჰტი (5 გოლი და 2 პასი) დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და — 3:1.

ბოლოს დავძენთ, რომ ფინელებმა შური იძიეს შარშანდელ ფინალში (1:0 და 0:0) დამარცხებისთვის.

## შენი ბოლომდე უნდა გაიტანო

ბოლო ორ ჩემპიონატზე ფინალური ეტაპი ახალი სქემით ტარდება. ნახევარფინალსა და ფინალში მეტოქეები ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული ასე ვლინდება: თუ მოწინააღმდეგეები თითო-თითო თამაშს მოიგებენ, შაიბების ჯამური სხვაობის მიუხედავად, ბრძოლას მეორე მატჩის შემდეგ 10-წუთიან ოვერტაიმში გააგრძელებენ გოლის გატანამდე. თუ ვერც ერთი გუნდი ვერ შეარხევს მეტოქის კარის ბადეს, დაინიშნება ბულიტების სერია. ასე რომ, ჩეხებსა და შვედებს პირველი მარცხით ყველაფერი არ დაუკარგავთ. მათ კონკურენტებს — ფინელებსა და კანადელებს კი ამჯერად ფრეც აძლევდათ ხელს.

STANLEY CUP PLAYOFFS

REUTERS

12 მაისი

**აღმოსავლეთი**

სერიის ანგარიში

**ბოსტონი — ბუფალო 1:2**

**ბუფალო — ბოსტონი 3:2**

**1:2 0:0 2:0**

1:0 ვული 1'37 (2); 1:1 ჰაინცე 8'47 (3); 1:2 კარტერი 12'48; 2:2 უორინერი 46'44 (1); 3:2 უორდი 49'38 (3)

ბუფალოელები მესამე პერიოდში მოეგნენ გონს და ეს ბოსტონს ერთობ ძვირად დაუჯდა. „ხმლებმა“ სამ წუთში ორი გოლი გაიტანეს, მერე კი უპირატესობა აღარც გაუშვეს ხელიდან. „წინა მატჩი რომ კარგად, დამაჯერებლად ჩავატარეთ, ბიჭები დაწყნარდნენ, პირველი ორი ტაიმი მოშვებულნი იყვნენ, თითქოს სძინავთო“ — თქვა მატჩის შემდეგ ბუფალოს მწვრთნელმა ლინდი რაფმა. მართლაც უცნაურად იქცეოდნენ ბუფალოელები პირველი 40 წუთის განმავლობაში. მე-19 წუთამდე მასპინძლებმა, რომლებიც ყოველთვის აქტიურად იწყებენ, მხოლოდ ერთხელ (!) დაარტყეს, მთელი ორი პერიოდის განმავლობაში კი სულ რაღაც შვიდჯერ. თუმც ის პირველი შეტევა შედეგიანი აღმოჩნდა და, როგორც ბოლოს გაირკვა, არც ტრადიცია დაარღვიეს, რადგან ბუფალო თუ პირველი გაიტანდა, ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. მატჩის ბოლო მესამედამდე ამის ნიშანწყალიც არ ჩანდა. ბოსტონელები, რომელნიც მანამდე თამაშს კარგად აკონტროლებდნენ (კვლავ გამოირჩა „დათვების“ ნორჩი ლიდერი ჯო ტორნტონი, რომელმაც ორი პასი მიითვალა), ამან ეტყობა შეცდომაში შეიყვანა. მასპინძელთა შტურმი მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მატჩის ბედი კვლავ „ხმლების“ წამყვანმა სამეულმა გადაწყვიტა. მაიკ პეკამ კარს უკან შაიბა აართვა მცველებს, იგი ვაცლავ ვარადამ მიიღო და უმალ თავისუფალ დიქსონ უორდს გადასცა. ამის შემდეგ ბუფალომ ხელთ იგდო ინიციატივა და მატჩის ბოლომდე დომინიკ ჰაშეკს მხოლოდ ერთხელ მოუწია უმაღლესი ოსტატობის ჩვენება.

აღსანიშნავია, რომ ბოსტონი ბუფალოში ჩატარებულ ბოლო ხუთ მატჩში დამარცხდა. ასე რომ, მომდევნო შეხვედრაში, რომელსაც ისევ სტუმრად გამართავს, დიდი გამოცდა ელის.

**დასავლეთი**

**დალასი — სენტ ლუისი 2:2**

**სენტ ლუისი — დალასი 3:2**

**0:1 2:0 0:1 1:0**

0:1 მოდანო 0'59 (3); 1:1 ჰეხტი 25'02 (2); 2:1 კურტნოლი 27'41 (2); 2:2 ლეჰტინენი 40'40 (4); 3:2 ტარჯონი 65'52 (4)

მთელი სეზონი იმას ვსწავლობდი, ძნელი ჟამი ვაჟკაცურად როგორ გადამეტანა. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, შემდეგ თამაშს მოვიგებთ და სერიაშიც გავიმარჯვებთ“ — მარცხის მიუხედავად, დალასის მცველი რიჩარდ მატვიჩუკი ნირწამხდარი არ იყო. ამ

# უქარქაშო ხმლების ფასი ბუფალოშიც იციან

სერიის ბედი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. საქმე მარტო ის როდია, რომ სენტ ლუისმა ანგარიში გაათანაბრა. „ვარსკვლავთა“ ნაქებ დაცვას სულ უფრო და უფრო უჭირს გათამამებულ სენტლუისელთა შეჩერება. თუნდაც პიერ ტარჯონის გადამწყვეტი შაიბა გავიხსენოთ. იგი ხომ დალასელი მცველის სერგეი ზუბოვის უხეში შეცდომის შედეგი იყო. რუსმა თავისივე ზონაში შაიბა პირდაპირ ყვანჯზე მიაწოდა ტარჯონს, რომელმაც არ დააყოვნა და ელვისებური დარტყმით თავისიანებს გამარჯვება მოუტანა. დალასელთა დაცვამ ბოლომდე ველარ გაუძლო მასპინძელთა ზეწოლას (ისინი ხომ განუწყვეტლივ უტევდნენ) და შეცდომაც ამიტომ დაუშვა.

თავისი როლი ალბათ იმანაც ითამაშა, რომ სენტ ლუისს თერთმეტი შეხვედრიდან ექვსში ოვერტაიმმა მოუწია, თანაც აქედან აგერ უკვე მეოთხეში „ბლუზმენები“ გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

თავიდან დალასი აქტიურობდა. განსაკუთრებით მაიკ მოდანო გამოირჩეოდა, რომელიც გუნდის თავკაცმა კენ ჰიჩკოკმა დაბალი შედეგიანობისთვის მკაცრად გააკრიტიკა. მოდანომ თავისიანები პირველივე წუთზე დააწინაურა, სტუმრებს ანგარიშის გაზრდის საშულებაც ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ უპირატესობა სენტ ლუისმა იგდო ხელთ და მიუხედავად იმისა, რომ ისევ მოდანოს ძალისხმევით (ლეჰტინენმა მისი პასით ისარგებლა) სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს, მეტი ველარაფერი მოახერხეს.

სამველ ლარიბიანი


REUTERS
სენტლუისელთა ყოჩაღმა ახალბედამ იოხენ ჰეხტმა (№55) დალასელ მცველთა დიდი ყურადღება დაიმსახურა

## ლიგაში სლავური ბაზარია

ამრიგად, ლიგის ყველაზე პრესტიჟულ პრიზს, ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშისთვის განკუთვნილ „ჰარტ ტროფის“ ორი ჩეხი და ერთიც რუსი შეეცილება ერთმანეთს. პიტსბურგის სუპერბომბარდირ იარომირ იაგრის, ბუფალოს შეუდარებელი მეკარის დომინიკ ჰაშეკისა და ოტავის ლიდერ ალექსეი იაშინის პაექრობა იმას ნიშნავს, რომ ჯილდოს ზედიზედ მესამედ ევროპელი ჰოკეისტი დაეუფლება.

ცხადია, დომინიკ ჰაშეკი, რომელსაც „ჰარტ ტროფი“ მანამდე ზედიზედ ორჯერ გადაეცა, ჰეთ-თრიქის შესრულებას შეეცდება, თუმცა უარს არც საუკეთესო მეკარისთვისთ დაწესებულ „ვეზინა ტროფიზე“ იტყვის, რომლის ფინალისტთა შორის ბოსტონელი ბაირონ დაფო და ტორონტოელი კერტის ჯოზეფი დაასახელეს.

„ნორის ტროფის“ (საუკეთესო მცველი) მაძიებელთა სამეული ასე გამოიყურება: სენტლუისელი ელ მაკინისი, ბოსტონელი რეი ბურკი და დეტროიტელი ნიკლას ლიდსტრიომი. საუკეთესო ახალბედისთვის განკუთვნილ „კოლდერ ტროფისთვის“ მილან ჰეიდუკსა და კრის დრურისთან ერთად (ორივე — კოლორადო) ოტაველი მარიან ჰოსაც იბრძოლებს.

გარდა ამისა, კარიერის ბოლოს შეიძლება დიადმა გრეცკიმაც დაიმშვენოს ხელი „ლედი ბინგ ტროფით“. შეგახსენებთ, რომ ამ პრიზს, რომლის მოპოვების შანსიც ლეგენდარულ ჰოკეისტს მეხუთედ (!) ეძლევა, ყინულზე და მის გარეთ სანიმუშო ყოფაქცევისთვის ანიჭებენ.

დანარჩენ პრიზების პრეტენდენტთა ნუსხა ასე გამოიყურება: „სელკე ტროფი“ (დაცვაში მარჯვე ფორვარდისთვის) — მაიკ პეკა (ბუფალო), იერე ლეჰტინენი (დალასი) და მაგნუს არვედსონი (ოტავა); „ჯეკ ადამს ავარდი“ (საუკეთესო მწვრთნელისთვის) — კენ ჰიჩკოკი (დალასი), ჟაკ მარტენი (ოტავა) და პეტ ქუინი (ტორონტო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲰᲝᲙᲔᲘ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ

**ISHOCKEY VM '99**

LILLEHAMMER - HAMAR - OSLO

1. mai - 16. mai

13 მაისი. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ლილეჰამერი

**ᲤᲘᲜᲔᲗᲘ — ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 2:2**

0:0 0:1 1:1 1:0

პირველი მატჩი 3:1

ფინეთი: ლინდი (51'58), ტოუმაინენი (66'25)

შვედეთი: იონსენი (26'37, 53'04)

*ფინალში ფინელები გავიდნენ*

ლილეჰამერი

**ᲩᲔᲮᲔᲗᲘ — ᲙᲐᲜᲐᲓᲐ 6:4**

2:1 1:1 3:2 0:0

პირველი მატჩი 1:2

ჩეხეთი: კუბინა (07'33), პატერა (12'19), რუჩინსკი (31'01), დვორჟაკი (48'38, 49'28), ვიბორნი (59'37)

კანადა: სტილმანი (05'50), მარლო (22'59), ტორნტონი (41'47), გრეივსი (42'11)

*ბულიტების სერიაც ჩეხებმა მოიგეს — 5:4 და ფინალში გავიდნენ*




REUTERS ლილეჰამერიდან

კანადელთა მეკარე რონ ტაგნატს ბულიტი იაროსლავ შპაჩეკმაც გაუტანა




REUTERS ამსტერდამიდან

ჰოლანდიის თასის მფლობელი ამსტერდამის „აიაქსი". სიტარდის დამარცხებაში წილი შოთა არველაძემაც (მარჯვნიდან მეორე) დაიდო

### ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

**ᲐᲘᲐᲥᲡᲘ 2:0 ᲡᲘᲢᲐᲠᲓᲘ**

1:0, 2:0 გრონკიაერი (11, 15)

### ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

**ᲡᲔᲜᲢ ᲢᲠᲣᲘᲓᲔᲜᲘ 0:0 ᲔᲙᲔᲠᲔᲜᲘ**

**(ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲔᲑᲘᲗ 4:3)**

### ᲓᲐᲜᲘᲐ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

**ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ 2:1 ᲝᲚᲑᲝᲠᲒᲘ**

1:0 ნილსენი (42), 1:1 ფრედერიკსენი (43), 2:1 პერმანსენი (72)

## ᲤᲣᲚᲘ ᲕᲘᲜ ᲬᲐᲘᲦᲝ, ᲛᲐᲠᲙ?

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚ მესერფინგეთა ასოციაციის მსოფლიო ტურის ტაიტის ტეაჰუპო-სანაპიროზე მოყომარებული მეოთხე ეტაპი ავსტრალიელი მარკ ოჩილუპოს გამარჯვებით დასრულდა. ბობოქარი ტალღები ჩაუქმა ოზმა სულ ეგრე კოხტად მოარჯულა, ფინალში აშშ-ელ ცი ჯეი ჰობგუდსაც აჯობა და საერთო ჩათვლაში მეთოთხმეტედან მესამე ადგილზე ასრიალდა... საპრიზო 150 000 დოლარის ასე თუ ისე გადანაწილების ამბავს არ იუწყებიან და ჩვენც ამის გამო ნამეტანი გულს ვერ დავიწყვეტთ.



REUTERS ტეაჰუპო ბიჩიდან



REUTERS სიდნეიდან

ეს საცურაო სამოსი, ამ სიდნეელი მდედრის ყველაზე საინტერესო მომენტებს რომ ჰფარავს, იქაური დიზაინერის, ნიკოლა ჰიგინსის შექმნილი ყოფილა. ნიკოლას აზრით, თუკი სადმე სამართალია, ქალები სწორედ ეგრე უნდა დადიოდნენ, თუ არა, დაცურავდნენ მაინც... ვარაუდობენ, რომ ახალი სამოსი საქმეში პირველად წყნარი ოკეანეთის აგვისტოში გასამართ საცურაო ჩემპიონატზე გამოიცდება.



## ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲜᲐᲛ ბავშვი ხარ, ბევრი რამე სულ საფეხბურთო ბურთზე გკიდია. ბურთზე, რომლითაც ფეხბურთსაც თამაშობ, კალათბურთსაც და მოტობურთსაც... ბურთზე, რომელიც ყველა ბომბდამშენზე, ყველა ტანკსა და ყველა ქვემეხებზე უკეთ გიცავს რეალობისგან, გენოციდისგან, ეთნოწმენდისგან, ლტოლვილობისგან... სანამ ბავშვი ხარ... სანამ ხელში იარაღი აგიღია... კოსოველი ლტოლვილები.




REUTERS კუკეშიდან


ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
კალათბურთის განყოფილების გამგე ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79,
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29